

178 /
1990/2

ISSN 0888



საქართველოს იურისტთა კავშირი

სახელმწიფო და სამართალი

ნ ო მ ე რ უ ი ა:

უნდოპლოკის სინდრომი



DE LEGE FERENDA



ქართული კოლტიკური აზროვნების
ისტორიიდან

11.90

CIVITAS AC IUS

**მთავარი რედაქტორი
თევდოზე ნინია**

სარედაქციო კოლეგია:

ანზი არსენაშვილი (ახუხისშვილი მდივანი), გულა ბერძენიშვილი (მთავარი
რედაქტორის მოადგილე), მთარ ბაგრატიანი, როლანდ ბილიაშვილი, ავთანდილ
დემეტრაშვილი, ვალერიან ედიშერაშვილი, მიხეილ ბეჟელია, გიორგი ლავაიშვილი,
ალექსი პაპუაშვილი, თეიმურაზ სიღამონიძე, ალექსანდრე ტალიაშვილი,
ჯონი ხატურანი, რუსუდან შველიძე, ჯონი ჯალაღანია.

ბენეურო რედაქტორი გულნარა აოსერაშვილი.

სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1928 წლიდან

11

ნოემბერი
1990

საძიებელი

საქართველოს უზენაესი საბჭოს ვიკვალი სენია

ბატონ ჯვიან ბამსაშვილის გამოსვლა	4
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ვიკვალი სენია	15
საქართველოს რესპუბლიკის კანონები	18

ქართული კოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან

ალექსანდრე მუჯირი — მიხეილ (მიხაკო) წერეთელი	23
მიხაკო წერეთელი — ქართველი ერის უფლებანი	26

სამართლის კუგლიციისტიკა

თეიმურაზ კორიძე — უნდობლობის სინდრომი	43
---------------------------------------	----

პრაქტიკა

ავთანდილ კობახიძე — კონფისკაცია როგორც დამატებითი სასჯელი	49
-----------------------------------------------------------	----

DE LEGE FERENDA

ნონა ფალიაშვილი — განმეორებითი ექსპერტიზა და საპროცესო კანონ-მდებლობის სრულყოფის საკითხები	57
ვაჟა ჯარუჭილი — რამდენი წლისუფლება გვირდობა?	62

იაკობ გოგებაშვილი—156

მალვა მარტოყაშვილი — დიდი მამულიწვილი	65
---------------------------------------	----

ოფიციალური მასალა

მგროვის სოციალური ქართია	67
--------------------------	----

ჩვენი სამეურნეო-სამართლებრივი ლექსიკონი

ბარიელ ჯამბახიძე — იჯარა	79
ინფორმაცია	80

Первая сессия Верховного Совета Грузии

Выступление г-на Звиада Гамсахурдиа	4
Первая сессия нового Верховного Совета Грузии	15
Законы Республики Грузия	18

Из истории грузинской политической мысли

Александр Муджири — Михаил (Михако) Церетели	23
Михако Церетели — Права грузинской нации	26

Публицистика права

Теймураз Коридзе — Синдром недоверия	43
-------------------------------------------------------	----

Практика

Автандил Кобахидзе — Конфискация как дополнительное наказание	49
--------------------------------------------------------------------------------	----

DE LEGE FERENDA

Нона Палиашвили — Повторная экспертиза и вопросы совершенствования процессуального законодательства	57
Важа Джаошвили — Сколько властей нам необходимо?	62

Иакоб Гогобашвили — 150

Шалва Маркозашвили — Великий сын Родины	65
----------------------------------------------------------	----

Официальный материал

Социальная Хартия Европы	67
------------------------------------	----

Хозяйственно-правовой словарь

Тарнел Замбахидзе — Аренда	79
Информация	80



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

რედაქციის მისამართი: 880110, თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 109.

ტელ.: 95-88-49, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 17. 10. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 12. 90 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. 2193

ტირაჟი 24.000

გამომცემლობის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პრეზიდიუმის შეხვედრაზე

საქართველოს უზენაესი საბჭო აღადგინა:

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ცემუხთაიე ზვიად ამოსხაიანიძის ამ ბინსტრუქციით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურია

თბილისი, 1990 წლის 14 თებერვალი



საქართველოს ქარლ-
შეტმა თავის უმთავ-
რეს მიზნად უნდა და-
სახოს საქართველოში
ქართული მოსახლეობის
ფულდერივი გარანტიების
დაცხივება, ქართული ც-
ის სახელმწიფოებრივი
სტრუქტურის რეალური და-
თა მოწვევებითი განხორ-
ცილება, ქართულ უნდა
უნდა გაააიოთეს საქმიან
წარმოება კველა სანარ-
ბისა და დაბეზბულეიამი
ხილო ის სახარმოები, რი-
მლებიც ვერ იტუებენ ქარ-
თულ უნდა თავიანთი ქ-ს
ქავემწრო დაქვემდებარე-
ვის გამო, უნდა გააშოვრო
ამგვარ დაქვემდებარებას
ან სრულად შეწყვიტონ
არსებობა, ქართული მო-
სახლეობის უფლებრივი
გარანტიების დაქანინების
პარალელულად უნდა და-
ჩაარდეს საქართველოს
პოლიტიკის სტრატეჯის შე-
მოღება, აგრეთვე კიდხის
მეცხეებება, რომელც
ზღვარს დაუაბებს უკონტ-
როლუ იმიგრაციას და უკ-
ხი ერთა დემოგრაფიულ
უკსახისიას საქართველო-
ში.

საქართველოს
...
8172000000



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა

პატივცემულო დეპუტატებო!

პატივცემულო სტუმრებო!

პატივცემულო საზოგადოებავ!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს შეურიგებელი, დემოკრატიული ოპოზიციის ძალისხმევით მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართა მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნები. ამ არჩევნებში ქართველმა ერმა გამოხატა თავისი ნება, მან თავისი ნდობის მანდატი გადასცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდს — გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ!“ გილოცავთ ამ გამარჯვებას, მეგობრებო!

ქართველმა ერმა გამოამჟღავნა უდიდესი პოლიტიკური სიმწიფე, მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნება, ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ იგი მზად არის თავისუფლებისათვის! ჩვენ უდიდესი მადლობა უნდა მივუვლით ყველა ქართველს, საქართველოს ერთგულ ყოველ მოქალაქეს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ საარჩევნო ბრძოლაში. იღვაწეს და გაისარჩენენ ეროვნული ძალების გამარჯვებისათვის, რამეთუ ეს გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპების გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ ამასთან, მეგობრებო, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ყოველივე დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ომისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღდგინება!

ღრმად მწამს მეგობრებო, რომ ის ერი, რომელმაც ესოდენ მაღალ დონეზე ჩაატარა თავისუფალი არჩევნები, შეძლებს დაბრუნებას დაკარგული სახელმწიფოებრიობისას!

უნდა გვახსოვდეს, მეგობრებო, რომ ეს გამარჯვება არ არის ერთი და ორი წლის მუშაობისა და ბრძოლის შედეგი. ეს არის დაგვირგვინება იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მოძრაობა ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან.

მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი ერი არასოდეს შეპყრუებია მონობას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1921 წელს საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ, მსოფლიოში უმკაცრესი სისხლიანი კომუნისტური დიქტატურის პირობებშიც კი, გრძელდებოდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და დღევანდელი გამარჯვება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ამ ბრძოლაში დაღუპულ გმირებს. სამარადისო დიდება მათ სახელს!

საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური

მდგომარეობის შესაბამისად დღევანდელი სესია ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ძირითად საკითხებზე: პირველნი და უმთავრესი, რაც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ. ეს არის კონსტიტუციური რეფორმის საკითხი, გარდამავალ პერიოდში. გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონის შექმნა არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საფუძველზე, დეკლარაცია თავად გარდამავალი პერიოდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ: როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება ეკონომიკური რეფორმა გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკური დიქტატისაგან მისი განთავისუფლება, ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მიწის კანონი, პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები, მუნიციპალური არჩევნები, სამართალდამცავი ორგანოების დეპარტიზაციისა და მართლწესრიგის განმტკიცების ღონისძიებანი, კულტურისა და განათლების სისტემის რეორგანიზაცია.

ძვირფასო მეგობრებო!

როგორც მოგვხსენებათ, ეროვნული ოპოზიცია, მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, ჯერჯერობით არ აცხადებს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რაც განპირობებულია საქართველოში და მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეალობით. ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია მარტოდენ ქალაქზე დარჩეს, ჩვენ გვსურს რეალური დამოუკიდებლობა, რასაც სჭირდება საფუძვლიანი შემზადება იურიდიულ-სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად საქართველოს ანექსიისა 1921 წელს, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, და ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია იურიდიული თვალსაზრისით დღესაც განაგრობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად. საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანია და განუყოფელი, მასზე არ მოქმედებს არც ერთი უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია, მათ შორის არც სსრკ კონსტიტუციები 1936 და 1978 წლისა, მართალია, საბჭოთა იმპერიამ საქართველოს ძალადობით თავს მოაბვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით, მისი მოქმედება დღემდე მალოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული. დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად, საქართველოში არასაბჭოთერი არჩევნების შედეგად მის ამ ფაქტობრივ მოქმედებასაც თანდათანობით ეცლება საფუძველი, ამის პირველი დამადასტურებელი საბუთი ის გახლავთ, რომ საქართველოში პარველად მთელი საბჭოთერი პერიოდის მანძილზე არჩევნები გაიმართა საბჭოთერი კონსტიტუციით რეგლამენტაციის გარეშე, ხოლო პარტიები რეგისტრაციაში გაატარეს არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა, არამედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რომელიც პარიტეტული პრინციპით იყო დაკომპლექტებული, თანაც ეს რეგისტრაციაც არ ყოფილა რეგლამენტირებული არსებული კონსტიტუციით, ეს უდიდესი მიღწევა ეროვნულ-განმათავისუფ-

ლებელი მოძრაობისა. მეგობრებო, შთელი მსოფლიო დღეს განცვიფრებულ
ამ მიღწევით!

მკრთალ ჩვენს წინაშე დგას ორი არჩევანი დამოუკიდებელი საქართვე-
ლის სოციალურ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ შედგენილი კონსტიტუ-
ციის აღდგენა და მისი მოქმედების განახლება ვერ გამოიღებს სასურველ ნა-
ყოფს. ვინაიდან განვლდება მისი მისადაგება თანამედროვე პოლიტიკური ვი-
წარებისადმი. გარდა ამისა, იგი არ შეიცავს იმპერიული კონსტიტუციისაგან
დამთავ იურიდიულ მექანიზმს, როგორც აქვს დღესდღეობით არსებულ კონს-
ტიტუციას მისი 77-ე მუხლის სახით.

ამიტომ, ჩვენი აზრით, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კა-
ნონი უნდა დაფუძნდეს ისევ არსებულ კონსტიტუციაზე. მასში უუნდაა მენ-
ტური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, რათა აი შეიქმნას სა-
კონსტიტუციო ფაქტები ახალი ეროვნული კონსტიტუციის შექმნამდე, რომე-
ლიც საფუძვლად დაედება უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწი-
ფოს. ამავე მიზეზით არის განპირობებული საქართველოს საბჭოთა სოციალის-
ტური რესპუბლიკისათვის სახელმწიფო შეცვლა, რაც პოლიტიკურ სტრუქტურა-
თა რეალური ცვლილების ანარეკლია. ასევე ეროვნული დროშისა და ჰიმ-
ნის აღდგენა. შექმნილი რეალური პოლიტიკური ვითარების ასახვისათვის
ქველ კონსტიტუციას უნდა შევუცვალოთ პრეამბულა, ყველგან უნდა ამო-
ვიღოთ სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“. „კომუნისტური
მშენებლობა“ „კომუნისტური აღზრდა“ და სხვა. უნდა შევიმუშავოთ ახლე-
ბური ფორმულირებანი 66-ე, 77-ე, 180-ე, 188-ე მუხლებისა, კონსტიტუ-
ციისათვის უნდა ამოვიღოთ მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 30-ე,
61-ე მუხლები მთლიანად, ზოლო მე-3, 34-ე, 35-ე და 74-ე მუხლებისა—მხო-
ლოდ შეორე ნაწილობით უნდა შეიცვალოს 58-ე მუხლის ფორმულირება.

რაც შეეხება საბჭოურ კონსტიტუციას, გარდამავალ პერიოდში მოხდება
მისი სრული უვნებელყოფა და საქართველოს ტერიტორიაზე მისი მოქმე-
დების ფაქტობრივი შეჩერება. რის საფუძველსაც გვაძლევს საქართველოს
კონსტიტუციაში არსებული 77-ე მუხლი, ზოლო დამოუკიდებლობის გამოც-
ხადების დროისათვის მოხდება საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების სრული
იურიდიული შეჩერება და საქართველოში ახალი ეროვნული კონსტიტუციის
ამოქმედება, რომელიც შენუშავებულ იქნება გარდამავალ პერიოდში და რო-
მელიც შეამზადებს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის
აღდგენის სამართლებრივ მექანიზმს.

მეორჯასო მეგობრებო!

ეროვნულ-განმათავისებლებელი ბრძოლა საქართველოში ვრძელდება.
თლონდ ამჟამად იწვეება მისი ახალი ეტაპი, მას შემდეგ, რაც ჩვენი მოძრა-
ობის ავანგარდი — „მრგვალი აგიდა“ ქართველმა ერმა, საქართველოს მოსახ-
ლეობის გადამწყვეტმა უმრავლესობამ აირჩია უხეჩაეს საკაიონმდებლო ხე-
ლისუფლებიანი, თვით მრავალპარტიული, არასაბჭოური არჩევნების ჩატარება
ანექსიის პირობებში ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უდი-
დესი აქტია, თამეთუ დღემდე არჩევნები ჩვენს სინამდვილეში იმართებოდა
მხოლოდ ცენტრისაგან თავს მოხვეული ფსევდოსაარჩევნო სისტემითა და
ფაქტობრივად ჩვენმა მოძრაობამ მიაღწია ახალი, კვშმარტად მრავალპარტი-
ული პარლამენტის არჩევას, რომელიც იქნება თა მხოლოდ უმაღლესი საკა-
ნონმდებლო ხელისუფლება ჩვენი ქვეყნისა, არამედ ეროვნულ-განმათავისუ-

ფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და კოორდინატორი და ამავე დროს ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელების ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტი.

ცენტრის ყოველგვარ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩვენ ვუპასუხებთ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მძლავრი აქტებით, რათა მეტროპოლიამ ვეღარ შეძლოს თავისი დიქტატის განხორციელება. ასე იქნება მთელი გარდამავალი პერიოდის მანიფესტი. ჩვენი ვცნობთ უპოლოდ საერთაშორისო სამართალს და მასზე დავაფუძნებთ ჩვენი ქვეყნის შიდა კანონმდებლობას. მართალია, დღეს ჩვენ უკვე ხელისუფლების სათავეში ვართ, მაგრამ ცენტრისადმი მაინც ოპოზიციად ვრჩებით.

ჩვენადმი ოპოზიციურად დაპირისპირებული ბანაკიდან გაისმის მოწოდება. თითქოს ჩვენ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა გამოვაცხადოთ კოლონიურ ქვეყნად, ხოლო ჩვენი თავი — კოლონიური თვითმმართველობის ორგანოდ. რაც არ მიგვაჩნია მართებულად. ვინაიდან მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს კოლონიური სტატუსის მქონე ქვეყანა, სადაც ჩატარებულ იყოს თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები და ეს ქვეყანა ამის შემდეგაც კოლონიად დარჩენილიყოს. კოლონიურ თვითმმართველობას ყოველთვის მეტროპოლია ნიშნავს, მას ხალხი არ ირჩევს. საქართველოში ეროვნული ხელისუფლების არჩევამ ზღვარი დაუდო საქართველოს კოლონიურ სტატუსს. საქართველო აღარ არის კოლონია, მაგრამ არც დამოუკიდებელი სახელმწიფოა ჩერჯერობით. ეროვნული ხელისუფლება კი იმის გამო ავირჩიეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია და აღდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. სხვა საკითხია საქართველოს ცნობა ოკუპირებულ ქვეყნად, საბჭოთა ჯარისთვის უცხო ქვეყნის არმიის სტატუსის მიცემა და საერთაშორისო სამართლის დონეზე საქართველოდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხის დაყენება. რისთვისაც აუცილებელი იქნება მოლაპარაკების დაწყება ცენტრთან და დასავლეთის ქვეყნებთან. ამრიგად, ჩვენის თვალსაზრისით, საქართველო ანექსირებული ქვეყანაა, რომელშიც დაიწყო ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი. პირველი ნაბიჯი კი ამ გზაზე ცენტრის მიერ დანიშნული რეჟიმის შეცვლაა ახალი, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებით. ამასთან, ჩვენ კიდევ ერთხელ ნათლად უნდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მიმართ, რომლის წინააღმდეგაც ვარ იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ გარდამავალი პერიოდის საქართველო ჩერჯერობით არ არის დამოუკიდებელი. სუვერენული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

საქართველოს ახლად არჩეული მრავალპარტიული პარლამენტის განსხვავება საბჭოურ პერიოდში ცენტრიდან დანიშნულ ე. წ. უზენაესი საბჭოსაგან იქნება ის, რომ ახალი პარლამენტი იქნება მუდმივმოქმედი, თავისი მუდმივი კომისიებით. იგი მხოლოდ ნომინალურად როდი იარსებებს, მას გადასაწყვეტი აქვს ურთულესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რის შედეგადაც გამოირიცხა დეპუტატობის შეთავსება სხვადასხვა თანამდებობებთან. რაც ნიშნავს საკანონმდებლო და აღმსარებლებელი ხელისუფლების რეალურ გამიჯვნას.

საპარლამენტო კომისიების ძირითადი მიზანი იქნება საკანონმდებლო

საფუძვლების შემზადება გარდამავალი პერიოდის რეფორმებისათვის.

როგორც ჩვენს პროგრამებშია აღნიშნული, გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური რეფორმის ძირითადი მიმართულება იქნება ბიუროკრატიული აპარატის, არსებული საბჭოთა იმპერიული სტრუქტურების დემონსტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება. ადმინისტრაციულ-მბოძანებლური, ე. წ. ნომენკლატურული სისტემის გაუქმება და არჩევითობის პრინციპის დამკვიდრება აღმასრულებელი ხელისუფლების შესათვლელობის სტრუქტურებშიც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება მუნიციპალური არჩევნები ადგილობრივ საბჭოებში. რაც აგრეთვე დემოკრატიული პრინციპით უნდა განხორციელდეს, რის შედეგადაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თავად იქნებიან მოსახლეობის სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებების დამცველი.

რამდენადაც ჩვენ ვიბრძვით ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ჩვენი სახელმწიფო წყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ დეკლარაციას, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებებს, რათა კმედიით დონისძიებანი განხორციელდეს მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დასამკვიდრებლად. ვინ არ იცის, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით უნებლად ირღვეოდა მკვიდრი, ქართული მოსახლეობის უფლებები, იღანებოდა მისი ინტერესები, ქართველთა დისკრიმინაციამ, ჩავვრამ და შევიწროებამ კულმინაციას მიაღწია, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა დაამყარა არაქართველი მოსახლეობის ეთნოკრატიები. ქართული ენის სისტემატურმა დევნამ და კანონგარეშედ გამოცხადებამ თვით საქართველოს დედაქალაქის თბილისის დაწესებულებათა უმრავლესობაში მუშაობის აუტანელი პირობები შეუქმნა ქართულ კადრებს, ხოლო რუსული ენის გაბატონება და ფაქტობრივ სახელმწიფო ენად მისი გადაქცევა იწვევდა და ახლაც იწვევს ნაწილობრივ ქართველთა დისკრიმინაციას, არაქართველთა პრივილეგირებას, რუსული ენის ცოდნის დონის მიხედვით კადრების შერჩევას და განაწილებას, რაც უნებლად არღვევს თვით არსებულ კონსტიტუციას. საბჭოთა პერიოდში საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა ეროვნებათა შერწყმისა და დიფუზიის თავისებურ ლაბორატორიად, რასაც ჰქონდა ერთადერთი მიზანი: ქართველი ერის სრული ასიმილაცია შეზობელი ერების ხელოვნურად დაჩქარებული დემოგრაფიული ექსპანსიის ვხით. ამ მიზნით ხდებოდა აგრეთვე ბიუროკრატიული აპარატის კორუფციაზე თვალის დახუჭვა და რამდენადმე მისი სტიმულირებაც, რის შედეგადაც უკანასკნელ წლებში საქართველოს მთელ რიგ რაიონებში არაქართველი მოსახლეობის ხელში აღმოჩნდა ათასობით ჰექტარი საუკეთესო სავარგულები, ხოლო ქართულ ოჯახებს, ჩვეულებრივ, გაყოფაზეც კი უარს ეუბნებოდნენ და ეუბნებიან ალაგ-ალაგ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. რამდენადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ჰელსინკისა და ვენის შეთანხმებანი ერთა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება, ქართველი ერის ამგვარი შევიწროება და დისკრიმინაცია საკუთარ მიწა-წყალზე და უცხო ერების პრივილეგირება უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის ყველა აღიარებული ნორმის დარღვევად და საერთაშორისო დანაშაულად.

ამის გამო საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება. ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ იგუებენ ქართულ ენას თავიანთი ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოეყონ ამგვარ დაქვემდებარებას ან სრულად შეწყვიტონ არსებობა. ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონების პარალელურად უნდა დაჩქარდეს საქართველოში მოქალაქის სტატუსის შემოღება. აგრეთვე კანონის შემუშავება, რომელიც ზღვარს დაუდებს უკონტროლო იმიგრაციას და უცხო ერთა დემოგრაფიულ ექსპანსიას საქართველოში. მაგრამ ამვე დროს ჩვენ არ უგულებელვყოფთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომლებიც კანონიერად მკვიდრობენ ჩვენს მიწა-წყალზე და ხელს უწყობენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით განზრახული გვაქვს, საქართველოში შევიტაროთ ეროვნულ უმცირესობათა არსებული ავტონომიები, ცხადია, უფრო მყარ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველზე, ქართული მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების გათვალისწინებით, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი მომავალი წარმატებები პოლიტიკურ სფეროში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებსაც მიზნად ვისახავთ, ამისათვის კი აუცილებელია ვიცნობდეთ რეალურ სურათს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისას, რომელიც ცხადყოფს, რომ ქვეყანა აშკარა ეკონომიკური კრიზისის პირას დგას, ცენტრალურ დაფინანსებაში ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ამჟღავნებს, რომ საქართველოს საარსებო ეკონომიკური ინტერესების განხორციელების უნარი არ შესწევს წლების განმავლობაში თავს იჩინდა დეფიციტი პირველადი მოხმარების საქონლისა, მურსათ-სახოვავისა, საწვავისა, ეს ყოველივე ცხადი ღდება უწინარეს ყოვლისა ციფრობრივ მონაცემებზე დაკვირვებით, მაგალითისათვის, სტატისტიკური მონაცემებით, საქონლის მარაგმა რესპუბლიკის საგარეო ორგანიზაციების საცალო ქსელში 1990 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგინა 1426 მილიონი მანეთი, ნაცვლად შარშანდელ ამავე პერიოდის 1478 მილიონი მანეთისა, ანუ შემცირდა 3.6 პროცენტით, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საცალო ქსელში 500 მილიონი მანეთის საქონლის მარაგი იყო, ნაცვლად 1989 წლის 1 ოქტომბრის 533 მილიონი მანეთისა, ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში გვექონდა 84 დღის საქონლის მარაგი, ანუ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 16 დღის მარაგით ნაკლები, ვაჭრობის სამინისტროს საცალო ქსელში 56 დღის მარაგი იყო, ანუ 14 დღის მარაგით ნაკლები, მეტბოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მარაგმა საბითუმო ვაჭრობასა და მრეწველობაში აშკარად იკლო, მაგალითისათვის, თუ 1989 წელს კარაქის მარაგი შეადგენდა 8.9 ათას ტონას, წელს ეს მარაგი შემცირდა 3.6 ტონამდე, შესაბამისად კვერცხის მარაგი შემცირდა 48.7 მილიონი ცალიდან 26.3 მილიონ ცალამდე, შაქარი — 15.7 ათასი ტონიდან — 14 ათას ტონამდე და ასე შემდეგ.

მაგალითისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების პიერ კვი-



ბის ძირითადი პროდუქტების წარმოება 1990 წლის იანვარ-ოქტომბერში დასიათდება შემდეგი მონაცემებით: ხორცის წარმოება წინა წელთან შედარებით შემცირდა 19 ათასი ტონით, ძეხვეულისა — 7 ათასი ტონით, კარაქისა — 320 ათასი ტონით, ყველისა — 5 ათასი ტონით, იგივე ზდება ყველა სხვა პროდუქტის წარმოების სფეროში. ამასთან, მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის მრეწველობაში და საბითუმო ვაჭრობაში თამბაქოს მარაგი 75.6%-ით ანუ 2,6 მილიონი მანეთით შემცირდა, ასეთივე სურათია მსუბუქი მრეწველობის საქონლის მიწოდების სფეროში. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ფონდში, საკოლმეურნეო ბაზრებზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობა შემცირდა 9.2%-ით, ხოლო ფასები გაიზარდა 25.6%-ით საშუალოდ. მოსახლეობამ საკოლმეურნეო ბაზრებზე დახარჯა 69 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის იანვარ-ოქტომბერში იმავე პროდუქციის შეძენაზე. გეგმები ჩავარდნილია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ყველა სფეროში, სამრეწველო საწარმოები ვერ ასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, განსაკუთრებით ჩამორჩენილია ტურიზმისა და ექსპურსიების რესპუბლიკური საბჭო, კულტურის სამინისტრო, ყოფილი საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო, კავშირგაბმულობის სამინისტრო, პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო, ახალგაზრდული საერთაშორისო ტურიზმის ბიურო, ჯანმრთელობის სამინისტრო, საწარმოო გაერთიანება „საქავტომოტოსერვისი“, ცეკავშირი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

მძიმე მდგომარეობაა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროში. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო სახსრებით საექსპლოატაციოდ ჩაბარებული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი შემცირდა 166 ათასი კვადრატული მეტრით, ანუ 33.4%-ით. წლის გეგმა ამ მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა მხოლოდ 31.4%-ით. ასეთივე მდგომარეობაა სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, ამბულატორიების, პოლიკლინიკების, პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის სფეროშიც.

გრძელდება საფინანსო კრიზისი. სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების მობილიზაციის დავალებების შესრულება კვლავ გაძნელებულია. ძირითადად საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან (შემოსავლებიდან) ბიუჯეტში გადასახდელების დავალებათა ქრონიკული შეუსრულებლობის გამო. ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მოგებიდან გადასახდელების სახით დააკლდა 41.4 მილიონი მანეთი, ანუ 7.7%. მოგების საგეგმო დავალების შესრულებას თავი ვერ გაართვა 300-მა საწარმომ და ორგანიზაციამ, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერი ზარალით დაამთავრა 57-მა საწარმომ და ორგანიზაციამ, გრძელდება ჩამორჩენა სამშენებლო კომპლექსის საქმიანობაში, საფრთხის წინაშეა საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების ამოქმედების წლიური პროგრამების რეალიზაცია. საერთო-რესპუბლიკურ მაჩვენებელზე დაბალი შესრულება აქვს „საქნავთობს“ (42,3%), „საქნაზშირს“ (64,4%), „საქავრომშენს“ (77,1%) და სხვა გაერთიანებებს. ამასთან ჩვენ დიდ დახმარებას ვუწვევთ სხვა რესპუბლიკებს მაშინ, როდესაც შინ თავად გვაქვს უკიდურესად მძიმე მდგომარეობა

დღევანდელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა შესასწავლია მრავალი

თვალსაზრისით, დღესდღეობით საექსპორტო მოწოდებას აწარმოებენ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების 56 საწარმოო და ორგანიზაცია. მათ შორის ექსპორტოდ განაწილებულია 140,7 მილიონი ათასობით პირადი უკონტროლო რაოდენობის საწარმოო საქმიანობა ახდენს. შეესაბამებოდა უკონტროლო კონტრაქტების რაოდენობის და დასაბრუნებელ რეგულაციებს. საერთო-ეკონომიკური კონტრაქტების განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესდეს ჩვენი სტრატეგიული პოლიტიკისა და პროდუქციის ექსპორტს, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში. ჩვენი ეკონომიკის ზემოქმედებულ სავალალო სურათით ცხადია, უწინარეს ყოვლისა განპირობებულია სოციალისტური ეკონომიკური სისტემის არაეფექტიანობით, ცენტრალურ დაგეგმვის პრინციპი ძირითადი შემდგომი ბიუჯეტის ფაქტორია ასეთ ვითარებაში. ამასთან იგი ხელს შეწყობს საქართველოს კოლონიურ პარტნიურ, ჩვენი ეკონომიკის დაქვემდებარებას ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკური სისტემის დაქტატი-სადში. მნიშვნელოვანი დესტრუქციული ფაქტორია აგრეთვე კორუფცია, უკონტროლობა, სპეკულაცია, უყიარაობა, რაც გამოწვეულია პედაგოგების სტრუქტურების მოშლით და უბასუბისმგებლობით.

ჩვენი თვალსაზრისით, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: ადმინისტრაციულ-მმართველობურ ძეგლებზე და ცენტრალურ დაგეგმვაზე დამყარებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლა. ჩვენს პრაქტიკაში აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება პრინციპულად მოთხოვნილებს მიწოდებისა და მოთხოვნების საბაზრო ძალების რეგულირებაში. პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას კი მთავრობის მხრივ ჩარევა-რეგულირება ძირითადი განსხვავდება სოციალისტური სისტემის ადმინისტრაციულ-მმართველობურ რეგულირებისაგან. ამ კონტრასტის საჭიროებაში ჩარევა ან მისი რეგულირება ძირითადი მოქმედებების ინტერესების დაცვისათვის ხდება. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, კერძო ფინანსური ბაზრები, თავისუფალი შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინტერდინტეხია. მას შემდეგ, რაც ეს ელემენტები ამოქმედდება, ააღიბი თავის მიერ არჩეული წარმოადგენლების მიშვეობით გადაწყვეტს. თუ როგორი ფორმით ჩამოყალიბდება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, რეგულირება უნდა ახდენილებდნენ საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია. საბელ-შიდის კონტროლი კი ამ განაწილებისადმი, ისევე როგორც ფასების კონტროლი არ უნდა ემყარებოდეს ადმინისტრირების დრომოქმედ მეთოდს. ამასთან არსებობს დიდი საფრთხე ე.წ. „საბაზრო სოციალიზმისა“. საბაზრო ეკონომიკა უმუალოდ უნდა დაეკრძალოს კერძო სექტორს და და საერთაშორისო ვაჭრობას. ამავ დროს აუცილებელია პრინციპული პროცესის დანტარება განსაკუთრებით სოფლიო საქაროა შემოღება მიწის კახონისა, რაც აუცილებელია უნდა მოახდინოს საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიმოდებას ამ კახონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ მიწა კერძო მფლობელობაში გასახვისების უფლების გარეშე, რაც უთუოდ შეწყობს ხელს მოსახლეობის სოფლიო დამკვიდრებას და ვლენდო მიწარეობების განვითარებას საქართველოში. აუცილებელია აგრეთვე აღდგას ტრადიციული ფორმები სოფლის მეურნეობისა, ძირითადი აქცენტები უნდა და-

კეთდეს მევენახეობაზე, მეცხოველეობისა და მარცვლეული კულტურების განვითარებაზე. საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების მწვავე დეფიციტის გამო, გადაუდებელ ღონისძიებად ჩავთვალეთ სავაჭრო ქსელში ნორმირების დაწესება და პასპორტების წარდგენით ვაჭრობა. რაც აუსცილებლად უნდა განხორციელდეს მკაცრი კონტროლით, დაეაწესეთ აგრეთვე საქართველოდან ღვინის, ხილისა და სხვადასხვა პროდუქტების უკონტროლოდ და დიდი რაოდენობით გაზიდვის აკრძალვა. უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა საბოტაჟის ფაქტებიც, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით აბარებენ პირუტყვს სასაკლაოებს და ხორცკომბინატებს, ყიდიან მანქანებსა და სხვა ტექნიკას, რასაც შეგნებული საბოტაჟის ელფერი დაპყრავს.

ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას: მართალია ჩვენ გამოვაცხადეთ ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა, გამოვაცხადეთ, რომ არავის განვიკითხავთ წარსული ცოდვებისათვის, მაგრამ ვინც ამერიიდან დაუპირისპირდება დღევანდელი განახლების პროცესს, ისევე კორუფციით, სპეკულაციითა და საბოტაჟით გაამწვავებს ისედაც გამწვავებულ ვითარებას. პასუხს აგებს ერისა და ენონის წინაშე.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო აგრეთვე, რომ საზოგადოებრიობის უდიდეს შემოფოტებას იწვევს დამნაშავეობის კატასტროფული ზრდა ჩვენს ქვეყანაში, რაზეც მეტყველებენ საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, 1990 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში რეგისტრირებულია 15839 დანაშაული, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.5%-ით მეტი, 15% გაიზარდა მძიმე დანაშაულობათა რაოდენობა, აქედან ჩადენილია 209 მკვლელობა, ანუ 21%-ით მეტი, ძარცვებისა და ყაჩაღობის რიცხვიც შესაბამისად გაიზარდა 1.9-ჯერ და 2-ჯერ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დამნაშავეობას ეთვლით სოციალურ პრობლემად, ვინაიდან მას წარმოშობს ის მახინჯი სოციალ-პოლიტიკური წყობილება, რომელშიც ვცხოვრობდით წლების მანძილზე, რელიგიის განადგურება, ზნეობის დაცემა, სულიერი იდეალების მივიწყება და გაუარესება აი, დამნაშავეობის ნამდვილი საწყისები, დანაშაულის აღმოფხვრის, სოციალური პარამონის დამყარების ერთადერთი გზა იცის ცივილიზებულმა კაცობრიობამ: ეს არის რელიგიის აღორთხება, ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ზნეობრივი იდეალების დამკვიდრება საზოგადოებაში, მაგრამ ამავე დროს იძულებულნი ვართ გებრძოლოთ დანაშაულის კონკრეტულ გამოვლინებებს, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულისას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ვითვალისწინებთ რა შექმნილი ვითარების დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს, გადავწყვიტეთ გამოვცეთ მართლწესრიგის დაცვისა და განმტკიცების კანონი და დადგენილება ეროვნული შინაგანი ჯარის შექმნის შესახებ, რამაც უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა ქვეყნის შიგნით გარდაშალ პერიოდში, ამასთან, აუტორიტეტული სამართალდამცველი ორგანოების სრული დეპარტიზაცია, რაც უკვე დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, და ეს ფრიად მისასალმებელია, ჩვენ მივესალმებით სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია II-ის საგანგებო ბრძანებულებას, რომელიც გმობს კაცისკვლას, როგორც უმძიმეს დანაშაულს ერის წინაშე, და

ვთვლით, რომ ანათემისა და ერისაგან მოკვეთის ღირსია ყველა ის ქართველი, რომელიც თავის მოძმეს გაიმეტებს.

ძვირფასო მეგობრებო!

ტოტალიტარული რეჟიმისა და კომუნისტური იდეოლოგიური დიქტატურის პირობებში საფრთხე შეექმნა ქართველი ერის არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სულიერ და კულტურულ ღირებულებებს. კატასტროფულ მდგომარეობაშია ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები: ალავერდი, მრავალძალი, ალვანის ცხრა-კარა, ნიკორწმინდა, ზარზმა და მრავალი სხვანი, რომელთა უპატრონოდ მიტოვებას შთამომავლობა არ გვაპატიებს; მიშვებულაა სამუზეუმო საქმე, მეურვეობა სჭირდება ხელოვნების დარგებს, დღესდღეობით აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არსებული სტრუქტურების რადიკალური რეფორმა. გასარკვევია კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მფლობელ ცალკეულ პიროვნებათა თუ უწყებათა კომპეტენციის, სტატუსისა და მატერიალური ბაზის საკითხები. ამასთან, აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსპექციის შექმნა. წამყვანი კულტურული სახელმწიფო დაწესებულებების სტატუსის დადგენა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, რაც განსაკუთრებით შეეხება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხელოვნების მუზეუმებს, ოპერისა და ბალეტის თეატრს, აუცილებელია განვიხილოთ აგრეთვე რაიონული თეატრების, მხარეთმცოდნეობისა და მემორიალური მუზეუმების დოტაციის საკითხები, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო პროგრამების გადაზედვა-დახვეწა და მატერიალური ბაზის მოგვარება, მეცნიერებათა აკადემიის სტატუსის საკითხის განხილვა, მეცნიერების მართვის ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სისტემის რადიკალური რეფორმა, უცხოეთთან კულტურული კონტაქტები ახლებურად უნდა გავაზოროცილოთ, აუცილებელია საქართველოს წევრობა-მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში: ძეგლთა დაცვის ხაზით იკომოსში, სამუზეუმო საქმის ხაზით — იკომში და ა. შ., რათა ჩვენი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობა უკეთ გაიცნოს უცხოეთის საზოგადოებრიობამ, რაც აგრეთვე უზრუნველყოფს მისი დაცვის გაუმჯობესებას.

გადაუდებელია განათლების სისტემის რადიკალური რეფორმა, სასწრაფოდ უნდა გადაისინჯოს სასწავლო პროგრამები, უნდა გავაუქმოთ ყოველად უსარგებლო და ზედმეტი დისციპლინები: ე. წ. სსრ კავშირის ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალისტური პოლიტიკონომია, ე. წ. საზოგადოებათმცოდნეობა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და სხვანი, უნდა აღვადგინოთ საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სრულფასოვანი სწავლება, უნდა გაფართოვდეს რელიგიური სწავლება, შეიქმნას საკვირაო სამრევლო სკოლები და თეოლოგიური ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში, უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, საქართველოში უნდა დამკვიდრდეს ქართული სკოლის პრიორიტეტი, რუსული სკოლები უნდა შემცირდეს მხოლოდ რუსული მოსახლეობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქართველ სწავლები აღარ უნდა იზრდებოდნენ რუსულ სკოლებში.

ფიციფასო მგობრებო! ჩვენნი სამართლებანი ბრძოლა თავისუფალი და
დამოუკიდებლობისათვის მსოფლიოს ყოველღებთ ცეცხლისა და იტოდეს
ვეელამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენნი წინაპრების რელიგიური
და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის თავდადებულად და
ძისია დააკისრა განგებამ. ქართველი ერი არნაიყო წამებით იტოდეს ის-
ტორიის უკლიან გზაზე იგი ხელითა და საქათლოაზონის ქამაჯი ყო მუდამ
ქამს. მან ხორცი გასწიდა სველინათვის, მან უწმარტების მსახურება და-
საბა თავის უბიხაყს ბიზნად, რისთვისაც მრავალ ხნს იტევში და უწამა ბარა-
როსთაგან და წარმართთაგან მავრამ მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა, რათა
დამდგარიყო უამო აიის აღდგომისა და აღხევიისა; მისი გაბრუნებისა მსოფ-
ლიოს ხალხთა წინაშე, რათა აღცობრიობა იზაროს მათათს საქართველოსა
ღვთით მონადღებულს, არ არის შიარს ეს დრო როდესაც საქართველო
ცეკვა ხეიბრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხთათვის.

ფიციფასო მგობრებო! ჩვენნი მოძრაობა, უწმარეს სველინათ რელიგი-
ური მოძრაობა, რამეთუ რელიგიის გათქმის არსებობს უწმარტ უბო-
სული აღორძინება ანტომაც აიის დღეს ერთად ჩვეთ ერი და იქვნი ე-
ღობია, ჩვენ ეებობვი უღმერთობისა და უსამართლობის უკუნით სამის
ჩვენს მართალ საქმეს განგება ძფაოველობა და ანტომაც დაკარტვიტო მტე-
რი ქართველი ერი არ წავა ბარამს უბო უღმერთობის აუბათობის ტე-
რორიზმის გზა, ქართველი ერის ვხ სათათების გზა, სიქველის გზა, სიყ-
ვარულის გზა, ქრისტეს გზა ან და მარტონის და უკუვიტო უკუნიანად.

ქართველ იყოს ღვთისმშობლის წილობითი საქართველო! ჩვენთან არს
იმპროტი ამინ!

საქართველოს ჩინოვნიკის უზენაესი საბჭოს პიკეული სესია

14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა რესპუბლიკის პირველი მოწვევის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირველი სესია. ახალ დეპუტატთა კორპუსთან ერთად, რომელიც გასაბჭოების შემდეგ პარკულად იქნა არჩეული მრავალპარტიულ საფუძველზე, აქ მოწვეული იყვნენ არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის ხელმძღვანელები.

სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. პატრიარქმა, დეპუტატებს დაულოცა საქართველოს ერთობისა და დამოუკიდებლობის სასიკეთო მოღვაწეობის გზა, აღაგონა ლოცვა და საჩუქრად უძღვნა ახალ უზენაეს საბჭოს ბიბლია და იერუსალიმიდან ჩამოსვენებული „აღდგომის“ ხატი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ყველა იმთავანის ხსოვნას, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

შემდეგ სესია მუშაობას შეუდგა. იგი გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ეორდანიამ, რომელმაც შეკრებილთ მოახსენა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგები.

სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი.

ირჩივეს სესიის ხელმძღვანელ ორგანოებს: სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს.

სამდივნოს შემადგენლობაში არიან დეპუტატები ალიკო ქობულაშვილი, ეთერ ყაველაშვილი, მანანა გაბაშვილი, თემურ ჩანელიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ფოტი ჩიტლოვი, ნუგზარ მამალაძე, მერაბ ხალარჯიშვილი და ბეჟან აბესაძე.

სარედაქციო კომისიის წევრებად აირჩიეს დეპუტატები ამირან კალაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ნოდარ წულუისკირი, თედო ნინიძე, ალექსანდრე კახაძე, მინდია უგრეხელიძე.

სამანდატო კომისიაში შევიდნენ დეპუტატები ბიძინა დანგაძე, გია ფირცხალაშვილი, ავთანდილ პიპიაშვილი, დიმიტრი ქებურია, ლია კაცაძე, ანრი ურუაშვილი, რევაზ კემულარია, სერგი რიგვავა, ბეჟან გონაშვილი, მინდია სალუქვაძე და ტრისტან ხანიაშვილი.

შესვენების შემდეგ სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ბიძინა დანგაძე.

უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ნოდარ კითანავას, რომელმაც განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო იხსნის უფლებამოსილებას ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე.

სესიამ ცნობად მიიღო ეს განცხადება და დაავალა მთავრობას განაგრძოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება, სანამ უზენაესი საბჭო ახალი საქართველოს მინისტრთა საბჭოს აირჩევდეს.

ამის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ სესიის 14-15 ნომბერის სხდომების დღის წესრიგის განხილვას. წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე და ნუგზარ მოლოდინაშვილი.

- დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:
1. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.
 2. დეკლარაცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საპროგრამო განცხადებასთან დაკავშირებით.
 3. გარდამავალი პერიოდისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებათა შეტანის კანონი.
 4. მიმართვა მსოფლიოს ხალხებს.
 5. მიმართვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს.

6. წინააღიწივ სრულად საქართველოს.
7. უზენაესი საბჭოს ოპოზიციის პირველი მოადგილის არჩევა.
8. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დაწესება.
9. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
10. მინისტროს საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.
11. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები.
12. უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა.
13. ამათგანის უფლებათა თავის და მარიონეტური განმტკიცება.
14. წესდების მუდმივი კომისიების მთელი უპირველესი კანონებისა და დადგენილებების შემუშავება.

15. სხვადასხვა.

თლის წესრიგის პირველი პუნქტის გამო წინადადებით გამოვიდა დეპუტატი მუხრან ჯაფარიანი, გამოხატა რა დეპუტატებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის ხება. მან წამოაყენა წინადადება აირჩიონ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ „პრველი მაგია-თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის სპიკერი ზვიად გამსახურდია.

სხვა კანდიდატურები ამ პოსტზე არ დაუსახელებიათ.

გამოცხადდა შესვენება, რომლის შემდეგაც გამოვიდნენ სამდივნოს ხელმძღვანელი დეპუტატი ალიო კობულაშვილი, სარედაქციო კონსილის თავმჯდომარე დეპუტატი ამირან კალაძე.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ბნის თამოვლელი კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ვახტანგ კითავას, რომელმაც გამოაცხადა შესვენების დღის გამართული კენჭისყრის შედეგები.

ფართული კენჭისყრის შედეგად ზვიად გამსახურდია არჩეულია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად დაბ. ზის ტაშის გრიალში მტკიცდება ბნის თამოვლელი კომისიის ოქმი.

სესიაზე საპროგრამო განცხადებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ რესპუბლიკაში გარდასვლილი პერიოდის გამოცხადების კონსილის პროექტის საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე თავისთავი მოსახრებები გამოთქვეს დეპუტატებმა დავით კუპრეიშვილმა, ბერგი რიგვამ, თემურ ქორიძემ, გიორგი კორძაძემ, მუჯანარ მალიდიანიშვილმა, ნოდარ ხათამე ავთანდილ იმნაძემ, აპოლონ სილაგაძემ, ლევან ალექსიძემ, შალვა წინწალაშვილმა, მინდია სალუქვაძემ, რომან გოცირიძემ, დავით ივრებანიშვილმა, გოგი გულბანმა, თამაზ დიხაშიძემ, თამაზ გამყრელიძემ და სხვებმა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარდასვლილი პერიოდის გამოცხადების კანონი შეიტანა შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

დეპუტატებმა განიხილეს და ერთხმად მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის კანონი, ამერიიდან მას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდება.

სახელმწიფო კერბის, დროის, რესპუბლიკის სიმნის კანონბროტები თამწრეთ ვაცხო დეპუტატმა მუჯანარ მალიდიანიშვილმა.

ამ პროექტებთან დაკავშირებით თავისთავი აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა არჩილ მინდიაშვილმა, ავთანდილ იმნაძემ ვაქტორ დონუაძემ, ზვიად ძიძიგულამ, მუჯანგი ტურაშვილმა, თემურ ბეჟაშვილმა, დავით არგვაძემ რაი შეტრეკომა.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ატრიბუტიკა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მინარეთები: მარიულის ხალხებისათრ კერბის უწიშორებისა და თანამშრომლობის თათბირის მოსაწილ კენჭებებს სახელმწიფოთა თ მოდერნიზაცია შეთაურების პარიზის კონფერენციისადმი, სოფლიად საქართველოსათრ.

ქართველ ოცადერთა რესპუბლიკური კერბული გერბისადმი საყოფო სესიის მინარელებს მისალმა ამ გერბისადმი მტაბის უფროსი დურუ ზითაია.

ამაღლებულად გისრა გიზეტ „სამშროლოს“ რედაქტორის ძაღა: ბავკლამშვილას გითავლა. მან სესიის დეპუტატები კავარ ქაქუცა ბოლოყაშვილის თანამდებობისადმი — ალექსანდრე სელოსანიშვილის თანამდებობისადმი, ქართველმა ხალხის სულ რამდღისადმი, დღის წრე მობათა მინარე დიდი მამულიშვილის სესტრი რომელიც ბნ წილიწათა იყო უცხოეთის კანდაგნილი მან დატოვა ანდრამი, რომ ქაქუცას თორმა ახლადარჩეულ მალიამენტს მიეღო, მალიდიანიშვილმა თამომავლებმა შეასრულეს დიდებულ წინაბრის თანამარებთ მატარებმა გიორგი გამსახურდიამ და არჩილ

ნოლოდინაშვილმა დარბაზის ტაშის გრაფში შემოასვენეს საქართველოს რესპუბლიკისა და ქუთაის დროშები.

საზეიმოდ ეღერს კოტე ფოცხვერაშვილის „დიდება“... ყველანი ფეხზე დგებიან. ამით სესიის მუშაობის პირველი დღე დასრულდა.

15 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ გახატა მუშაობა. სესიის სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე შემოთავაზებული იყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის „მრგვალი მაგიდის“ წევრის დეპუტატ აკაკი ასათიანის კანდიდატურა.

ამ კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნათელა ქუთელია, ლოვარდ ტუხაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, შალვა წინწალაშვილი.

სესიაზე გამოსულმა აკაკი ასათიანმა დეპუტატებს გააცნო თავისი ბიოგრაფია, უპასუხა კითხვებზე.

სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი აკაკი ასათიანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

როგორც ცხობილია, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის თანამდებობა გათვალისწინებული აღარ არის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით. უზენაესი საბჭოს და მისი აპარატის საქმიანობის ორგანიზაციისათვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შემოიღონ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

ამ თანამდებობაზე შემოთავაზებული იყო „მრგვალი მაგიდის“ წევრის დეპუტატ ნემო ბურჭულაძის კანდიდატურა.

შემოთავაზებული კანდიდატურის გამო თვიანთი აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა ავთანდილ იმნაძემ, ირინე ტალიაშვილმა, ავთანდილ კვეტენაძემ.

სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი ნემო ბურჭულაძე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხის განხილვას.

ამ პოსტზე შემოთავაზებული იყო „მრგვალი მაგიდის“ წევრის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის დეპუტატ თენგიზ სიგუას კანდიდატურა.

შემოთავაზებული კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები გურამ მაქაცარია, ნიკოლოზ ზაქაურიძე, თენგიზ კიტოვანი, გურამ ქაშაყავილი, როინ მეტრეველი, მინდია სალუკვაძე, პაატა კოლუაშვილი, მერაბ ბალარჯიშვილი.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატმა თენგიზ სიგუამ გააკეთა სპაროგრამო განცხადება. უპასუხა კითხვებზე.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად დანიშნა დეპუტატი თენგიზ სიგუა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მას დაევალა წარმოდგინოს უზენაეს საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ. ბოლო უზენაესი საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებს დაევალოთ წარუდგინონ უზენაეს საბჭოს დასკვნები მთავრობის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის თაობაზე.

სესიაზე მორიგი სხდომის დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას.


ტრაგედიაზე მიწვეული გმირის დედა ოლღა დემურია-კოსტავა გულთბილად მიესალმა ახალი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და დალოცა ისინი.

— დღეს დიდი დღეა, — თქვა მან. — ახლმ ზვიადისა და მერაბის — დიდი კონსტანტინეს სულიერი შვილების ოცნება, წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება და სიძნელეა, რომლებიც უნდა დაძლიოთ. მაგრამ ჩვენთან არის ღმერთი. ერთსულოვნება ახლა ყველაზე მთავარია. ღმერთი იუოს თქვენი მფარველი!

შემდეგ სიტყვა მიეცა დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟ რეჯებ ჟორდანიას, რომელმაც, კერძოდ თქვა:

— შე დავიბადე საფრანგეთში. მაგრამ ყოველთვის ვიცი, რომ ჩემი სამშობლო სა-

58561



ჭართველო. **ცარწმუნებელი ვარ.** მალე დადგება დრო, როცა ხელს ჩამოვართმევ თავი **საქართველოს რესპუბლიკის მომავალ პრეზიდენტს.**

ამის შემდეგ სესია შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების საკითხის განხილვას.

შემოვიდა წინადადება შეიქმნას 9 ასეთი კომისია. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ნიკოლოზ ხაქაპურიძე, რომან გოციარიძე, დავით კუპრეიშვილი, ელდარ შენგელაია, ავთანდილ მარგიაანი.

კახეთის მიუღ რიგ რაიონებში წარმოშობილი რთული ოპერატიული ვითარების შესახებ საგანგებო ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს უფროსი გრიგოლ შონია.

სესიამ ჩამოაყალიბა დეპუტატთა ცგუფი ახალი პარლამენტის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შექმნილი სიტუაციის ოპერატიული განხილვისათვის.

შემდეგ გაგრძელდა მუდმივი კომისიების საკითხის განხილვა. მასში მონაწილეობდნენ დეპუტატები ალაფო მელაძე, პაატა კოდუაშვილი, მინდია უგრებელიძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, დავით გოგუაძე.

დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ. აირჩიეს ამ კომისიის თავმჯდომარეები.

აირჩიეს თავმჯდომარეები კომისიებისა, კანონმდებლობის და კანონიერების დაცვისა — დეპუტატი ნუგზარ მოლოდინაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტოსი — დეპუტატი ტარიელ გელანტია, ეკონომიკური რეფორმისა — დეპუტატი გივი თაქთაქიშვილი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა — დეპუტატი რომანოვ პეტრიაშვილი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — დეპუტატი ბაჟურ გულუა, სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობის და ეკოლოგიისა — დეპუტატი ირაკლი ჩხეიძე, საერთაშორისო ურთიერთობებისა — დეპუტატი თედო პაატაშვილი, საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო უშიშროების დაცვისა — დეპუტატი ვაჟა ადამია, კულტურის, განათლების და მეცნიერებისა — დეპუტატი თემურ ქორიძე.

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს დაევალოთ წარმოადგინონ წინადადებანი მათი კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს დაევალოთ შეიმუშაოს პირველი რიგის კანონებისა და სადგენილებების პროექტები, რათა წარუდგინონ ისინი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიას.

უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ.

მიღებულია დადგენილება ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებს დაევალოთ წარმოადგინონ წინადადებანი ამ კომისიის პერსონალური შემადგენლობის თაობაზე.

შემდეგ დეპუტატმა თამაზ ოზგაძემ სესიის მონაწილეებს გააცნო ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი, რომელიც ერთხმად მიიღეს.

სესიამ განიხილა და მიიღო კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილი სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების თაობაზე.

სესიაზე გამოვიდნენ ქართველ შევარდნთა ლეგიონის მეთაური ელგუჯა წიაღური, კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეცკოლა-ინტერნატის კურსანტი კახაბერ ნაჯანი.

გამოცხადდა გადაწყვეტილება შეიქმნას უზენაესი საბჭოს პრესცენტრი, აგრეთვე ჩამოყალიბდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან ინფორმაციისა და პროგნოზირების ცენტრი.

კახეთის მიუღ რიგ რაიონებში რთულ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი დეპუტატთა ცგუფის სახელით გამოვიდა დეპუტატი არჩილ მინდიაშვილი. მან დამსწრეთ გააცნო ამ ცგუფის მუშაობის პირველი შედეგები, გამოთქვა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი. უზენაესმა საბჭომ დეპუტატთა ცგუფის დაავალა განაგრძოს დაწყებული მუშაობა, გამოთქვა რწმენა, რომ წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაცია მოწესრიგდება კონსტრუქციული დიალოგის გზით.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხსა და პრობლემასთან დაკავშირებით გამოვიდნენ დეპუტატები გურამ პეტ-



ოიანვილი. ვიქტორ დომუხოვეცი, ალიკო ქობულაშვილი, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ზაქარია იანიანი, გელა ჩორგოლაშვილი, ალექსანდრე უღინტი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ევტროპის „მოგვალე ზეგედის“ წევრის პოლიტიკურად განუხილავი მხარდებით.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევა უზენაეს საბჭოს პირველი სესია უნდა იქნას. ანუ „საბჭოს“ შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელი

საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოსცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები. ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეზღუდებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაიწყო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნო მტერი წინა რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამოუკიდებელი ერების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და ადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 2 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უზენაეს დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტრაგედია და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1953 წლებში), რიგ უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1953 წლის 11 აპრილის ტრაგედია, ამ მოვლემამ თავისებრივად ახალ ეტაპზე აყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1989 წლის 24 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნული ძალებმა, ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვიტეიანდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მართოვნათა შესახებ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებით, ძირითად კანონში.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასაბუთებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა ხოცია“



ლისტური რესპუბლიკა“. „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“

3. მე-4 თავის დასახელებიდან და პირველი მე-4, მე-6ი, მე-64-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“, ხოლო მე-7-ე, 48-ე და 54-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.

5. მე-4, მე-5, მე-7, მე-7-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

6. ა) მე-4 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „...კომუნისტური პარტია. სხვა...“.

ბ) 25-ე მუხლიდან — „...ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას...“.

გ) 34-ე მუხლიდან — „...რევოლუციურ თუ...“.

დ) 45-ე მუხლიდან — „...კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად...“.

ე) 57-ე მუხლიდან — „...პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას“.

ვ) 62-ე მუხლიდან — „...საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს...“.

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძლეუბულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები. რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლით. გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებიან.“

შემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.“

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი“.

დ) 100-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი. ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმიის შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა. (შინდისფერია).“

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოკებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი: მას მარჯვენა ხელში უპურია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში — ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წალბი. შემოსილია ვერცხლისფერ უჭრედებიანი ცისფერი ჩაფხითა და თეთრი მოსახამით. ჩაფხის ქვემოთ მოუჩანს ჯავისფერი (მიხაკისფერი) ტუავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტუავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი — ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი“.

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული“

წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემო) და თეთრი (ქვემო) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:4, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/3, ხოლო სიგრძე — დროშის სიგრძის 2/3.

ვ) 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო“.

ბ. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 28-ე, 29-ე, 30-ე და 41-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლებიდან — მეორე ნაწილები, აგრეთვე 38-ე მუხლის მეორე წინადადება.

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში ბელადმდევანელობს საქართველოს სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია“.

11. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო აღგზნებს:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკა.
2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).
3. კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელწოდებას გერბის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 180-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღგზნებს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამო-სახულება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ. № 3, მუხ. 68).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.



საქართველოს რესპუბლიკის საწინამართლო

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 181-ე მუხლის შე-
საბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღბენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის გა-
მოსაზღვრება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 აპრილის ბრძა-
ნებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ“ (საქართველოს
სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1951 წ., № 2, მუხ. 21).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
გ. ზამსახურაძე

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის საწინამართლო

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 182-ე მუხლის შე-
საბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი
და მუსიკალური რედაქცია (თან ერთვის).

2. ამ კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
ჰიმნის შესრულება მთელ რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს 1990 წლის 15
ნოემბრიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკის
ნოტები გამოქვეყნდეს.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ
უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 4, მუხ. 69).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
გ. ზამსახურაძე

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.

ალექსანდრე მუჰომი.

მისტიკა (მისტიკური ნაწარმი)

(1876—1965 წწ.)


დიდი ქართველი მამულიშვილი, თვალსაჩინო მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ წერეთელი დაიბადა 1876 წლის 23 დეკემბერს ზემო იმერეთის სოფელ ცხრუავეოში. 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. სწავლობდა ჯერ კიევის, შემდეგ პარიზის და ვენეციის უნივერსიტეტებში. ბოლოს იგი პაიდოლოგის (გერმანია) უნივერსიტეტშია. სადაც მოამზადა და ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ასირიოლოგიაში.

მიხეილ წერეთელი ეხმარებოდა ქართველ რევოლუციონერთა კონფერენციას ვენეციაში 1904 წელს სოციალისტ-რევოლუციონერებთან და სოციალ-დემოკრატებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში ანარქისტებიც მონაწილეობდნენ. ანარქისტები 1905-1906 წლებში თბილისში გამოსცემდნენ „ურბანალ-სოციალისტს“, რომლის მთავარი თანამშრომლები იყვნენ ვარლამ ჯერგუნიანი, მიხეილ წერეთელი, შალვა გოგელია, ალექსანდრე გაბუნია (ისკანდერი).

ანარქიზმი აღიარებდა პიროვნების სრულ ზვითგამორკვევას. მის სრულ უფლებებზე ვიწროველგვარი ხელისუფლების შემზღვეველი ძალის წინააღმდეგ. აქედან ადვილი იყო დასკვნის გაკეთება, რომ ერთი ისე, როგორც პიროვნება, თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამიტომ ლოგიკურია, რომ განაჩინდების შეხახებ 1907 წელს ჰაგაში მოწვეულ კონფერენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს გადაეცათ პეტიცია. რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მათ უნდა აღიარებოდათ მისი განმარტებისათვის, თუ რა უხეშად დაარტყია 1901 წელს რუსეთმა საქართველოსთან 1788 წელს დადებული ხელშეკრულება. პეტიცია ქართველი ერის

სახელით ვარლამ ჯერგუნიანი და გიორგი გვაზავისთან ერთად შეადგინა მიხეილ წერეთელმა და მას ხელი მოაწერა მრავალმა ქართველმა ეროვნულმა მოღვაწემ.

პეტიცია იუწყებოდა „სინარტლისა და საერთაშორისო სამართლის სახელით, ჩვენ უფლებების და დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოს, საქართველოს მოქალაქეები, მივმართავთ განათლებულ ერებს, მათი დელეგატების სახით საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე ჰაგაში“. შემდეგ მიმართვაში ნათქვამი იყო 1788 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულების შესახებ. ვრცლად იყო აღწერილი ხელშეკრულების დარღვევა, ქართველი ხალხის დევნა და შევიწროება „უცნობი მის ისტორიაში თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ“. მიმართვა მთავრდებოდა: „ასეთი არის მდგომარეობა შექმნილი სამშერიო მთავრობის მიერ წინააღმდეგ უველად მიხდა ხელშეკრულებათა, რომელთაც ჩვენ ვადგენთ განათლებული მსოფლიოს



სახელმწიფოთა წინაშე. შეკრებილთ ბრწყინვალე კონფერენციაზედ. კანონისა და სამართლისათვის დასამუარებლად, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილი იქნება 1788 წლის ხელშეკრულების თანახმად“.

და მაშინ, როდესაც რამდენადმე დაცხრა ანარქისტული „ციებ-ცილებმა“ თავისი „ზენოცილისტური“ იდეების ქადაგებით. ამ ჭკუფის ზოგიერთი წევრი უკვე თანმიმდევრულ და მყარ ეროვნულ ნიადაგზე დგება. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მიხეილ წერეთელი. 1910 წელს ქვეყნდება მისი „ერა და კაცობა“.

1 „ბედა ქართლისა“, პარიზი, № 23-25, 1957, გვ. 16.

რობა", რომელიც თანამედროვეთა აზრით იყო ის უდიდესი ძალის ყუბმარა, რომელიც მან ეროვნული იდეის უარყოფით უხრია. დიდი ილიას მიმდევარმა ერთდერით რეალობად ერი. მისი შეუვალი უფლებები აღიარა და შევერ- მტყუველურად დასაბუთა ეროვნული პრობლე- მის განსაკუთრებული მნიშვნელობა. მისი სიტუ- ვა მებრძოლი პეზუნდა უფლებბაყრილ საქართველო- ში და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერგიას აძლევდა

ცნობილია, რომ დიდი ილიას დასაფლავებამდე მრავალი პატრიოტული სიტუვა წარმოიქვა. მათ შორის თანამედროვეთა გადმოცემით აღსანიშნა- ვი იყო მ წერეთლის საპროგრამო, ღრმაში ნაარსიანი პოლიტიკური სიტუვა.

1919 წელს მიხეილ წერეთელი პეტრე სურ- გულაძესთან ფილიპე გოგინაიშვილთან ვიორგი გეგაშვიასთან იაკობ გოგებაშვილთან, ვალერიან გუნიასთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან და სხვებ- თან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საქარ- თველოს დამოუკიდებლობის ჭგუფის დაარსე- ბაში. ჭგუფს ჰქონდა თავისი გამოცემა „ერის“ სახელწოდებით, რომელიც ცენტურის მიძიმე პი- რობებში სხვადასხვა სახელით გამოდიოდა ეს ბრგანო დიდი მოხერხებით, მაგრამ გაბედულად და გარკვევით მოითხოვდა საქართველოს დამო- უკიდებლობის აღდგენას.

1919 წელს თანადამბრიათ რუსეთში გადა- სახლა მრავალი ქართველი ეროვნული მოღვაწე. მათ შორის პეტრე სურგულაძე, მიხეილ წერე- თელმა კი გასწრო ევროპაში. მალე გადასახ- ლებიდან პეტრე სურგულაძეც ევროპაში გარქცა და თენევაში დაარსა საქართველოს განთავი- ლუფების ჭგუფი. მასში საზღვარგარეთ მყოფ სხვა ქართველ ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად შევიდა იმ დროისათვის ლონდონში მყოფი მიხეილ წერეთელი. ჭგუფი გამოსცემდა თურნალ „თავისუფალ საქართველოს“.

მიხეილ წერეთელი მიეკუთვნება ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა იმ თაობას, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც ქართველი ხალხის, ქართველი საზოგადოების მთელი სოციალური ცხოვრება მშფოთიერე და აბოპოქრებულში იმდენ სახალ- გადოებრივი აზროვნება აფორიაქებული იყო, როდესაც მთელი ხალხი გამოურკვეველი მიმა- ვლის წინაშე იდგა. იმ დროს მოწინავე ქართუ- ლი ინტელიგენცია მომავალს ათხნაირი ფე- რებით უხატავდა და წარმოუჩენდა დაშინებულ და უკეთესი ცხოვრების მომლოდინე საზოგა- დოებას.

მიხეილ წერეთელი იყო 1911 წელს პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე ქართველი პატ- რიოტების მიერ თენევაში შექმნილი საქართვე- ლოს განთავისუფლების კომიტეტის ყველაზე

აქტიური წევრი. კომიტეტმა საქართველოს მსოფლიოებლობის აღდგენისათვის ქართველი ერის სახელით ბელშეკრულენები დაულო გერ- მანიასა და მის მოკავშირეებს. შექმნა ქართული ლეგიონი, რომელიც ლეო ერესელიძის ბელ- მძღვანელობით ოსმალეთთან ერთად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მიხეილ წერეთელი აქტიურ მონაწილეობას ლებულობ- და საქართველოს პოლიტიკური პარტიების საი- დუმლო შენვედრებაში, რომლებზეც ზუსტდებო- და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროგრამა. იგი საზღვარგარეთიდან რამდენჯერმე ჩამოვიდა არაღიგაღულურად წყალქვეშა ნავით სპეციალური მისიით და იარაღიც კი შემოიტა- ნა. 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემ- დეგ დავით ვაჩნაძის ბინაზე შეხვდა საქართვე- ლოს პოლიტიკური პარტიების ბელმძღვანელებს დამოუკიდებლობის გამოცხადების გეგმის შემუ- შავებისათვის

1918 წელს მიხეილ წერეთელი კ. ლოზანაში (შვეიცარია) ერთა კონგრესზე გამოვიდა ვრცე- ლი მოხსენებით ქართველი ერის უფლებათა შესახებ. რომელმაც მსოფლიო რეზონანსი გა- მოიწვია და უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესის მონაწილეებზე. მან გაშეუღლად ამ- ბილია საქართველოს მიმართ რუსეთის ყველა ბორტმოქმედება. ვრცლად გააშუქა მთელი 118 წლის მანძილზე საქართველოს სხული უფუფე- ბობა, მრავალრიცხოვანი ფაქტებით საერთაშო- რისკო საპარტლებრივ პრინციპებზე დაურდნო- ბილ დასაბუთა სამშობლოს უცყოლობელი ხუვე- ტეზული უფლებები. მოხსენება სხე ჰელირად იყო არგუმენტირებული, რომ თვით რუსული წყაროების მისდევით, არამც თუ თვით კონგ- რესზე მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება. თა- მედ დამსწერ რუსებს ენა ჩაუგდა და მათ უფე- დურესად დაბოღმეილება პროტესტო ნაშკად დასტოვეს კონგრესი. მოხსენება დაიბეჭდა ბერ- ლინში ფრანგულ ენაზე საქართველოში უარია- ვისყოფლების კონტეტრის მიერ, პარტიების გა- მოქმედება ქარსულად ბერლინის იმ რთულე გა- შეკრებაში. ამ გავსეში იქედებოდა მ ქართი- ლის ღრმაშინაარსიანი წერილები საქართველო- ინტორიის, ქართველი ხალხის განთავისუფლების ჭზების და უფუფეების შესახებ

მიუხედავად ანტენტური პოლიტიკური მოღ- ვაწეობისა, მიხეილ წერეთელმა მსოფლიოებობა შეცნოერული შრომებზე შექმნა. 1918 წელს ბერ- ლინში გამოიცა მისი ნაშრომი „ქართული და ევრელტურის არბნდებმა კავკასიაში“. 1919-1918 წლებში „სახეფო აზრები ს. შოგინიანი“ ვურ-

2 ე. მოხერხება მოლოისად შეეცდებოდა სახელმწიფოთა და საბოლოოდ განეკუთვნებოდა

ნალში (ლონდონი) იბეჭდებოდა მისი ნაშრომი „სუმბერელში და ქართველები“. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანულად დაიბეჭდა მისი „საქართველო და მისი ისტორია“.

1918 წლის 25 მაი — საკავშირეო საფუძვლის დამყარების დღეს, მისი ნაშრომები „საქართველო და მისი ისტორია“ და „საქართველო და მისი ისტორია“ დაიბეჭდა.

1918 წელს იგი დემოკრატიული საქართველოს ელჩია სკანდინავიის ქვეყნებში.

1920 წელს მიხეილ წერეთელი თბილისის ხანძარში დაიღუპა. მისი ნაშრომები დაიბეჭდა.

საქართველოს ძალდატანებითი გახანძრებისა და კანონიერი მთავრობის იძულებითი ევაკუაციის შემდეგ მ. წერეთელი ერთხანს თბილისში დარჩა. გერმანთი ქიქოძე თვლიდა, რომ მთავრობის საზღვარგარეთ გაზიზვნის შემდეგ თბილისში დარჩენილ ქართველ ინტელაგენტთაგან უველანზე გამოჩენილი სწორედ მ. წერეთელი იყო. „არც პოლიტიკურ მოღვაწეობას, არც პატრული პატრონის ტემპერამენტს მიხაყ წერეთლისათვის, — აღნიშნავდა გ. ქიქოძე, — ხელი არ შეუშლია გამოჩენილი ლიზგვისტი გამბარაძე, მას უმთავრესად ანტერესებდა წინააღიური ენები, ასირიული, სუმერული, ხეთური და მათი კავშირი ქართულ ენასთან. ის თითქმის დედაენასავით ფლობდა ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს. ხილვით იტალიურად ზეპირად მთელ თავებს ამბობდა. დანტეს „ღვთაებრივი კოშკიდან““.

საზღვარგარეთ იძულებითი წახვედის შემდეგ მ. წერეთელი ნაყოფიერ შეცნობიერულ მუშაობას ეწეოდა. მაგრამ არც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორებულა. 1924 წელს სტამბოლში დაიბეჭდა მის მიერ ქართულად გადმოღებული ბაბილონური პოემა „გილგამეშანი“. იქვე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ბეთის ქვეყანა“. ნარკვევი ბეთთა (ხიტოთა) შესახებ. სპეციალისტთა აზრით ეს ნაშრომი, ისევე როგორც ნაშრომები ურარტულთაგანში, ძალად შეცნობიერულ დონეზეა შესრულებული და აღეხაყ ინარჩუნებს დიდ ღირებულებას.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, ზეგონების თხოვნით, მ. წერეთელი გერმანიაში ქართულ ეროვნულ კომიტეტს თავმჯდომარეობდა, რომელშიც შევიდნენ აგრეთვე ზ. ავალიშვილი და ს. კეცია. მუშაობის პირობები ახლა გაცილებით რთული იყო. ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დროს. კომიტეტი მტკიცედ იცავდა საქარ-

თველოს უფლებებს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა. ამიტომ მ. წერეთელმა დაშალა კომიტეტი და თავის თანამშრომლებთან ერთად უოველან ვარი კავშირი გაწყვიტა გერმანიის ბედისუფლებასთან. მაგრამ შეცნობიერული პოლიტიკური მოღვაწეობა სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

მ. წერეთელი შეღვაწეობდა ძალად უფროსად აღევენ მისი თანამედროვენი. ნ. ეორდანიას აზრით „თავიდანვე მიხაყის დროშა იყო და რჩება ქართველის ერის აღორძინება. ამაღლება და საქაცობრიო ომების შეუქანა“. გენერალი გ. კვიციანიძე წერდა, რომ მ. წერეთელმა, პირველმა აღმართა დროშა საქართველოს განჯავისუფლებისათვის და იხიცი იმ დროს, როცა ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა“. გ. რობაქიძის აზრით, მ. წერეთელი მარტო დიდი მეცნიერი არ იყო, რომელიც ჩემთვის იფანე ქავახიშვილის გვერდით დგახო, არამედ პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც საქართველოს „შუა გულიდან“ გამოდიოდა; რომ სწორედ „მიხეილის გული ძგერდა და ძგერს სწორედ ამ შუაგულიდან და მისთვის ვაფასებ მას, როგორც ნამდვილ ქართველ მამულიშვილს“.

იფანე გომართელის ვაფი, არჩილ გომართელი აღნიშნავდა: „ეროვნული საკითხი, სამშობლო და ქართველი ერი — ეს არის ის რაც მიხეილ წერეთელს ახალგაზრდობიდანვე მოხვეწებას არ აძლევს, ის რამაც გამოძვეთა გუნი იყო რა გზით უნდა ევლო მომავალში მომავალ მეცნიერს“.

მ. წერეთლის ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი იყო არა მხოლოდ სამშობლოს დამოუკიდებლობა, არამედ ისტორიული საქართველოს აღდგენა. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ თავის მიხილში აღნიშნავდა: „ქართველი ერის ძველი სამკვიდრებელი საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველია საქართველოს და მის მებრძოლთა, და მიუხედავად იმისა, რომ ის ხან მტერს რჩება, ხან მის კანონიერ პატრონს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ქართველებმაც იყვნენ და საწილი მისი უცხოხ ხელშია, საქართველო მას პაიცი დაკარგულად არ თვლის“.

ამ იდეას ემსახურებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე მ. წერეთელი ეს იდეა დღესაც ინარჩუნებს თავის მაცოცხლებელ ძალას, რამეთუ „ბედი ქართლისა“ გერ არ გადაწყვიტოს.

1	ის „ბედი ქართლისა“	საბჭოთა	1924
2	სი	გვ.	4.
3	სი	გვ.	5.
4	სი	გვ.	19.
5	სი	გვ.	2.

მ. წერეთლის ნაშრომები, კერძო „მხედრობის“ მხ. 1924, გვ. 25.

მოსხმევა ერთა მესამე კონგრესში, რომელიც შეკრებილ იყო
შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, იანვრის 26-28 1919 წ.
(მ. წარმომადგენლის მიერ).

ქრისტიან და მუსულმან ქართველთა სახელით (მაქვს პატივი ვილაპარაკო
ამ პატივცემულ კრების წინაშე. — იმ ერის სახელით, რომელსაც არა ჰქონია
ხოლმე შემთხვევა ხშირად ელაპარაკნა ევროპის წინაშე ასეთ გამოსვლას ევ-
როპის წინაშე ქართველი ერი მაინცა და მაინც არ ეტანებოდა. მიუხედავად
იმისა, რომ შეიძლება მას მეტი მიზეზიც და უფლებაც ჰქონდეს განათლებულ
კაცობრიობის წინაშე ჩივილისა. ვიდრე ბევრ სხვა ჩაგრულ ერს. ერთ საუ-
კუნეზე მეტია რაც საქართველო მსხვერპლია უსამართლობისა. ჩვენ მიჩვე-
ულნი ვართ საუკუნეთა განმავლობაში უსიტყვოდ ავიტანით ტანჯვა და მწუ-
ხარება და უჩივრად ვებრძოდით. საკუთარის საშუალებით. კარზე მომდგარ
უბედურებათა. მხოლოდ დროგამოშვებით რაიმე უდიდესი უბედურება თუ
გვაიძულებდა ხოლმე უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში ხმა აღგვემალეობინა
და კაცობრიობის წინაშე ადამიანობის სახელით გვეჩივლა იმ საშინელი მო-
ნობის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი უბედური ქვეყანა განიცდის რუსთა
ბატონობის წყალობით. ჩვენ არც ჩვენს ღირსებებზე ვლაპარაკობთ ხოლმე. ეს
ცუდი ჩვეულება ჩვენ საბედნიეროდ ამ გვაქვს. არც თანაგრძნობა გვიძებნია
ევროპაში, არც თავის „გაცნობა“ მოგვიწოდებია. რადგანაც ძლიერ კარგად
ვიციტ ღირებულება ასეთი პროპაგანდასა.

ჩვენ ძლიერ ბევრი ტანჯვა გამოგვივლია და ამიტომაც არ გვიყვარს სწო-
რედ ბევრი ლაპარაკი. მაგრამ ეხლა, როდესაც ჩვენი თვალის წინ ხდება მთელს
ქვეყანაზე დიდი პოლიტიკური ცვლილება, ჩვენც მიგვაჩნია საჭიროდ ავიმალ-
ლოთ ხმა და დავიცვათ ჩვენი კანონიერი უფლებანი. კიდევ ერთხელ გვინდა
ვსცადოთ ვაცნოთ მთელს კაცობრიობას ვერაგობა და ლალატი. რომლითაც
რუსის მთავრობამ ქართველი ერი მონობის უღელში შეიბა. რუსის მთავრობამ
ერთ საუკუნეზე მეტია რაც ქართველ ერს აპხადა ყოველივე უფლება და აწამა
იგი, წინააღმდეგ ყოველივე სამართლისა და სამართლიანობისა. ჩვენც არასა
ვსთხოვთ განათლებულ კაცობრიობას გარდა იმისა, რომ დავგვიბრუნდენ ჩვენი
კანონიერი უფლებანი. თუ საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ზნე-
ობა არ გამქრალან, თუ სამართლისა და ზნეობის შეგნება ერთა შორის არ აღ-
კვეთილან, მაშინ ჩვენცა გვაქვს უფლება ვეკუთვნოდეთ კაცობრიობას და მის
წინაშე სამართალი ვეძიოთ.

რუსის იმპერატორებმა და მათმა მთავრობამ დაარღვიეს ის ხელშეკრუ-
ლობანი, რომელნიც მათ საქართველოსთანა ჰქონდათ დადებული საერთაშო-
რისო სამართლის წესთა თანახმად. მათ მათივე დანაპირები ფეხქვეშ გასთელეს.
უღალატეს „იმპერატორებით სიტყვას“ მოსპეს რა ის გარანტიებიც კი, რომ-
ელნიც მათ აღუთქვეს ქართველ ერს თავიანთ მანიფესტებში.

საქართველო რუსეთისაგან დაპყრობილი ქვეყანა არ არის. მხოლოდ
უვიცებს ჰგონიათ. რომ იმ ომს, რომელიც სამოც წელიწადს გაგრძელდა კავ-
კასიის დასაპყრობად. საქართველოს დაპყრობაც მოჰყვა შედეგად. მაგრამ

ვისაც ეს მართალი ჰკონიათ. მან არა იცის რა არც კავკასიის გეოგრაფიისა, არც მისი ეთნოგრაფიისა და არც მისი ისტორიისა.

საქართველოს უჭირავს ამიერკავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი — გუბერნიები თბილისისა და ქუთაისისა, ბათუმისა, სოხუმისა და ნახევარი ყარსის და ზაქათალის ოლქთა. ეს იყო ის მიწა, რომელზედაც განვითარდა საქართველო მის ორი ათასი წლის ისტორიის განმავლობაში. ამავე მიწა-წყალზე იყვნენ ის სამეფონი და სამთავრონი საქართველოსა, როდესაც რუსის ბატონობა დამკვიდრდა იქ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, და დღესაც ამავე ადგილზე ადგია ქართველ ერს რუსის მონობის უღელი.

ამ ერთან რუსეთს არასოდეს არა ჰქონია ომი, რუსებს კავკასიის მთიელებთანა ჰქონდათ ხანგრძლივი ომი და იქ დამკვიდრდნენ ისინი ეგრეთ წოდებულ დაპყრობის უფლების ძალითა, ხოლო საქართველოში რუსები სულ სხვა წესით შემოვიდნენ.

სომხეთისა და ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველო ერთადერთი დამოუკიდებელი საქრისტიანო სახელმწიფო იყო მთელს აზიაში, სადაც ბატონობდნენ სხვა ერნი, სხვა ცივილიზაციითა და სარწმუნოებით; იგინი არ იყვნენ ქრისტიანენი. საქართველო, უმეგობროდ დარჩენილი, წარმოადგენდა პატარა საქრისტიანო კუნძულს ამ მტრულად განწყობილ ერთა ოკეანეში. ამ უკანასკნელს კი მუდამ ეჩოთიერებოდა მის წიაღთა შინა საქრისტიანო კუნძულის არსებობა და სცდილობდა მუდამ მის მოსპობას, მის სრულს აღევას პირისაგან მიწისა.

ქრისტიანობა შვეიდა საქართველოში პირველ საუკუნეებიდანვე და მან ასალი მიმართულება მისცა საქართველოს ეროვნულ კულტურის განვითარებას. საქართველოს ეროვნული გენიაც არ იყო აღმოსავლური, და ამასთანავე იგი არც დასავლეთეფროპული იყო. საქართველოს ეროვნული კულტურა ქართულ ეროვნული გენიოსობის შემოქმედება იყო, აღმოცენებული ქრისტიანობის ნიადაგზე. მაგრამ, მის განვითარებაზე გავლენა ჰქონდათ ბერძნულ, სპარსულ, სომხურ და სხვ. კულტურათა. საქართველო წარმოადგენდა წევრს იმ საუღიერ ორგანიზმისას, რომელიც ერთ დროს საერთო ძალით შეჰქმნეს აღმოსავლეთის ქრისტიანე ერებმა. — ერთს შემოქმედებით უძლიერს წევრს ამ ორგანიზმისას, რომელიც საუბედუროდ მალე განჰქრა.

საქართველომ გმირული ბრძოლა გადაიტანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად სპარსთა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ I-VII საუკუნებამდე. წინააღმდეგ მე-VII საუკუნიდან მე-XII-ს დასაწყისამდე. მან მარცხდებოდა, ხან იმარჯვებდა იგი. მაგრამ სახელმწიფოებრივობა არ დაუკარგავს. მტრებმა გამარჯვების შემდეგაც ვერ მოსპეს მისი პოლიტიკური ცხოვრება. ეროვნული ძალები უკვე მეთათე საუკუნიდან იკრიბებოდნენ. მიუხედავად უცხოთა შემოსევათა და უკვე მე-XI საუკუნეში საქართველო წარმოადგენდა გაერთიანებულ ერს, რომელსაც შეეძლო თავი დაეღწია არაბთა ბატონობისაგან და დაეცვა თავის მიწა-წყალი აზიის მოხეტიალე ხალხთა შემოსევებისაგან. მე-XII საუკუნის დასაწყისში საქართველომ თავის საზღვრებიდან განაძევა მთლიან ერთიანად არაბები, თურქები და სპარსელები და გაავრცელა თავისი ბატონობა მთელს კავკასიაში, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, და აგრეთვე ერთი ნაწილიც სომხეთისა შემოიერთა. მე-XII-XIII საუკ. საქართველო ბიზანტიის იმპერიის შემდეგ ყველაზე უფრო დიდი, ძლიერი და განათლებული საქრისტიანო სახელმწიფო იყო მთელს აზიაში. მე-XIII საუკუნის ბოლოში ეს ძლი-

ერი სახელმწიფო მოსპო მონგოლთა შემოსევამ და მე-XIV საუკუნის ბოლომდე საქართველო მონგოლთა მძიმე უღლის ქვეშ ჰკმინავდა. მონგოლთა ბატონობამ დაანაწილა პოლიტიკურად საქართველო და დააქვეითა იგი კულტურულად. ამიტომაც მონგოლთა გაძევების შემდეგ მას აღარ შეეძლო ძველებურად მოეგერიებინა სპარსელები და ოსმალები, რომელთაც მე-XV საუკუნიდან ახალი ძალით განაახლეს თავდასხმა საქართველოზე. ამ დროიდან დაწყებული რუსების საქართველოში შემოსვლამდე, ქართველთა ბრძოლა განმანადგურებელ ოსმალ-სპარსთა მუდმივ შემოსევის წინააღმდეგ სხვა არა იყო რა, თუ არ თავგანწირული ცდა ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაცვისა.

მაგრამ ტრაგედია ქართველი ერის ისტორიისა მართო ის კი არ იყო, რომ იგი იძულებული იყო ებრძოლა უთვალავ მტერთა წინააღმდეგ, საუკუნეთა განმავლობაში. არამედ ის, რომ ქართველი ერი თავისი სულითა და ცივილიზაციით არ ეკუთვნოდა აზიელ ხალხთა ჯგუფსა. როგორცა ვსთქვით, საქართველო ეკუთვნოდა იმ ცივილიზაციას, რომელიც აღმოსავლეთში ქრისტიანობისაგან იყო შექმნილი. ქართველი ერის შემოქმედებითი ძალანი ამ სფეროში განვითარდნ. მისი ეროვნული შეგნება და მისი პოლიტიკური ცხოვრება აგრეთვე ამ ცივილიზაციის წიაღსა შინა შთანისახენ. და როდესაც ის ზემოხსენებული სულიერი ორგანიზმი, რომლის მოქმედი წევრიც საქართველო იყო, გაქრა, საქართველოც მართო დარჩა როგორც ერთი ნაკვეთი საუკუნოდ დაკარგულ სულიერ ქვეყნისა. იგი ხშირად ებრძოდა ხოლმე ბიზანტიასა და სომხეთს, მაგრამ ცივილიზაციის მსგავსების წყალობით კავშირი და თანხმობაც შესაძლებელი იყო მათ შორის და მართლაც დიდი ერთობა ჰქონდა საქართველოს ამ საქრისტიანო ქვეყნებთან, რადგანაც მათ მიზნებიც ჰქონდათ საერთო. მაგრამ სოლიდარობა და კავშირი იმ ხალხებთან, რომელთაც ბერძენთა და სომეხთა ადგილი დაიჭირეს პოლიტიკურად, ძნელი იყო და უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელიც საქართველოსათვის, რადგანაც ვიწრო კავშირი ამ უცხო კულტურის ერებთან საქართველოს სულიერ მოსპობას მოასწავებდა. ეროვნების დაკარგვასაც კი, იმდენად განირჩეოდა ეროვნულად სული ქართველთა სპარსთა და ოსმალთა ეროვნული სულისაგან. და თუ მისის პოლიტიკურის სიძლიერის დროს საქართველო კავშირსა და მეგობრობას ეძებდა ხშირად ევროპაში, მუხუთმეტე საუკუნიდან მან იქ დახმარებისა და დაცვის ძებნა დაიწყო, რადგანაც სწადა დაკარგულის მაგივრად ისეთი ახალი სფერო ენახა ცივილიზაციისა, სადაც მას შეეძლებოდა თავისუფლად განეითარებინა თავისი ეროვნული პიროვნება, დაეცვა სარწმუნოება და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ხან პაპის წინაშე ეძებდა საქართველო დახმარებასა და ხსნას, ხან ევროპის ხელმწიფეთა წინაშე, მაგრამ ამ დროს ევროპას საქართველო არ აინტერესებდა; მას თავისი საქმეები ჰქონდა, უფრო საჭირო, ვიდრე საქართველოსი, და საქართველოც მალე დარწმუნდა, რომ ევროპიდან შეეღა არ იქნებოდა.

მაგრამ მე-XV საუკუნიდან ვითარდება საქრისტიანო რუსეთი. ამ დროიდან იწყება დიპლომატიური დამოკიდებულება საქართველოს მეფეთა და რუსეთის ხელმწიფეთა შორის იმ ბერძენთა საშუალებით, რომელნიც აქეთ-იქით გაიბნენ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ და რუსეთში და საქართველოშიც მოვიდნენ. მე-XVI საუკუნეში დამოკიდებულება რუსთა და ქართველთა შორის უფრო ინტენსიური ხდებოდა. საქართველოს ელჩები წარუდგებიან რუსეთის მეფეს იოანე მრისხანეს 1557 წელს; მე-XVII საუკუნეში საქართველო

ლოს ელჩები წარუდგებიან რუსეთის მეფეთ თეოდორეს, ბორის გოდუნოვს და ალექსი მიხეილის ძეს.

მე-XVIII საუკუნეში მუდმივი დიპლომატიური დამოკიდებულება აქვს საქართველოს პეტრე დიდთან, ელისაბედთან, ეკატერინე მეორესთან. იმპერატორ პავლე პირველთან და ალექსანდრე პირველთან. და რუსეთის ელჩებიც მოდიან საქართველოში: ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში და კახეთში, და შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში — იმერეთში და სამეგრელოში.

ამ მისვლა-მოსვლას პირველად უფრო სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდა: საქართველოსა და რუსეთს სწაღდათ შეერთებული ძალებით ქრისტიანების დაცვა მტერთა წინააღმდეგ. შემდეგ ამ მისვლა-მოსვლამ წმინდა პოლიტიკური ხასიათი მიიღო და ეკატერინე მეორის დროს რუს-ქართველთა მოლაპარაკება გათავდა საერთაშორისო ხელშეკრულებით რუსეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. — ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის.

რასაკვირველია რუსეთსაც ჰქონდა მიზნად ქვეყნის შემატება, და ამიტომაც ხშირად ჰკრავდა ხოლმე იგი საქართველოს მეფეებთან და თავადებთან სამხედრო ხელშეკრულებებს, რომ საერთო ძალით ეომა ოსმალთა და სპარსთა წინააღმდეგ. ოსმალეთი და სპარსეთი ნათლად ჰხედავდნენ, რომ რუსეთი ერთ დროს საშინელი საფრთხე გახდებოდა მათთვის, თუ კი კავკასიაში გაბატონებას მოახერხებდა. და ამიტომ ყოველის ღონისძიებით უშლიდნენ ხელს რუს-ქართველთა დაახლოვებას.

ყირიმის დაპყრობის შემდეგ ეკატერინემ მოიპოვა ზღვაოსნობის უფლება შავ ზღვაზე — აქედან ეძლეოდა მას საშუალება თვით ქართველთა საშუალებით საქართველოში დამკვიდრებისა. საქართველო იძულებული იყო არ აშლოდა რუსეთს მიუხედავად მათის მუდმივის ღალატისა. მართალია, რომ ირაკლი მეორე მუდამ სცდილობდა მფარველობა დასავლეთ ევროპაში ენახა და რუსეთისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ აქედანაც არა გამოვიდა რა. ერეკლემ გაჰგზავნა ელჩები ევროპაში. მაგრამ მათ ვერც კი მიაღწიეს ევროპაში ხელმწიფეთა კარსა. რუსეთი და ოსმალეთი შეუძლებლად ჰხდიდნენ საქართველოსა და ევროპის შორის დიპლომატიურ დამოკიდებულებასა.

სწორედ ამ დროს, ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის დამლევის, საქართველო კვლავ გაძლიერდა პოლიტიკურად. მისი გონებრივი განახლება უკვე ვახტანგ მეექვსის დროიდან იყო თვალსაჩინო. მაგრამ ირაკლი მაინც ჰხედავდა, რომ ეს პოლიტიკური გაძლიერება საქართველოსი წარმავალი იყო. მან კარგად იცოდა, რომ პატარა საქართველოს დიდხანს აღარ შეეძლო პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაცვა, და დაჰკარგა რა ყოველივე იმედი სხვაგან შველისა, მან 1771 წელს პეტერბურგს გაჰგზავნა საქართველოს რუსეთთან კავშირის პროექტი. საყურადღებოა, რომ ეს აქტი მან ჩაიღინა ასპინძის ომის შემდეგ, როდესაც მან 1770 წელს მტერი საშინლად დაამარცხა, მიუხედავად რუსის გენერლის ღალატისა; ტოტლებენმა იგი მართო დასტოვა ბრძოლას ველზე და რუსეთს გაიქცა თავის ჯარით. და ისიც ვისგან? ისეთი კაცისაგან, რომელიც ერთი თავზე ხელადებული მაწანწალა იყო, სიკვდილით დასჯილი შვიდი წლის ომის დროს, პეტრე-პავლეს ციხეში ჩამწყვდეული ღალატისათვის რუსეთში. შემდეგ ისევ შეწყალებული ეკატერინე მეორის მიერ და ქართველთადმი მისგანვე გამოგზავნილი ჩვენ სამეგობროდ და საშველად! აი ასეთს მაწანწალას.

მოდლატესა და ინტრიგას პეზაგნიდა რუსეთი საქართველოში მასთან რისა და მეგობრობის განსამტკიცებლად! და მართლაც ეს ეკავ პირველი სი-
შანი იყო საქართველოში რუსის ჩინოვიციების ბატონობისა. რამაც შედეგ
საუკუნეში მთლად ერთიანად განადგურა და წარუგა საქართველო უდიდეს
საც საუკუნეთა განმავლობაში ურდულოა მოხდა უფროსად იმყოფ

ერეკლე მეორის რუსეთთან განსივთა პროტეკტისასწილად, რომელსა და
დაამტკიცეს რუსეთმა და საქართველომ 1783 წ. და მისი დათავობა უფროსად
წ. I. ამიერიდან ერეკლეს აღარ ეწივება ვალი საქართველოსა. უფროსად
სპარსეთის ვასალსა; არამედ როგორც ქრისტიანი და მოკავშირე რუსეთისა
იგი ატარებს სახელს საქართველოს მეფისას. — სახელსა და უფლებას. რომ
მელსაც რუსეთი მას უმტკიცებს საუკუნოდ. მასა და მის შამყიდრეთა. რუსეთ
ნეთა დასასრულამდი.

II. ის ქვეყნები, რომელნიც მიხად საქართველოს უფროსად — ლი-
ვანა, აჭარა, ჩუჭა ახუ შეკა, შირვანი და სხვაბი წაერძნათ მოხერხებულ
დროს მათ თანამედროვე მპყრობელთა და შედგენენ საქართველოს განუყო-
ფელ ნაწილს.

III. მეფის სიცდილის შემდეგ ინვესტიტურა (მიყვდ დაამტკიცების უფ-
ლება) ეკუთვნის რუსეთს და იგი დაამტკიცებს მეფედ საქართველოს მეფის
უფროს შეილს.

IV. თუ თბილისში მეფის სასახლეს ეწვია ელჩი ან წაიხრეხავილნი, სა-
იდუმლო ან განცხადებულა, მეფემ რუსეთს უნდა შეატყობიხთა, და რუსეთის
გადაწყვეტილებამდე არ უნდა გასცეს პასუხი ამ წარგზავნილთა.

V. პეტერბურგში ირაკლის წარმომადგენლად იქმნება ვასსაკეთობელი
ელჩი; აგრეთვე რუსეთის ელჩი იქმნება საქართველოში რუსეთის წარმომად-
გენლად.

VI. ყველა შემოსავალი და გადასახადი, საქართველოში შეტრებული —
ფული, პური, ღვინო და სხვა. — ეკუთვნის საქართველოს მეფეს. როგორც
ეს ძველად იყო, და რუსეთს არავითარი წილი არ ეკვება მასში.

VII. როდესაც საქართველოს მეფე დიდ მოხალეებს დახმნავს, სარდალს
ან სხვათა მან უნდა წარუდგინოს თავისი არჩევანი რუსეთს, მაგრამ შროლიდ
ფორმისათვის, და რუსეთი არასოდეს არ იქნება წინააღმდეგე ამ არჩევნისა.

VIII. პატრიარქი, ახუ კათალიკოზი საქართველოისა, იქმნება რიგით მერვე
რუსეთის არქიეპისკოპოსთა შორის, და მაშასადამე, იგი მოუხატებს თავის სხვა
სახელთა სახელს ტობოლსკის არქიეპისკოპოსისას, უწმ, სინოდი არ ჩაერევა
სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ (ბერძნულ) ეკლესიის საქმეებში.

IX. საქართველოს თავადთა და აზნაურთ იგივე ღირსება და უფლება ექ-
მნებათ, როგორც აქვსთ რუსეთის თავადთა და აზნაურთ, რომელნიც ამ სა-
ხელთ ატარებენ.

X. ქართველთ, რომელთაც სურთ თავიანთ ოჯახებით რუსეთში დასახ-
ლება, უფლება აქვსთ დაესახლონ, და პირიქით, რუსებს აქვსთ უფლება დაე-
სახლონ საქართველოში. აგრეთვე შემდეგ, თუ ეს ამ ახალ მოსახლეთ მათი
ახალი საცხოვრებელი არ მოეწიხათ, უფლება აქვსთ სამშობლოში დაბრუნდენ.
ვაქციულნი ქვეშევრდომნი ან ჯარისკაცბი უნდა დაუბოუხონ ერთიანად რუ-
სეთმა და საქართველომ; აგრეთვე ოსძალეთთან ომის დროს, ის ქართველები,
რომელნიც მტრის ჯარში იბრძობებენ და ტყვედ იქმნებიან წამოყვანილნი,
საქართველოს მეფეს უნდა დაუბრუნდენ, და პირიქით, რუსეთს უნდა დაუბ-

რუნდენ მტრის ჯარში მებრძოლნი და ტყვედ წამოყვანილნი რუსის ჯარის-
კაცები.

XI. რუსის ვაჭრებს საქართველოში იგივე უფლებანი ექმნებათ, როგორც
რუსეთში და: პირიქით, ქართველ ვაჭრებს იგივე უფლებანი ექმნებათ რუ-
სეთში, როგორც საქართველოში. რუსეთშიაც და საქართველოშიაც იგინი კა-
ნონით უნდა გაასამართლონ.

XII. ეს ხელშეკრულება საუკუნოა. მაგრამ თუ საჭირო იქმნება მისი რო-
გორმე შეცვლა ორივე მხარის სასარგებლოდ. ასეთი შეცვლა უნდა მოჰხდეს
მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

ამ ხელშეკრულებიდან სჩანს, რომ საქართველო ტრაქტატის ძალით ნა-
ბევრად-დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. მან დაუთმო რუსეთს ინვესტი-
ტიურის უფლება და უფლება უცხო სახელმწიფოებთან განწყობილებათა მო-
წესრიგებისა. სხვა მხრით საქართველო ისევ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ
რჩებოდა. რუსეთი რომ ირაკლის „მეფის სახელს“ უმტკიცებდა, ეს მხოლოდ
გაუგებრობა იყო. მეფის უფლება ერეკლეს მამა-პაპათაგან ჰქონდა გადმოცე-
მული ქართულის სამართლის ძალითა. ამ უფლებას საუკუნეთა განმავლობაში
ჰქონდა ქართველ მეფეთათვის ძალა და აზრი.

ხელშეკრულების მე-VIII მუხლი, კი, რომლის ძალითაც საქართველოს
კათალიკოზს მერვე ადგილი უნდა დაეჭირა რუსეთის არქიეპისკოპოზთა შო-
რის, პირდაპირი შეურაცხყოფა იყო საეკლესიო სამართლისა, მაგრამ საქარ-
თველომ ამ შეურაცხყოფას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მისთვის თავი
და თავი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა იყო, ეს დამოუკიდებ-
ლობა კი ხელშეუხებელი რჩებოდა მე-VIII მუხლის ძალით.

შემდეგი ფაქტებიდან აგრეთვე ცხადია, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა
ეკატერინე მეორე საქართველოსთან კავშირსა. როდესაც 1771 წ. ერეკლე
მეფემ პეტერბურგში გაჰგზავნა პროექტი ხელშეკრულებისა, გრაფმა პანინმა,
რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ამ პროექტს „უცნაური“ პრო-
ექტი უწოდა, რადგანაც მან იცოდა, რომ სწორედ ამ დროს საქართველო გაძ-
ლიერებული იყო, ვიდრე როდესმე. პროექტზე ერეკლემ არავითარი პასუხი
არ მიიღო. მტრებმა კი კვლავ დაუწყეს საქართველოს მუქარა განადგურებისა.
ათი წელიწადი უცადა ერეკლემ რუსეთის პასუხსა, — რომ ვეღარ მიიღო.
ავსტრიის იმპერატორს გაუგზავნა 1781 წ. ელჩები და სთხოვდა კავშირსა. ამას-
თანვე მან კობიოები ავსტრიასთან კავშირის პროექტისა პეტერბურგსაც გაჰ-
გზავნა. მხოლოდ მაშინ უბრძანა ეკატერინემ ვიცე-კანცლერ ბეზბოროდკოს და
თავად პოტემკინს მყისვე შეეკრათ კავშირი საქართველოს მეფეებთან (ერეკ-
ლე მეორესთან და იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან), არ ეწოდებიათ ამ
მეფეთათვის „ქვეშევრდომი“, არამედ „მოკავშირე“ და „რუსეთის მფარველო-
ბის ქვეშ მყოფი“, და დაეშალათ ყოველის ღონისძიებით საქართველოს დაახ-
ლოვება ავსტრიის იმპერატორთანა და საზოგადოდ დასავლეთის საქრისტიანო
სახელმწიფოებთან!

1783 წლის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოჰხდა იმავე წელს. საქარ-
თველომ შეწყვიტა უკანასკნელი კავშირი ევროპასთან და მიიღო რუსეთის
პროტექტორატი. მაგრამ რუსეთი უხლაც არ ჰფიქრობდა ავსრულებინა მოვა-
ლეობა, რომელსაც მას აკისრებენ ძველი სამხედრო ხელშეკრულებანი და
უმთავრესად ხელშეკრულება 1783 წლისა. სპარსეთის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა
პროტესტი განაცხადა 1783 წლ. ხელშეკრულების წინააღმდეგ და ომით და-

ემუქრა საქართველოს. ქართველები და თვით იმ დროს საქართველოში მყოფი გენერალი გუდოვიჩი სთხოვდნ რუსის მთავრობას, რაც შეიძლება მალე მრეწველებია ჩარები, რადგანაც სპარსელები შემოსევას აპირებდნ. რუსის მთავრობა ყურსაც არ იბერტყავდა. ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს ულტიმატუმი დაუყენა და პირდაპირ ითხოვდა 1783 წლის ხელშეკრულობის გაუქმებას. ერეკლემ ამ ულტიმატუმზე შავს პასუხი არ გასცა. მაშინ კი ალა-მაჰმად-ხანი სამოცი ათასი ჩარით შემოიჭრა საქართველოში. დასწვა თბილისი და ააოხრა მისი მიდამოები. თუმცა საშინლად დამარცხდა კრწანისის ველზე, წაიყვანა აუარებელი ტყვე და გაბრუნდა სპარსეთს 1795 წელს. 1788 წლიდან პეტერბურგში მყოფი საქართველოს ელჩი გარსევან ჭავჭავაძე ეხვეწებოდა რუსის მთავრობას ჩარის მიშველებას, რადგანაც იგი მოელოდა იმ უბედურობას. რომელიც საქართველოს დაატყდა თავზე, მაგრამ დახმარების მაგივრად ლალატი იწვნია საქართველომ ერთხელ კიდევ რუსეთისაგან. და ეკატერინემ მხოლოდ 1796 წელს გამოუცხადა სპარსეთს ომი, რომ იგი „დაესაჯა“ საქართველოს განადგურებისათვის; მაგრამ გვიანდა იყო. განადგურებულმა საქართველომ ამ ომით ვერა მოიგო რა. ამ ლალატის შედეგი საქართველოს სრული დასუსტება იყო; ახლა კიდევ უფრო შეეძლო რუსეთს საქართველო ყველაფერზე დაეთანხმებია, რაც რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო. ამასთანავე რუსეთმა იპოვა სასურველი „მიზეზი ომისა“ სპარსეთის წინააღმდეგ, რომელმაც გაანადგურა „იმპერიის მოკავშირე ქვეყანა“.

მიუხედავად ყოველივე ამისა მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკატერინეს აზრად აქონდა პირდაპირი დარღვევა 1783 წლის ხელშეკრულებისა. მართალია ეკატერინეს ესაჭიროებოდა სამხედრო დახმარება საქართველოს მხრივ და თვით კი არა ჰფიქრობდა იგივე დახმარება გაეწია გაჭირვებულ საქართველოსათვის; იგი პირდაპირა სწერდა გენერალ სუხოტინს, რომ მას არ დაეფიცებია ქართველები რუსეთის ერთგულობაზე, რადგანაც იმპერატრიცას არ უნდოდა უცხო ქვეყნის მითვისება, არამედ ესაჭიროებოდა მხოლოდ მისი სამხედრო დახმარება. მართალია ისიც, რომ 1773-1779 წლ. მრავალი სამხედრო ხელშეკრულება იყო საქართველოსა და რუსეთს შორის, მაგრამ ეკატერინეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ჰფიქრობდა საქართველოს მფარველობასა და სცდილობდა მხოლოდ მისი სამხედრო ძალით ესარგებლა. მაინც არა ჰსურდა საქართველოს გადაქცევა რუსეთის გუბერნიებად. პირიქით, 1796 წელს მან ერეკლეს წერილი მისწერა, რომელშიაც იგი ლაპარაკობდა ქრისტიანობის დაცვის საჭიროებაზე, საქართველოს საზღვართა გაფართოებაზე და სხვ. როგორც ეს იყო აღნიშნული 1783 წლის ხელშეკრულებაში. შეიძლება ეკატერინეს მხრით ყოველივე ეს დიპლომატიური ხრიკები იყო, მაგრამ მაინც უნდა მოვიხსენიოთ ეს ფაქტები, თუ გვსურს, რომ ისტორიულ კეშმარიტებას არ ვუღალატოთ.

მაგრამ იმავე 1796 წელს გარდაიცვალა ეკატერინე. რუსეთის ტახტზე ავიდა იმპერატორი პავლე I და აქედან დაიწყო გადარეული პოლიტიკა ამ შერყეული და ავადმყოფი ხელმწიფისა. მან უკანვე დააბრუნა ჩარები, რომელნიც სპარსეთში იბრძოდნენ. „ქართული საკითხი“ მას ავადმყოფობად გადაექცა და არ ასვენებდა. მან ბრძანება გასცა შეექმნათ „ფედერატიული სახელმწიფო საქართველოს სამთავროთა“. რომელიც უნდა ყოფილიყო „დამოკიდებული იმპერატორ პავლესაგან“, რადგანაც იგი იყო ამ სამთავროთა უმაღლესი ბატონი“. „მე მათგან არა მსურს რა ერთგულების მეტიო“. ამბობდა

პავლე, ერეკლე მეფე გარდაიცვალა 1798 წელს და მისი შვილი გიორგი XII, რომელსაც მამისაგან არც დიპლომატიური და არც სამხედრო ნიჭი არ გამოჰყოლია, ავიდა საქართველოს ტახტზე. საქართველოს საქმეებიც აირ-დაირიგნენ. იმპერატორი პავლე მუდამ გატაცებული იყო „საქართველოს საკითხითა“. მან შეიმუშავა ახალი პროექტი საქართველოსთან კავშირისა და გაგზავნა იგი საქართველოში 1799 წელს. ამ პროექტის რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო იმის შემდეგ, როდესაც ქართველები მას მიიღებდნენ და პავლეს ელჩებიც დაბრუნდებოდნენ პეტერბურგს. მაგრამ სანამ რუსის ელჩები პავლეს პროექტით თბილისს მიაღწევდნენ, გიორგი XII გარდაიცვალა (1800 წელს, 23 დეკემბერს). თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების თანხმობით გიორგის მემკვიდრემ დავითმა განიხილა პავლეს პროექტი, მიიღო მისი უმთავრესი მუხლები, დაუმატა ახალი მუხლები და გაგზავნა უკანვე პეტერბურგს. მაგრამ ახლა კი პავლე I-ს ვეღარ ჩაუტყდნენ ცოცხალს პეტერბურგში დაბრუნებულმა ელჩებმა. ამგვარად ეს პროექტი პროექტადვე დარჩა; მისი რატიფიკაცია არ მომხდარა მაშასადამე არავითარი იურიდიული ღირებულება არა ჰქვს საერთაშორისო სამართლის მხრივ.

მაგრამ ამ ხელშეკრულების პროექტის ძალითაც კი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება სრულიად არ ისპობოდა; საქართველო კვლავ რჩებოდა სახელმწიფოდ, თუმცა იგი პირდაპირი ვასალი უნდა ყოფილიყო რუსეთისა.

აი უმთავრესნი მუხლები ამ ხელშეკრულობის პროექტისა:

I. მისი უდიდებულესობა იმპერატორი სრულიად რუსეთისა მიიღებს ტიტულს საქართველოს მეფისას, აგრეთვე იმპერატორის შთამომავალნი მემკვიდრენი

II. საქართველოს მეფის უფროსი ძე დავითი იქმნება საქართველოს მმართველად, და ეს სახელი გადაეცემა უფროსის ძისაგან უფროს ძეს. შთავის მის შთამომავლობას.

III. საქართველოს მცხოვრებნი არ გადაიხდიან არავითარ გადასახადს თორმეტი წლის განმავლობაში, რომ მათგან გადახდილ განმანადგურებელ ომთაგან შეისვენონ.

IV. 6.000 რუსის ქვეითი ჯარი იქმნება მუდამ საქართველოში; ქართველები შეადგენენ კავალერიას ამ მუდმივი ჯარისას.

V. ფულს, რომელიც მოიჭრება ამიერიდან თბილისში, ექმნება ერთ გვერდზე ბეჭედი რუსეთისა და მეორე გვერდზე ბეჭედი საქართველოსა, და სავ.

როგორც აქედანაც სჩანს, ავადმყოფ ხელმწიფის ხელშეკრულობის პროექტის ძალითაც ბაგრატიონთა სამეფო სახლს არ ერთმეოდა საქართველოს ტახტი, და მართლაც დავითმა, გიორგი XII-ს შვილმა, რომელიც მემკვიდრედ იქმნა აღიარებული 1799 წელს თვისის მამისაგან და აგრეთვე იმპერატორ პავლესაგან და რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა, ძლიერი პროტესტი განაცხადა, როდესაც იგი რუსებმა ტახტიდან გადააყენეს მოკლე დროის მეფობის შემდეგ, მან განაცხადა, რომ თვით პავლეს ხელშეკრულობის პროექტის ძალითა ჰქონდათ ბაგრატიონთ საქართველოს ტახტზე ჯდომის უფლება, და რომელი სამართლით არღვევდა რუსეთი „უწმინდეს“ ტრაქტატს, დამტკიცებულს 1783 წელს, რომელიც მტკიცედ აღიარებდა ბაგრატიონთა უფლებას საქართველოს ტახტის პყრობისას?

მაგრამ ერთმა მოულოდნელმა ამბავმა გადასწყვიტა დავით მეფისა და

საქართველოს მეფობის ბედი. იმპერატორმა პავლემ არ დაუცადა იმ ელჩების დაბრუნებას, რომელიც მან თბილისში გაგზავნა და გაატანა ზელშეკრულების პროექტი 1799 წელს მან გამოსცა საპეციალური მანიფესტი 18 იანვარს 1800 წელს, რომლითაც იგი აცხადებდა, რომ „საქართველო რუსეთთან შეერთებულა ქვეყანა“ არისო, მაგრამ საქართველოს სამეფოს შეერთებასთან ერთად აღვიარებთ, რომ „ყველა უფლება და პრივილეგია ქართველთა ზელშეუხებელ იქმნებიანო“. ამავე წლის 20 იანვარს იმპერატორი სწერდა რუსის გენერალს, რომელიც უკვე ჩართო შეესია საქართველოს „მე მსურს, რომ საქართველო გუბერნიად გახდეს; დაუქვემდებარეთ მაშასადამე საქართველოს სამოქალაქო მმართველობა სენატსა. ხოლო საეკლესიო საქმეთა გამგეობა — სინოდს. მაგრამ არ შეეხოს საქართველოს პრივილეგიებსაო“! საკვირველი რამ არის! პავლეს უნდოდა საქართველოს სახელმწიფოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევა. მისი სამოქალაქო მმართველობისა და მისი საეკლესიო საქმეთა სენატისადმი და სინოდისადმი დამორჩილება და თანაც სწერდა ბრძანებას — საქართველოს პრივილეგიებს არ შეეხოსო! მართალია, ეს ხელმწიფე სულით იყო ავად და ხშირად ამბობდა ხოლმე: „მე მსურს რომ ისა ჰქმნან, რაც მე მსურსო“. მისი მანიფესტი 1801 წლისა და მისი წერილი რუსის გენერალისადმი მაშასადამე გიჟის ნებისყოფის შედეგია. მაგრამ აქვს რაიმე ღირებულება ავადმყოფ ზელმწიფეთა აქტს? ალექსანდრე I-ლმა აღიარა ეს აქტი მისის გიჟის მამისა, დაამტკიცა რა იგი თავის მანიფესტით 1801 წელს.

იმპერატორ ალექსანდრე პირველის ტახტზე ასვლის დროს რუსის მთავრობის სფეროებში გაბატონებული იყო ორი აზრი საქართველოს საკითხის შესახებ. ერთი იყო მომხრე საქართველოს გუბერნიად გადაქცევისა. გენერალი ენორინგი, ენგელი და სხვ. წარმოადგენდნენ ამ აზრს. მეორე იყო მომხრე 1783 წლის ზელშეკრულობის დაცვისა, ანუ 1799 წლის ზელშეკრულობის პროექტის დამტკიცებისა. იმპერატორი, ვორონცოვი, კოჩუბეი, ნოვოსილცევი, ჩარტორიესკი და სხვები წარმოადგენდნენ ამ აზრს. იმპერატორმა დააბრუნა ორჯერ ეს საკითხი საბჭოში. ამბობდა, რომ მას არ სურს მიითვისოს უცხო ქვეყანა. მაგრამ ბოლოს მანაც დაუთმო პირველ პარტიის სურვილს და დაამტკიცა 1783 წლის ზელშეკრულების დარღვევის აქტი, ჩადენილი მისი მამისაგან, თავის 1801 წლ. 12 სექტემბრის მანიფესტში მან განაცხადა: „ჩვენი ტახტზე ასვლის დროს ჩვენ ვპოვეთ სახელმწიფო საქართველო შეერთებული რუსეთის იმპერიასთან, როგორც ეს იყო გამოქვეყნებული 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით“.

ახლა კი კეთათმყოფი და კარგა ქვეყანი იმპერატორიც არღვევდა დამტკიცებულ საერთაშორისო ზელშეკრულობას. მეთორმეტე მუხლი ამ ზელშეკრულობისა არავითარი ცვლილების უფლებას არ აძლევდა ორივე მხარის დაუთანხმებლად. საქართველოს ელჩებმა განაცხადეს პროტესტი ამ ზელშეკრულობის დარღვევის თაობაზე და დასტოვეს რუსეთის სატახტო ქალაქი. მაგრამ ყოველი ფუჭი იყო, რადგან საქართველოს პოლიტიკური ბედი უკვე დაწყვეტილი იყო.

თვით საქართველოში სხვადასხვა ჯგუფთა შორის იყო განხეთქილება. ზოგნი არჩევდნენ ოსმალეთთან და სპარსეთთან კავშირს, მით უმეტეს იმის შემდეგ, რაც მათ საკუთარ ზურგზე ნახეს, ნამეტნავად 1795 წელს, თუ რას ნიშნავს რუსეთის მეგობრობა. ზოგნი კი მიუხედავად რუსეთის ღალატისა მაინც ემხრობოდნენ რუსეთთან კავშირს. დიდი პატრიოტნი კი ცდილობდნენ

შევერთებინათ პოლიტიკურად დაყოფილი საბელმწიფო და გამოცხადებინათ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და არ სურდათ არც რუსეთთან, არც ოსმალეთთან და არც სპარსეთთან არავითარი კავშირი. მაგრამ საქართველოს რუსეთის გუბერნიებად გადაქცევა კი არც ერთს ამ ჯგუფს არ სურდა.

იმისთანა იმპერატორის, როგორც იყო ალექსანდრე, მანიფესტი კი სრულიად მოულოდნელი იყო ქართველებისათვის, მით უმეტეს, რომ მის შინაარსს ისეთის სისასტიკით მალავდნენ, რომ იგი მხოლოდ გაზეთებიდან შეიტყუებს ჩვენმა ორმა ელჩმა და თორმეტმა დეპუტატმა!

ეს მანიფესტი გამოცხადდა საქართველოში მხოლოდ 12 აპრილს 1802 წელს. და სწორედ ამ დროს მოტყუებით, რამდენიმე მოლაღატის საშუალებით ქართველი თავადაზნაურობა შეაგროვეს თბილისის სიონის ტაძარში. შემოართყვეს ტაძარს რუსის ჯარი და ძალით მიაღებინეს რუსეთის გვირგვინის ერთგულობაზე ფიცი. საუცხოვე იყო ის საშუალება, რომელსაც რუსებმა მიმართეს თავის ახალი დაღატის დასაკანონებლად.

მაგრამ თვით ამ ალექსანდრე პირველის მანიფესტის მიხედვით საქართველო არ იყო სავსებით განძარცული ყველა თავის უფლებებისაგან. საქართველოს საქმეები უნდა ეწარმოებინა „ამორჩეულ მთავრობას, ოთხი დეპარტამენტისაგან ამორჩეულთ“. ამ საქართველოს მთავრობის სტატუტები, რომელნიც ზელმოწერილნი იყვნენ იმავე დღეს, 12 სექტემბერს 1801 წელს, სმობდნენ: „საერთო კრება ოთხივე დეპარტამენტისა შეადგენენ საქართველოს უმაღლეს მთავრობას და საბოლოოდ სწყვეტს ყოველ საკითხს ხმის უმეტესობით“. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია რჩებოდა ზელშეუზღვლად. აგრეთვე ქართული ეროვნული მილიცია, ქართული სამოქალაქო უფლება და სხვ. ბუტკოვი გვიამბობს თავის „მატერიალებში“, რომ მან თვითონვე შეადგინა საქართველოს მთავრობის სტატუტები ზუბოვის აზრის მიხედვით, და რომ ამ შემთხვევაში მას წაართვა ორა კვირა ამრიგად. ამას იქით საქართველოს მართველობა უნდა მომხდარიყო ზუბოვისა და ბუტკოვის მიერ ორ კვირაში შემუშავებულ კანონების მიხედვით! კიდევ უარესია — თვით „ზუბოვბუტკოვის კონსტიტუცია“ არ იყო შესრულებული რუსის მთავრობის მიერ!

ეს იყო ბოლო აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა. რუსები შევიდნენ დასავლეთ საქართველოში, რომ მათთვისაც იგივე ბედი ერგუნებინათ. მათ დაიწყეს იმითი, რომ მოატყუეს მეგობრული დაპირებებით დასავლეთ საქართველოს თავადები, რომ მათი ქვეყნის დამოუკიდებლობას ხელს არ ახლებდნენ. შემდეგ დაღატობდნენ ამ დაპირებებს, და ბოლოს ცეცხლითა და მახვილით შეაბეს მონობის უღელში მოტყუებული და ნაღალატევი ქვეყანა. იმერეთის შეფეს სოლომონ მეორეს არ სურდა მოტყუებულ იყო რუსებისაგან და, გამართული ბრძოლის შემდეგ, გაიქცა ოსმალეთში და გარდაიცვალა ქ. ტრაპიზონში 1815 წელს. რუსეთისაგან ნაღალატევი სამეგრელო, გურია აზნაზეთი და სვანეთი ნელნელა ჩავარდნენ მე-XIX საუკუნის განმავლობაში რუსის ბრძკვალეებში.

მაგრამ რუსეთი აქაც არ შეჩერდა. თუ მან არ სცნო საერთაშორისო სამართალი და მოსპო საქართველოს დამოუკიდებელი საბელმწიფო, მან შეუთავსა აგრეთვე კანონიერი სამართალი და მოსპო საქართველოს უძველესი ეკლესიის ავტოკეფალია.

საქართველოს ეკლესია, გახდა ავტოკეფალური უკვე მე-V საუკუნეში, თუმც ამ დროს მისი ავტოკეფალური უფლებები ჯერ არ იყო კანონიურად

ცნობილი აღმოსავლეთში. ნამდვილად კი, დაწყებული მე-V საუკუნიდან. ქართული ეკლესია ირჩევდა თავის უფროსს, ქათოლიკოსს, ქართველ არქიელთა შორის და იყო სრული დამოუკიდებელი თავის საქმეთა მართვაში. მისი ანტიოქიის პატრიარქისაგან დამოკიდებულება კი იყო მხოლოდ ნომინალური. ბერძენი ბალსამონი, თვით ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც სცხოვრობდა მე-XII საუკუნეში, ამბობს თავის მეორე მსოფლიო კრებულის კომენტარებში: „თუ ხედავ სხვა დამოუკიდებელ ეკლესიებს — ბულგარეთისას, იპრიას და ივერიისას (საქართველოსი), ნუ გაპკვირდები, თვით ანტიოქიის კრებულის დადგენილებით იყო პატივცემული იბერიის არქიელი. ამბობენ, რომ ეოფილოსის (დიდი ანტიოქია) პატრიარქის პეტრეს დროს (1052-1057) დაადგინეს საქართველოს ეკლესია, რომელიც ამ დრომდის დამოკიდებული იყო ანტიოქიის პატრიარქისაგან. იქმნეს თავისუფალი და დამოუკიდებელი“.

როგორც ქართველი და უცხო ისტორიკოსები ამბობენ, საქართველოს ეკლესია გახდა დამოუკიდებელი ხალსედონიის კრებულის შემდეგ 451 წელს; მე-VII საუკუნედან მან შესწყვიტა თავისი დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან და მე-XI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც მან შესწყვიტა ყოველი კავშირი ანტიოქიის ეკლესიასთან, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ფორმალურად იყო აღიარებული კანონიერი სამართლისაგან. მეორე ანტიოქიის პატრიარქი მაკერი, არაბი ჩამომავლობით, რომელიც სცხოვრობდა მე-XVII საუკუნეში და რომელმაც დაათვალიერა საქართველო, ამბობს: „ქართველებმა დაიწყეს იმით, რომ დამოუკიდებელნი იყვნენ ანტიოქიის პატრიარქისაგან, მხოლოდ შემდეგ მათ თვითონ ამოირჩიეს თავიანთი კათოლიკოზი და გახდნენ დამოუკიდებელნი“ (საქართველოს ქრისტიანობის მიღების ისტორია, რომი 1905 წ.) აქ ყველაზე საინტერესო ის მოვლენა არის, რომ საქართველოს ეკლესიას ჰქონდა თავისუფალი არსებობა და დაწყებული მე-V საუკუნედან არც ერთ ეკლესიისაგან არ იყო დამოკიდებული; საინტერესოა აგრეთვე ის მოვლენაც, რომ მისი საქმეების ადმინისტრაციას შეადგენდნენ ადგილობრივი კრებულები და მისი უმაღლესი უფროსი.

1783 წ. ხელშეკრულება არ სპობდა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიას. ამ ხელშეკრულებაში არ იყო საკმარისი პატივისცემა საქართველოს კათალიკოსის მიმართ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საერთაშორისო ზრდილობის ნაკლი, ჩადენილი რუსებისაგან და იგი სრულიად არ ამცირებდა თვით ეკლესიის უფლებებს. მერვე მუხლის შენიშვნა ამბობდა, რომ სპეციალური მუხლი იქნება შემდეგში შემუშავებული შესახებ ქართულ ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან დამოკიდებულობისა, მაგრამ ეს მუხლი არ დაიწერა. პირაქით აი რა მოხდა „სპეციალურ მუხლის“ შემუშავების მაგიერ.

1810 წელს გენერალი ტორმასოვი საქართველოში მყოფ რუსის არმიის უფროსი სწერდა უწმინდეს სინოდის, პეტერბურგის თავადს გოლიცინს, რომ საქართველოს კათალიკოსს ანტონ მეროეს არ შეუძლია, თავის სისუსტის გამო, საქართველოს საეკლესიო საქმეების გაძღვლა და საჭიროა სინოდმა დანიშნოს რუსის არქიელი ქართული ეკლესიებს მმართველად. ვინმე ბარლაამი დაასახელა მან როგორც დიდი მტოდნე რუსის მეთოდებისა; საეკლესიო საქმეების მართვა-გამგეობაში მხოლოდ რამდენიმე ხნის წინათ იგივე გენერალა ასახამდა ქება-დიდებას იმავე კათალიკოსს, ერთ თავის წერილში იმავე პროკურორის მიმართ. კათალიკოსის ძალით განდევნეს საქართველოდან რუსეთში 1810 წელს, სადაც იგი გარდაიცვალა. შემდეგ წელს (1811) ბარლაამი გახდა

საქართველოს არქიელად და ასე მოისპო ქართული ძველი ეკლესიის ავტოკეფალია. ვიდაც სამხედრო პირის უბრალო წინადადებით ეკლესია, რომელმაც ცამეტი საუკუნის განმავლობაში გადაიტანა საშინელი ბრძოლა ქრისტეს სარწმუნოების დასაცველად მტერ აღმოსავლეთის წინააღმდეგ და რომელმაც სასწაულები მოახდინა გონებრივ მუშაობის სფეროში, უნდა გამკრალიყო უეცრივ, საერთაშორისო და კანონიერ უფლებების მიუხედავად.

მაგრამ რაც რუსებმა ჩვენ ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობის შემდეგ მოგვაყენეს, ბევრად უარესი იყო. რუსეთის სამხედრო ძალის საქართველოში შემოსვლისთანავე რუსის მთავრობამ დაუწყო დევნა ჩვენს სამეფო ბაგრატიონთა გვარს. ის წვევნი ამ დინასტიისა, კაცი თუ ქალი, რომლებმაც ვერ მოასწრეს სხვაგან სადმე შეეფარებინათ თავი, დაატუსაღეს და რუსეთში გაგზავნეს. ქართული ფული და ქართული სისხლის სამართალი მოსპეს. ის გარანტიები, რომელნიც 1801 წელს ორი მანიფესტით იყვნენ გამოქვეყნებულნი, ფეხით გასთელეს. საქართველოს „უმადლეს მთავრობის“ ადგილი დაიჭირა მთავრობამ „ჩინოვნიკებისამ“ — ქურდებმა და გარყვნილებმა. ეროვნულ მილიციის მაგიერ შემოღებულ იქნა ვალდებული სამხედრო ბეგარა. ამის შემდეგ ქართველი ჯარისკაცი იძულებული იყო გადაეხადა სამხედრო ბეგარა თავის სამშობლოს გარეთ, შორს. რუსეთის ერთ-ერთ შიდა გუბერნიაში, სადაც იგი კვდებოდა ან ბრუნდებოდა იქამდის დასნეულებული, რომ არ შეეძლო ოჯახის შენახვა. ნელ-ნელა ქართული სამოქალაქო სამართალი, რომელიც შეეგუებოდა საქართველოს სოციალურ სტრუქტურას, იყო მოსპობილი და მისი ადგილი დაიჭირა რუსის სამართალმა. ქართულ ენის მაგიერ შემოღებულ იქმნა სკოლებში, სასამართლოში და სხვა დაწესებულებებში რუსული ენა, რომელისაც არა გაეგებოდა რა ქართველი ხალხს. რუსთველის ენა დევნილი იყო ყველგან. თვით ეკლესიაშიც კი, თუმც აქ ნაკლები ნაყოფით, წაგვართვეს საზოგადო და სახელმწიფო მიწები; წაართვეს გლეხებს, თავად-აზნაურებს, ეკლესიებს მიწები და დაურიგეს რუსის და სხვა ახალშენებს, ან მიითვისეს რუსის სახელმწიფო მიწებად, რომ ამით მოესპოთ ქართველი ერის ტერიტორიალური მთლიანობა და გავერუსებინეთ. მაგრამ საბედნიეროდ ვერ მოახერხეს გარუსება. თავად-აზნაურობის უფლებები გაზარდეს, ელაქუცებოდნენ მას და ამით უფრო ამკაცრებდნენ ბატონყმობას, რომელიც არას დროს არ იყო საქართველოში ისეთი მკაცრი და შეურაცხყოფილი გლეხებისათვის, როგორც ის რუსეთში იყო. მთელი საქართველო გადააქციეს რამდენიმე რუსულ გუბერნიადად, როგორც ეს ჰსურდა პავლე პირველს. ეკლესია პირდაპირ გასძარცვეს, გაჰქურდეს. დასავლეთ საქართველოში არქიელმა თეოფილაქტმა ჩაიდინა 1818 წელს პირდაპირი ავაზაკობა. მან ერთი ხელის მოსმით გასძარცვა ეკლესია. იმერლებმა ამაზე უპასუხეს აჯანყებით, რომელიც მხეცურად, სისხლითა და ცეცხლით ჩააქრეს რუსებმა, მოჰკლეს ერთი ქართველი მიტროპოლიტი, ჩასდეს მისი გვამი ტომარაში და ჩამარხეს აქამდის უცნობ ადგილს.

აი საერთოდ როგორ მოიქცა „მეტად ქრისტიანული“ მთავრობა კანონიერ სამართლის წინააღმდეგ: მან მოსპო განუხილველად და კრებულის დაუდგენლად დამოუკიდებლობა იმ ეკლესიისა, რომლის უფროსი იყო დამოუკიდებელი წევრი მსოფლიო ეკლესიისა და ამით დაარღვია მეოთხე მუხლი ანტიოქიის კრებულის დადგენილებისა და სხვ. მან დაუქვემდებარა ეს ეკლესია რუსის სინოდს. რაც ეწინააღმდეგება მოციქულთა დადგენილების მკ-34

მუხლს, მე-6 მუხლს პირველ მსოფლიო კრებულის დადგენილებიას. მე-2 მუხლს მესამე მსოფლიო კრებულის დადგენილებიას და სხვ. მან მიითვისა ამ ეკლესიის საკუთრება, რაც ეწინააღმდეგება მე-24 და მე-25 მუხლებს ანტიოქიის კრებულის დადგენილებიას და სხვა. მან მოსპო უფლება ადგილობრივ კრებულებიას, რომელიც უნდა მოეხდინათ ხოლმე ქართულ ეკლესიის წევრებს ძველი ჩვეულების მიხედვით. რაც ეწინააღმდეგება მე-5 მუხლს ნისეს კრებულის დადგენილებიას. მოციქულთა დადგენილების მე-37 მუხლს და სხვ.

არასდროს არც ბიზანტიელებს, არც სპარსელებს, არც არაბებს, არც მონგოლებს და არც ოსმალებს ამის მსგავსი არა ჩაუდენიათ თავიანთი დროებითი ბატონობის დროს საქართველოში. სადაც ხშირად გაბატონებულან იგინი როგორც დამპყრობელნი. არასდროს ეგრე წოდებულნი ქრისტიანობის მტერნი, რომელთა წინააღმდეგ საქართველომ მიმართა თანამორწმუნე რუსეთს, არ მოქცეულან ისე სასტიკად და ცინიკურად, როგორც მოიქცნენ რუსები! შთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ და ისიც მოკლე ხნით იყო მოსპობილი სახელმწიფო უფლება: ერთხელ აღმოსავლეთ საქართველოში მეზუთე საუკუნეში სპარსელებისაგან და მეორე მონგოლებისაგან ნეცამეტე საუკუნეში. მაგრამ საერთოდ ყველა ჩვენი მუდმივი მტერნი პატივს სცემდნენ, მიუხედავად მათი დამპყრობელის უფლებებისა, ქართველთა დინასტიებს და მათ უფლებებს ქართველთა სახელმწიფო ტახტზე. ქართულს ენას, ქართულ სამართალს, ეკლესიის დამოუკიდებლობას და ქართველი ვრის ქრისტიანულ სარწმუნოებას. მართალია სპარსელებმა აიძულეს რამდენიმე ქართველთა მეფე უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე და რომ მეექვსე, მეშვიდე და მერვე საუკუნეთა განმავლობაში ოსმალებმა შემოიტანეს ისლამის სარწმუნოება საქართველოს იმ ნაწილებში, რომელიც მათი იმპერიის საზღვრებზე აღდგეს, მაგრამ მათ არასდროს არ უფიქრიათ ჩამოეგდოთ ბაგრატიონთა დინასტია ან მოესპოთ საბოლოოდ ქრისტიანობა საქართველოში. პირიქით, ფირმანები სპასეთის შახის სულეიმანის (1666-1694), სულთან აჰმედ მესამის, გამოცემულნი რეგებ ფაშის შუამავლობით 1734 წ., იმავე სულთანის 1726 წ., სპარსეთის ნადირ შაჰისა და 1742 და 1744 წლ., ასლან ფაშისა 1747 წელს, სპარსეთის შაჰის იბრაჰიმისა 1748 წ. და სხვ. გვიჩვენებენ, თუ რა პატივისცემით ეპყრობოდნენ მუსულმანები ქართულ ეკლესიას და რომ იგინი სცნობდნენ ამ ეკლესიის უფლებებს. ყველა ეს ფირმანები ამტკიცებენ ქართველთა კათალიკოსებს მათ თანამდებობაში და უფლებებში, ან წინადადებას იძლევიან ამორჩეულ იქმნას ახალი კათალიკოსი „ქვეყნის ჩვეულების“ მიხედვით, ან შეეხებინან ქართული ეკლესიის სხვადასხვა უპირატესობებს. ვიმეორებთ ერთხელ კიდევ: ის, რაც ჩაიდინა ქრისტიანულმა სახელმწიფომ საქრისტიანო საქართველოში მას შემდეგ, რაც მან ფეხი მოიდგა ამ უკანასკნელის მიწა-წყალზე დამტკიცებულ საერთაშორისო ხელშეკრულების შემდეგ, არასდროს ქრისტიანობის მტრებს არ უფიქრიათ ჩაედინათ რაიმე მსგავსი ამისა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ხშირად საქართველოს აბსოლუტური მეუფენი იყვნენ როგორც დამპყრობელნი, და დღეს ყველა ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ერს ან ჯგუფს აქვს უფლება რუსეთში გაუძღვეს თავის საეკლესიო საქმეებს სინოდის დამოუკიდებლად გარდა მართლმადიდებელ ქართველებისა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შემოსვლისთანავე რუსის ჯარები შეესივნენ

როგორც ნამდვილი მტერნი საქართველოს ქალაქებს და სოფლებს და რუსის — ჩინოვნიკმა „როგორც საშინელმა „კუმ“ დაუწყო ღრღნა ერის დასუსტებულ. თითქმის მომაკვდავ დიდი ხნის წამებისაგან სხეულს. გაღატაკებული გლეხები აიძულეს ეზიდათ რუსის ჯარისათვის სურსათი და სხვადასხვა საომარი მასალა და მიაწერეს სხვა ათასნაირი. მეტად მძიმე გადასახადი. ამან დაამთავრა გლეხთა საბოლოო გაღატაკება.

რუსის ჯარისკაცი აზღენდნენ ათასნაირ დანაშაულობას. სისაძაგლეს და მზეცობას: ქურდობდნენ, ხოცავდნენ, ძალას ხმარობდნენ და ნამუსს ზღიდნენ ქალებს, სძარცვავდნენ მცხოვრებთ. იმედ გადაწყვეტილმა ხალხმა უპასუხა დამოუკიდებლობის პარტიის ძახილს, რომლის სათავეში იდგა ბატონიშვილი ალექსანდრე, მეფე ერეკლეს შვილი, და 1804 წელს ქართველმა მთიულებმა გაშალეს აჯანყების დროშა. ერთი წლის ბრძოლის შემდეგ ეს აჯანყება გასრისეს და ჩაახრჩეს სისხლში; ასობით აჯანყებულნი იყვნენ ჩამოხრჩობილნი და დახვრეტილნი, ათასობით გაძარცულნი და ციმბირში გადასახლებულნი; მთელი ერი შეგინებულ-გაწამებული, დამცირებული, იძულებული იყო ექცა „ძაღლის საკმელი“.

1812 წელს მოხდა უფრო მძლავრი აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა პირადად ბატონიშვილი ალექსანდრე, მაგრამ ესეც გასრისეს და ჩაახრჩეს სისხლში; ის საშინელებანი, რომელთა საშუალებითაც მოხდა ხალხის „დამშვიდება“, თავის სიმკაცრით აღემატებოდნენ 1804 წლისას. „ჩინოვნიკები“ სჩადიოდნენ კიდევ უარეს მზეცობას, ვიდრე ჯარისკაცი. ერთი ჩინოვნიკთაგანი სხვებზე კიდევ მეტი ცინიკი, კოვალენსკი ამ დროს იყო სამსახურიდან გადაყენებული თვით რუსის მთავრობისგანაც კი ქურდობისა და ავაზაკობისათვის. მთელ საქართველოში იგივე საშინელებანი, იგივე აჯანყებები, იგივე ბარბაროსული საშუალებანი აჯანყების ჩასაქრობად, იგივე უბედურება — აი დამახასიათებელი ხაზები რუსის ბატონობისა ჩვენში წარსულ საუკუნის პირველ ნახევრის დამლევამდე.

ჩვენ იძულებულნი ვიყავით გვეფიქრა თავის, ოჯახისა და სარჩოს დაცვაზე. მაგრამ უწინარეს ყოვლისა 1804, 1812, 1832 და სხვა წლების აჯანყებულნი, თუმც ივინი შეუერთდნენ დამოუკიდებლობის მომხრეებს, მოითხოვდნენ მხოლოდ ქართველი ერის უფლებების აღდგენას 1783 წლის ხელშეკრულობის მიხედვით. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ყოველი მსჯელობა ქართველი ერის უფლებებზე სასტიკად აღეკრძალათ ქართველებს. საზრჩობელა, ციხე და ციმბირი ელოდა მას, ვინც გაბედავდა ხმის ამალვებას, როდესაც ქართველთ თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ყიფიანმა პროტესტი განაცხადა ეგზარხოს პავლეს წინააღმდეგ, რომელმაც საქვეყნოდ თბილისის სიონის ტაძარში დასწყევლა მთელი საქართველო, რადგან ერთმა ქართველმა სემინარიელმა მოჰკლა სემინარიის რექტორი, რომელიც მას მუდამ აწამებდა. მოხუცი წინამძღოლი გადაასახლეს სტავროპოლში. აქ მოხუც ყიფიანის ოთახში შეიპარა „მეტად ქრისტიანი“ რუსის ბერი და ვებერთელა რკინის კეტით გაუჩეხა მძინარეს თავი. ეს მკვლელობა მოხდა 1887 წელს. რასაკვირველია ამ რუსის ბერის დასჯა აზრდაც არ მოსვლიათ რუსებს.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსის ჯარები, ყაზახები და პოლიციელები მთელი ორი წლის განმავლობაში ანადგურებდნენ საქართველოს. სწვავენ ან ზარბაზანით ანგრევდნენ სახლებს, 104 სოფელი იყო სავსებით გადაწული. ქალაქი ქუთაისის, ხონის, ყვირილას ნაწილები იყვნენ გადაწულნი და

გაძარცულნი. ძალას ხმარობდნენ ქალებზე და ნამუსს ხდიდნენ. „ქრისტეანული ნული ჯარი“ არ ერიდებოდა მონოზან ქალებზე ძალის ხმარებასაც კი. ოფიცრები და ჯარისკაცები ცხადად სძარცვავდნენ მცხოვრებთ და ნაძარცვს ჰყიდნენ თავიანთ სასარგებლოდ. ქუთაისის კაზარმა გადააქციეს ნამდვილ ბაზარად. ოფიცრები და ჯარისკაცები უგზავნიდნენ ფოსტით რუსეთში თავის ოჯახებს ნაქურდალ ნივთებს.

1905 წლის 11 სექტემბერს და 3 ნოემბერს და 1906 წლ. 3 იანვარს ხელმწიფის ნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის თვალწინ მოახდინეს ნამდვილი „პოგრომები“. დაეღიბეს ქალები და ბავშვები. გავრილოვი, ალიხანოვი, კრილოვი, კოლმაჩევი — აი ავტორები და გმირები ამ ულტრა-ძარცვისა.

1905 წელს, როდესაც ქართველმა სამღვდლოებამ მოინდომა შეკრებილიყო თბილისში. მათ თავს დაესხნენ ყაზახები. მოეპყრენ ველურად და მათ-რახის ცემით დაირყევს ქუჩებში. ეპისკოპოზი კირიონი გადაასახლეს რუსეთში და 12 წლის განმავლობაში პირდაპირ აწამეს. არქიმანდრიტ ამბროსს, ეპისკოპოზ დაეიტს და სხვებს ეწვიათ იგივე ბედი.

ათასობით მუშები, გლეხები და ინტელიგენცია იყვნენ სიკვდილით დასჯილნი საალყო წესების სამართლით. გადასახლებულნი ციმბირში, ჩაყრილნი ციხეებში.

შეჰქმნეს მთელი სისტემა პროვოკაციისა: შეიკრა საკვირველი კავშირი პოლიციელთა, აგენტ-პროვოკატორთა და ყაჩაღთა შორის ხალხის გასაძარცვად. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სლავოჩინსკი ჩაუდგა სათავეში თავის გუბერნიაში ამ პროვოკატორებს. გაძარცვეს და გადაბუგეს ქალაქება და სოფლები მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე პროვოკატორმა ესროლა ყანდარმს ან პოლიციელს. პატარა ქალაქი ყვირილა ამრიგად სამჯერ იყო გაძარცვული. იტაცებდნენ ხშირად მდიდრის ბავშვებს ან თვით მდიდრებს, რომ მერე მათგან აეღოთ გამოსასყიდი ფული. და ამას თითქმის ყოველივეს თვით პოლიცია აწყობდა. მკვლელობა, ძარცვა, პროვოკაცია და ყაჩაღობა — აი ის მეთოდი, რომლითაც მართავს საქართველოს რუსის მთავრობა 1905 წლიდან დღემდე!

და როდესაც 1907 წელს ქართველმა ერმა მიმართა პეტციით ჰააგის მშვიდობიანობის კონფერენციას, ამცნო მას ყველა ეს საშინელებანი და სთხოვდა სახელმწიფოებს მოეგონებინათ რუსეთისათვის მისი მოვალეობა საქართველოს მიმართ, რომელიც მან იკისრა 1783 წელს, კონფერენციამ დაგეტოვა უპასუხო!.. რად? იქნებ ჩვენი პეტიცია მოკლებული იყო იურიდიულ საფუძველს საერთაშორისო სამართლის მიხედვით?!

ნებას ვიღებ აღვნიშნო კიდევ ერთი დანაშაული, ჩადენილი რუსის მთავრობისაგან საქართველოში. ამ ომში 200.000* ქართველზე მეტი იბრძვის რუსებისათვის გერმანელების, ავსტრიელებისა და ოსმალების წინააღმდეგ. მადლობის მაგიერ საქართველომ იხილა საკუთარის თვალთ წარსულ წელს როგორ მოსპეს რუსებმა მთელ სამუსულმანო საქართველოს პროვინციები. აიო ათასობით მამაკაცი, ქალი და ბავშვი გადაყრილი საზღვარს გადაღმა. დამშეულნი და ტიტველნი. ნახეს ათობით უსუსური ბავშვები ჩახრჩობილნი თოვლში. რუსის ჯარმა და შეიარაღებულმა ბანდებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს ბათომის და ყარსის ოლქები ოსმალის ჯარის დახვეის შემდეგ. და ყველა

* ომის დაწყებიდან დღემდის საქართველოდან გაიყვანეს თითქმის 400.000 კაცი რუსის ჯარში. რედაქ.

ს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსის მთავრობამ ტყუილად დააბრალა ქართველ მუსულმანებს ლალატი, თანამედროვე ომში ქართველ მუსულმანებს ეწვიათ იგივე ბედი რაც 1878, როდესაც იგინი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ დედუღ-მამული და ათი ათასობით გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში სამუსულმანო საქართველოს პროვინციების რუსეთისაგან შეერთების შემდეგ.

საერთაშორისო უფლებების მიხედვით ჩვენს წინააღმდეგ წამოაყენებენ ხოლმე შემდეგ მოსაზრებებს:

1. საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელნიც იყვნენ დადებული საქართველოსა და რუსეთს შორის, აღარა აქვთ არავითარი იურიდიული ფასი, რადგან ისინი დიდი ხნისანი არიან და უკვე ერთ საუკუნეზე მეტია რაც საქართველო გადაიქცა რუსეთის გუბერნიებად, არავის არ განუცხადებია პროტესტი 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ, და ეს დარღვევა არასდროს არ ყოფილა საერთაშორისო განხილვის საგნად; საქართველო როგორც სახელმწიფო აღარ არსებობდა და აღარ იყო ხოლმე წარმოდგენილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კრებებზე და სხვ

ამ მოსაზრებებს ჩვენ ვუპასუხებთ:

1. საქართველოს ტერიტორიის რუსეთისაგან მითვისება შეუძლებელია გავსინჯოთ როგორც ხანგრძლივობის უფლება ან შეძენითი უფლება, მით უმეტეს, რომ ესენი სრულიად არ არსებობენ საერთაშორისო სამართალში, ასე რომ ის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც სწარმოებს რუსის უსამართლობა საქართველოში, ვერ გაამართლებენ 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევას.

2. აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ პროტესტს ჰქონდა ადგილი: საქართველოს ელჩებმა გამოაცხადეს პროტესტი 1801 წ., მეფე დავითმა — 1802 წ.; აჯანყებები 1804, 1812, 1832 და სხვა წლებისა თხოულობდნენ სწორედ ამ დარღვეულ ხელშეკრულების აღდგენას.*

3. საქართველოს არ შეეძლო გაეგზავნა თავის წარმომადგენლები საერთაშორისო კრებებზე, ა) რადგან ნაპოლეონის ომების შემდეგ ევროპის კონცერტი იყო მხოლოდ დიქტატურა რეაქციონურ დიდ სახელმწიფოებისა, რომლებიც არა სცნობდნენ სახელმწიფოების სწორუფლებობას, და საქართველოს რომ კიდევ გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები, რუსეთი ნებას არ მისცემდა საქართველოს საკითხის საერთაშორისო კრებებზე განხილვისას, ვინაიდან ამ კრებებს ის ბატონობდა ინგლისთან, ავსტრიასთან და პრუსიასთან ერთად; ბ) რადგან იმ დროს არ არსებობდა ისეთი საერთაშორისო დაწესებულება, როგორც არის ჰააგის ტრიბუნალი, რომ შესაძლო ყოფილიყო საჩივრის შეტანა; გ) ბოლოს წარმომადგენლების კრებებზე მონაწილეობის არ მიღება სრულიად არ ნიშნავს სახელმწიფოს მოსპობას წმინდა იურიდიულ თვალთარისით, მაინც 1907 წელს ქართველმა ერმა მიმართა პეტრიციით ჰააგის მშვიდობიანობის კონფერენციას, რომელშიც აცნობდა მას თავის უფლებებს და უჩიოდა რუსეთს საერთაშორისო დამტკიცებულ ხელშეკრულების ძალადობით დარღვევაზე, ჩვენ ვიცით, რომ ეს პეტიცია ამ კონფერენციის ყოველმა წევრმა წაიკითხა და არც ერთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმომადგენელმა

* სპარსეთმა და ოსმალეთმა განაცხადეს პროტესტი საქართველოში რუსების შემოსვლის წინააღმდეგ, და ბონაპარტი ჰპირდებოდა ორივეს ერთს და იმავე დროს „დაებრუნებინა“ (?) მათთვის „პროვინცია“ (?) საქართველო.

არ მოიხურვა ხმა ამოელო ამ პეტიციის საერთაშორისო უფლების კანონიერობის წინააღმდეგ.

4. რაც შეეხება რუსეთის ბატონობას ერთი საუკუნის განმავლობაში. სწორედ ეს არის საგანი ჩვენი ჩივილისა. ერთს საუკუნეზე მეტია რაც რუსეთი იქცევა უკანონოდ ამ ქვეყანაში. რომელიც მას არ ეკუთვნის! რა უფლებით?!

11. არიან კიდევ ისეთნი, რომელნიც ამბობენ: რუსეთს შეუძლიან დაემყაროს დაპყრობით უფლებას საქართველოში თავის ბატონობის გასამართლებლად. ვინაიდან 1804, 1812 წლებისა და სხვა აჯანყებები შეიძლება განიხილონ როგორც ომი საქართველოსა და რუსეთს შორის.

მაგრამ საერთაშორისო უფლებაში დაპყრობითი უფლების კანონიერება უარყოფილია. შტრის გამარჯვება არ სძობს დამარცხებულის უფლებებს და არც უსაკუთრებს ტერიტორიას გამარჯვებულს. ტერიტორიის შეძენის იურიდიული უფლება ეძლევა ზავის ხელშეკრულებით. თანამედროვე საერთაშორისო უფლების მიხედვით არსებობს დათმობა ტერიტორიისა და არა დაპყრობა-მოთვისება. სად არიან ზავის ხელშეკრულებები 1804, 1812 წლების და სხვა აჯანყებების შემდეგ? ისინი არ არსებობენ. ვინაიდან თვით რუსის მთავრობასაც კი არასოდეს არ განუხილავს ეს აჯანყებები როგორც ომი. პირიქით ის მათ უცქერდა როგორც ქართველთა აჯანყებებს „კანონიერ“ მთავრობის წინააღმდეგ. რუსის მთავრობის ასეთ შეხედულებას რასაკვირველია არ ჰქონდა არავითარი საფუძველი. გარდა ამისა თვით აჯანყებულები უცქერდნენ ამ აჯანყებებს, როგორც პროტესტს 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევისას; და მართლაც ამ აჯანყებებს ასეთი ხასიათი ჰქონდათ არც ესოდენ წოდებულ დებილაციოს ჰქონია ადგილი, ვინაიდან არასოდეს არ ყოფილა ომი საქართველოს და რუსეთს შორის.

კანონიურ უფლების მხრივ სრულიად მიუღებელია, რომ ეკლესია (ქართული), რომლის ავტოკეფალიაც აღიარებული იყო მეთერთმეტე საუკუნედან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიერ, დამონავებული იყოს თავისზე უმცროს ეკლესიის (რუსეთის) მიერ. რომელიც გახდა დამოუკიდებელი მხოლოდ 1589 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქის კონცესიით, რომლისგანაც იყო დამოკიდებული და რომელმაც პეტრე დიდის მეოხებით მიაჩიქა რუსის ეკლესიას ავტოკეფალია მხოლოდ 1721 წ.

ზემო აღნიშნულიდან ცხადად სჩანს, რომ ქართველებს არ უფიქრიათ დაერღვიათ ხელშეკრულებანი და მოლაპარაკებანი, რომელიც მათ ჰქონდათ რუსეთთან. რუსებმა კი პირიქით, ძალით დაარღვიეს 1783 წლის ხელშეკრულებანი და მოსპეს ყველა ის გარანტიები, რომლებიც მათ საქვეყნოდ აღიარეს 1801 წლის მანიფესტებში. ამ უკანონო საქციელით ქართველები თავისუფალნი არიან რუსეთთან ხელშეკრულებისა და იმ (ძალდატანებითი) ფიცისაგან რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე.

მივიღებთ რა მხედველობაში ყველა ჩვენში მომხდარ ცვლილებებს 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ. ჩვენ მოვითხოვთ „Statu quo ante“ 1783 წ. (ე. ი. იმ მგომარეობას, რომელიც იყო ჩვენში 1783 წლის წინად — დამოუკიდებლობა). თუ რუსეთი არ სცნობს აღადგინოს საცხები 1783 წ. ხელშეკრულება, ჩვენ შევეცდებით დავაყენოთ ჩვენი საკითხი მომავალ ზავის კონფერენციაზე და ვიმედოვნებთ, რომ განათლებული კაცობრიობა ხმას აღიმალლებს ჩვენი ერის დასაცავად და დაგვებმარება დავებრუნოთ ჩვენი დარღვეული კანონიერი უფლებანი.

უნდობლობის სინდრომი

ჩვენ აღარ ვენდობით ერთმანეთს, დიდი ბანია, აღარ ვენდობით: ხელკვეთი ეკვიტ შესკვრის ხელმძღვანელს, ახალგაზრდობა — უფროს თაობას, ეროვნული მოძრაობა — ოფიციალურ ხელისუფლებას, ახლადშექმნილი პარტიები — კომუნისტურს და ერთმანეთს, სასამართლო—პროკურატურას, ხალხი — მთავრობას, მთავრობა — უკლებლივ ყველას... რაც ყველაზე უარესია, ბალმა დაკარგა კანონისადმი ელემენტარული ნდობა და რწმენა. ხალხს აღარ სჭერა სოციალისტური მართლმსაჯულების, როგორც ასეთის არსებობისა!

ეს, რა თქმა უნდა, არ მოასწავებს ქვეყნიერების დასასრულს, მაგრამ იგი მოასწავებს მსოფლიო ისტორიაში ერთი დიდი და ტრაგიკული ეპოქის, სოციალიზმის ეპოქის დასასრულს.

დღეს უკვე სრულებითაც არ არის ძნელი ასეთი მწარე წინასწარმეტყველებები: დასასრული იქნება მძიმე და მტკივნეული, კიდევ უფრო მძიმე და მტკივნეული იქნება ახალი ეპოქის დასაწყისი.

უნდობლობის ზგავის შეჩერებას ველარაგინ შეძლებს იგი უკვე დაიძრა და თავის გზაზე ყველაფერს აღგვის პირისაგან მიწისა, იქნებ, სამართლის სახელით ზოგმა დიდი უსამართლობაც ჩაიდინოს.

ჩვენ უნდა ხმამაღლა ვთქვათ, რატომ არ ვენდობით მართლმსაჯულებას (ამაზე გვექნება საუბარი ქვემოთ), რომ იგივე შეცდომა არ გაიმეოროს ახლანდელი საზოგადოების ნანგრევებზე აღმოცენებულმა ახალმა საზოგადოებამ

ბიჭმენდის ტრაგედია

ისტორია, რომელსაც ახლა მოგიტხრობთ, არის შედეგი არსებული სოციალური სიტუაციისა.

ბიჭმენდი ერთი მშვენიერი სოფელია საქართველოში, მცხეთის რაიონში, თავისი ავ-კარგით, ჭირით, ლხინით, პრობლემებით. ამ სოფელში ცხოვრობდნენ განუყრელი მეგობრები: თამაზ ბერიძე, გია რაზმაძე, ზაქრო მუზერაშვილი, თამაზ მამულაშვილი. დღეს ერთი მათგანი თამაზ მამულაშვილი აღარ არის კოცხალი: იგი დაიღუპა 1985 წლის 27 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 21 საათსა და 30 წუთზე, თავის სოფელში, თავისი უახლოესი მეგობრის თამაზ ბერიძის ხელით...

მეორე დღეს ისინი აპირებდნენ საერთო მეგობრის ოთარ რაზმაძის მონახულებას, იგი თბილისის № 2 საავადმყოფოში იწვა. ბიჭები ერთმანეთს შეხვდნენ მინდორში, სოფლიდან მოშორებით. ერთ-ერთ მათგანს გაა რაზმაძეს თან ჰქონდა მამის კუთვნილი ორლულიანი სანადირო თოფი (გია მეველის მოვალეობას ასრულებდა) და ვაზნები. დასხდნენ და ისაუბრეს, ძირითადად, ხვალისდელი მათი თბილისური მოგზაურობის შესახებ. ვერ გადაწყვიტეს, რა მიეტანათ ავადმყოფისათვის, იქნებ ამიტომაც გაუგრძელდათ საუბარი.

ისინი ისხდნენ წრიულად, ერთმანეთისაგან ასე 50-60 სანტიმეტრის დაშორებით. თოფი იღო მიწაზე, რაზმაძესა და ბერიძეს შორის.

საუბრისას თამაზ ბერიძე ადგა, თოფი აიღო. გადახსნა, მერე ჩახმაზი შეეყენა და..

როგორც ექსპერტიზა ამბობს, გარდაცვლილს ესროლეს დაახლოებით ერთი მეტრის მანძილიდან 22 წლის უცოლშვილო თამაზ მამულაშვილი მაშინვე გარდაიკვალა.

მეგობრის შემოკვდომით გონებადაკარგული თ. ბერიძე თოფიანად გაიქცა, მერე თოფი მინდორში მოისროლა. იმავე ღამეს მილიციაში გამოცხადდა.

მანამდე მკვლელობის ერთ-ერთმა მოწმემ, მეზურიშვილმა მცხეთის მილიციას აცნობა მომხდარის შესახებ.

მალე შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ მილიციის მუშაკები. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაიწყო წინასწარი გამოძიება.

მე საშუალება მქონდა დაწვრილებით გავცნობოდი ამ საქმეს და, ბუნებრივია, მაქვს ჩემი აზრი მის შესახებ. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ პირადად არასოდეს მიმუშავია გამომძიებლად. ამიტომ გამომძიების ზოგ ნიუანსს აქნებ ვერ ვითვალისწინებ. რასაც ახლა ვიტყვი, არის არასპეციალისტის სუბიექტური მოსაზრება. ეს მოსაზრება ასეთია: წინასწარი გამოძიება მცხეთის რაიონის პროკურატურამ ჩაატარა იმდენად არაკვალიფიციურად, რომ ეს შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად ჩანს. შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს ზერგელედ; თბილისის № 1 საავადმყოფოს მორგიდან თ. მამულაშვილის მშობლებს გამოატანეს ძირითადი ნივთმტკიცება — დაზარალებულის ტანსაცმელი: არ დაკითხეს ყველა მოწმე; კრიტიკულად არ შეაფასეს ზოგიერთი მოწმის (მილიციელ გოდიშვილის) ჩვენება; არაკვალიფიციურად ჩაატარა საგამოძიებო ექსპერიმენტი... რაც მთავარია, საქმე თ. ბერიძის მიმართ ჯერ დააკვალიფიციერეს საქართველოს სსკ 108-ე მუხლით (გაუფრთხილებლობით მკვლელობა). შემდეგ გადააკვალიფიციერეს 104-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებზე (ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობა). სასამართლომ საქმე დააბრუნა დამატებით გამოძიებაში. შემდეგ, სასამართლო გამოძიებისას, ექვმიტანილის მიმართ კვლავ შეცვალეს კვალიფიკაცია (ისევ 108-ე მუხლზე). საბოლოოდ, ბერიძე გაასამართლეს გაუფრთხილებლობით მკვლელობის მუხლით და ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ჩემის აზრით (რომელსაც არავის ვახვევ თავს), წინასწარი გამოძიების ლაფსუსები გამოწვეული იყო ზედმეტი თვითდაჯერებით: გამომძიებელს საქმე მეტისმეტად იოლი მოეჩვენა. ბერიძეს მართლაც არ უნდოდა მეგობრის ნოკვლა. ბიჭებს შორის არასოდეს ყოფილა რაიმე გაუგებრობა ან შეხლა-შემოსლა (ისინი ძმებივით იზრდებოდნენ). არ არსებობდა მკვლელობის რაიმე მოტივი. დაასკვნეს, რომ ეს იყო გაუფრთხილებლობით მკვლელობის კლასიკური ნიმუში და ვერც წარმოედგინათ, რომ მომავალში ამ საქმეს რაიმე გართულება მოჰყვებოდა.

უსუსურმა წინასწარმა გამოძიებამ, დანაშაულის კვალიფიკაციის რამდენჯერმე შეცვლამ, ზოგიერთმა პროკესუალურმა დარღვევამ დაზარალებულ მხარეს (სრულიად სამართლიანად) გაუჩინა ეჭვი: ბერიძეს შემოაკვდა მკვობარი, თუ მან მოკლა მეგობარი. მართლმსაჯულება ხომ არ ფარავს მკვლელს?!

ვერავინ გაამტყუნებს დედას, რომელსაც 22 წლის ვაჟაკი მოუტლეს თავისი ეჭვების უსამართლობაში იგი უნდა დაერწმუნებინა მართლმსაჯულებას.

სამწუხაროდ, თავის დროზე მან ეს ვერ შეძლო. თამაზ მამულაშვილის დედა ქალბატონი სოფიო სხვას არც არათერს ითხოვდა (იგი რუსთაველზე შაოსან დედათა აქციის მონაწილეა).

საქართველოს უზენაესი საბჭოს კომისიამ (ბატონ ნოდარ ნათაძის ხელმძღვანელობით), რომელიც აქციის მონაწილეთა საჩივრებს სწავლობდა, დაასკვნა, რომ მამულაშვილის საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებით გამოძიებაში და ამისთვის, როგორც მოგახსენეთ, არის საკმარის საფუძველი.

მეორეს მხრივ, საქმის ხელახლა იდეალურად გამოძიების შემთხვევაშიც, სასამართლოს მოუწევს კვალიფიკურად დაასაბუთოს, რომ განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონია. ყოველგვარი ეჭვები გაუფანტოს დაზარალებულ მხარეს.

ეს არ იქნება იოლი საქმე, რადგან დაზარალებულები აღარ ენდობიან მართლმსაჯულებას.

აღარ ენდობიან, რადგან საბჭოთა მართლმსაჯულება კარგა ხანია სახელგატეხილი მართლმსაჯულებაა.

ისიც კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ ეს არ არის მხოლოდ მართლმსაჯულების ბრალი. უფრო ზუსტად, ეს სულაც არ არის მართლმსაჯულების ბრალი, რადგან იგი (მართლმსაჯულება) დღიდან საბჭოთა სახელმწიფოს დაარსებისა იყო დასჯის უძლიერესი იარაღი პარტოკრატული სახელმწიფოს ბელში.

„კომისიამ რა ჰქმნა?!“

შარშან, აგვისტოში, რუსთაველის გამზირზე, სამხატვრო გალერეის შენობასთან დაიწყო, ალბათ, მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო აქცია — შავოსან ქალთა მკდომარე გაფიცვა. მისი მიმდინარეობა კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ შავოსანი დედები, ძირითადად, მოითხოვდნენ მათი შვილების მკვლელობაში დამნაშავე პირების მოძებნას და გასამართლებას (იყო სხვა მოთხოვნებიც, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ).

რაიმე კომპრომისის მიღწევა გაფიცულებსა და ოფიციალურ ხელისუფლებას, მართლმსაჯულებას შორის ვერ მოხერხდა. ნოემბერში ხელისუფლება იძულებული გახდა შეექმნა უზენაესი საბჭოს კომისია, რომელიც შეისწავლიდა მომჩივანთა მოთხოვნებს, შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვდა საქმეებს და მათი ანალიზის საფუძველზე დაწერდა დასკვნას. შემდეგ მას წარუდგენდა უზენაესი საბჭოს სესიას, ხოლო სესია საჭირო ზომების მისაღებად გადაუზავნიდა პროკურატურას, სასამართლოს თუ შინაგან საქმეთა ორგანოებს. ვიმეორებ, ხელისუფლებამ ეს გააკეთა არა საკუთარი სურვილით, არამედ იგი აიძულეს წასულიყო ამ „დათმობაზე“.

დღეისათვის სიტუაცია ასეთია: ყველა ცალკეულ საქმეზე დაწერილი დასკვნა, იგი მოხსენდა უზენაესი საბჭოს სესიას. სესიაზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება, უშიშროების კომიტეტს დაევალი გამოისაძიებელი საქმეების ხელახალი გამოძიება (ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი), ზოგიერთი საქმე დაბრუნდა პროკურატურაში და უმაღლეს სასამართლოში. შავოსან დედათა (ნაწილის) გაფიცვა კი გაგრძელდა მთავრობის სასაზღის წინ ტროტუარზე.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ თითქმის მაშინვე შეიქმნა კიდევ ერთი მსგავ-

სი კომისია, იგივე მიზნით, სხვა შემადგენლობითა და შტაბ-ბინით. (მას ხელმძღვანელობს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ბატონი მამია კეშელავა). ამ უკანასკნელი კომისიის წევრი (უნდა ვაღიაროთ ნომინალურად) გაზღვარით მეც. გარდა ამისა, ერთ ჩანს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მაკავშირებდა იმ კომისიასთანაც, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბატონი ნ. ნათაძე და ბატონი ი. გამყრელიძე.

წელს, იანვარში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გაზეთ „მამულში“ გამოქვეყნებულ წერილში („დედას ვუყვარვართ შეილები...“) სხვათა შორის გამოვთქვი ზოგიერთი მოსახრება და ვარაუდი უზენაესი საბჭოს ხსენებელი კომისიის შესახებ. კერძოდ ის, რომ არც ნებისმიერი ჩანგის კომისია, არც თვით უზენაესი საბჭო არ არის უფლებამოსილი შეცვალოს სასამართლოს გადაწყვეტილება, აღძრას ან შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე. ეს შედის სასამართლოს, საერთოდ, მართლმსაჯულების კომპეტენციაში.

რადგან შავოსან დედათა საქმეების შემსწავლელი კომისიის მუშაობა უკვე დამთავრებულია, გავებდავ ვთქვა ორიოდ სიტყვა მის შესახებ.

კომისია მუშაობდა უალრესად მძიმე, წარმოუდგენელ პირობებში: უზენაესი საბჭოს საკმაოდ ხალვათ შენობაში მას გამოუყვეს ერთადერთი ვიწრო ოთახი, სადაც ხშირად ფეხზე დასადგომი ადგილიც არ მოინახებოდა. კომისიის ნორმალური მუშაობით სულაც არ იყო დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოები და რაც მთავარია, კომისიის მუშაობაში შეტისმეტად აქტიურად ერეოდნენ თვით მომჩივნები განსაკუთრებით, ის ქალბატონები, რომლებსაც, საბედნიეროდ, ვერ მივაკუთვნებთ შვილმკვდარ დედათა ჯგუფს. იყო სხვა სიმწიციელებიც.

აღრე განვაცხადე და იძულებული ვარ გავიმეორო, რომ ამ კომისიების შექმნა არ იყო გამართლებული, ჩემის აზრით, ისინი შეიქმნა მომჩივანთა დასამშვიდებლად, ყურადღების მოსაღუნებლად, ამის დასტურია ბატონ ვ. კეშელავას კომისიაში მომჩივანთადიდი ჯგუფის მონაწილეობა, ვერ გეტყვი, ვისი მითითებით ან რჩევით დააკომპლექტეს ასე კომისიის შემადგენლობა, მაგრამ ეს არის ფაქტი. მომჩივანი თავისი საჩივრის შესწავლა-განხილვაში მონაწილეობს არამარტო როგორც დაინტერესებული მხარე, არამედ, როგორც კომისიის სრულუფლებიანი წევრი გადაწყვეტი ხმის უფლებით. შეგახსენებთ, საჩივრები მიმართულია, ძირითადად, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, მათი უფლებები კი კომისიებში პრაქტიკულად უგულვებელყოფილია, რაც გამოწვეულია კომისიებში მომჩივანთა მონაწილეობით. ვშიშობ, ამ საკითხს უკვე დაწერილი დასკვნების შესწავლისას აუცილებლად დააყენებს სამართალდამცავი ორგანოები.

აქ თავს არ შეგაწყენოთ კანონიდან („სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“) მუხლების ციტირებით, მაგრამ, იმ მუხლების მოთხოვნებიდაც გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო: ასეთი კომისიების შექმნა, მართლმსაჯულებაში ამგვარი ჩარევა, რბილად რომ ვთქვათ, არაკონსტიტუციურია, გარდა ამისა, რომ (მომიტყვეონ მომჩივნებმა, რომლებსაც ამ კომისიების დიდი იმედი აქვთ), იგი პრაქტიკულად, ვერავითარ რეალურ შედეგს ვერ მოიტანს. სამართალდამცავ ორგანოებს კი მისცემს ამ კეთილშობილური განზრახვით შექმნილი კომისიების დისკრედიტაციის მშვენიერ პერსპექტივას და საეჭვოა, მათ არ ისარგებლონ ამით.

სრულუფლებითაც არ მინდა იმის თქმა, რომ კომისიებმა მინდობილ საქმეს თა-

ვი ვერ გაართვეს. ზერეღედ, ვალის მოხდის მიზნით იშრომეს. პირიქით, კო-ლოსალური და სასარგებლო მუშაობა გასწიეს. მაგრამ, ალბათ, უფრო მოკლე გზაც არსებობდა. მაგალითად, შექმნილიყო უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის კომისიები იმავე სპეციალისტებისა და დეპუტატების მონაწილეობით. მაშინ მათ გადაწყვეტილებას ექნებოდა იურიდიული ძალმოსილება. ანუ საქმეს საორბელოდ არ გავიხდიდით.

მოვითხოვთ!.. მოვითხოვთ!.. მოვიბოვოთ!..

ეს სიტყვები ახლა ყველგან გაისმის. მათ შორის მომჩივანთაგან, ისინი მოითხოვენ რესპუბლიკის პროკურორის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, ზოგი სხვა თანამდებობის პირის გადადგომას.

მაბატივთ, მაგრამ ეს გახლავთ ერთობ გულუბრყვილო მოთხოვნა. შემიძლია დაგისახელოთ რამდენიც გნებავთ მაგალითი დღევანდელიდან, როცა ამგვარი მოთხოვნით გადადგა სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირი. ამას კი შემდეგ მხოლოდ ის მოყვა, რომ იმ შერისხულ-კარებაკვიდილმა ჩინოვნიკებმა დაუყოვნებლივ და დაუბრკოლებლად მონახეს სხვა, შედარებით უხიფათო და თბილი ადგილები. ხოლო ვინც მათ მოხსნა-გაძეგებას მოითხოვდა, ახლა ძველ სავარძელში მჯდომი ახალი ჩინოვნიკის უკმაყოფილოა.

გნებავთ, გავიხსენოთ სულ ახლო წარსულში ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ერთობ მრისხანე და დაუნდობელი ბრძოლა ყბადაღებული „ნეგატიური მოვლენების“ წინააღმდეგ: გაათავისუფლეს, დააქვეითეს, მოხსნეს, ციხეში გაუშვეს, სიკვდილითაც კი დასაჯეს ბევრი ადამიანი, რაიმე ხელშესახები შედეგი კი ვერ მივიღეთ.

გავიხსენოთ კომუნისტური პარტიის რიგების პერმანენტული და აგრეთვე დაუნდობელი წმენდა... ესეც უშედეგოდ. გავიხსენოთ, რომ ჩვენს სახელმწიფოს გააჩნია უამრავი მაკონტროლებელი ორგანო, რომლებიც აკონტროლებენ ყველაფერს და ყველას... არაფერი გამოდის.

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა: ფიგურების გადაადგილებით სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლებელია, საჭიროა „თამაშის წესების“ რადიკალური შეცვლა. ამას ვამბობ იმათ გასაგონად, ვინც მოითხოვს მავანთა გადადგომას, თორემ დღეს ასე აბოპოკრებულ ეროვნული მოძრაობა, თვითონ ხელისუფალთა ზოგიერთი ნაბიჯიც, სწორედ ამ მიზანს (მმართველობის სისტემის შეცვლას) ემსახურება.

და კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტიც: სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადადგმული ზოგი აშკარად მცდარი ნაბიჯი გადადგმულია შეგნებულად. ოღონდ საზოგადოების ერთი ნაწილის მხრიდან დაწოლის შედეგად. პარადოქსული ვითარებაა: ჩვენ ვიბრძვით სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისათვის, საერთოდ, სამართლიანობისათვის... ძალადობის გზით. ამ გზას კი შეუძლია მხოლოდ საყოველთაო ძალადობამდე, საბოლოოდ — დიქტატურამდე მიგვიყვანოს. შეგახსენებთ ჩვენ უკვე გვქონდა ასეთი სახელმწიფო.

იძულებული ვარ კიდევ ერთხელ გავიმეორო მრავალთაგან მრავალჯერ ნათქვამი: მოქმედ კანონზე ძალადობა არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, მისაღებია თუ არა ეს კანონი. კანონი უნდა შესრულდეს — ეს არის კაცობრივბუ-

ლი სამყაროს კანონი. ხოლო თუ იგი საზოგადოების უმრავლესობისათვის არის მისაღები — უნდა შეიცვალოს.

ვიმეორებ, პიროვნებების შეცვლით ბევრი არაფერი შეიცვლება. საჭიროა შეიცვალოს სახელმწიფოს სტრუქტურა. შეიცვალოს კანონმდებლობა.

ღიას, არსებობს ობიექტური საფუძველი მართლმსაჯულებისადმი უნდობლობისა, მაგრამ ეს არ იძლევა უშუალოდ მართლმსაჯულებაზე ძალადობის საბაბს. ეს იძლევა საბაბს ფიქრისა და განსჯისათვის, როგორ შევცვალოთ ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი საფუძველი. ნურავის ეგონება, რომ ჟურნალ-გაზეთები¹ — რაქციების, ტელევიზიის, უმაღლესი სასამართლოს პიკეტირება არ არის ძალადობა.

თეიმურაზ ჯორიძე

რედაქციისაბან: ხელისუფლების უზენაეს ორგანოსთან სპეციალური საგამოძიებო კომისიების შექმნა დიდი ხანია გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით. ასეთი კომისიების ფუნქციონირებას ითვალისწინებს საკავშირო კონსტიტუციაც. თუმცა, ათეული წლების განმავლობაში ძირითადი კანონებით გათვალისწინებული ეს ინსტიტუტი არასდროს ამოქმედებულა. პირველი პრეცედენტი მ აპრილის ტრაგედიის საგამოძიებო კომისიის შექმნა იყო, შემდეგ ამ ინსტიტუტს მიმართა სახალხო დემოკრატთა საკავშირო ყრილობამ. როცა სახელმწიფოში გამოძიებისა და სასამართლოების მიმართ უნდობლობაა, ასეთი კომისიის შექმნის აუცილებლობა ბუნებრივად იბადება. მაგრამ კომისიების საქმიანობას ახლავს იმედის გაცრუებაც. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს შედეგი კომისიის წევრების არაკომპეტენტურობით ან არაკეთილსინდისიერებით ავხსნათ. პირიქით, ასეთ კომისიებში, როგორც წესი, მაღალი კომპეტენციისა და ზნეობის ადამიანებს ირჩევენ. არსებითი აქ სხვაა. ალბათ, უწინარეს ყოვლისა, სათანადო საკანონმდებლო აქტით უნდა განისაზღვროს პარლამენტის კომისიის შექმნის წესი. მისი უფლებამოსილების ფარგლები, კომისიის დასკვნის იურიდიული ბუნება, ბატონ თეიმურაზ ჯორიძის წერილს ვაქვეყნებთ საკითხის დასმის წესით მკითხველს ვთხოვთ გამოხმაურებას.

ავთანდილ კობახიძე

კონფისკაცია როგორც დამატებითი სასჯელი

ქონების კონფისკაცია სისხლის სამართალში უმეტესად გამოიყენება როგორც დამატებითი სასჯელი. ზოგჯერ მიუთითებენ ხოლმე ამ სახის სასჯელის გაუქმებაზე და უპირატესობას ანიჭებენ ქონებრივი სასჯელის მეორე სახის ჩარიმას. მოითხოვენ კონფისკაცია შეეხოს მხოლოდ დანაშაულის იარაღს და დანაშაულებრივი გზით შეძენილ ქონებას.

მიგვაჩნია, რომ ჩარიმის, როგორც სასჯელის სახის ფართოდ გამოყენებაში, ასევე დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების, ანდა დანაშაულის იარაღის კონფისკაციამ არ უნდა განდევნოს კონფისკაცია, როგორც სანქცია სისხლის სამართლის კანონის დარღვევისათვის. მაგრამ, კბადია, ეს ნორმა ნაკარად განსაზღვრული უნდა იყოს და შეეხოს მხოლოდ და მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც კანონშია მითითებული.

რამდენადაც კონფისკაცია ქონებრივი სასჯელია, მის გამოყენებას გამართლება აქვს სწორედ ისეთი დანაშაულის ჩადენისას, როცა პირმა ამ დანაშაულით უკანონოდ მიიღო ქონებრივი სარგებელი, ანდა თავისი ქონებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა დანაშაული. ყველგან და ყოველთვის კონფისკაციას სოციალური მიზანი გააჩნია — იგი არის სახელმწიფოებრივი ღონისძიება მიმართული სახალხო სიმდიდრის სამართლიანი განაწილებისადმი. ამ მიზანს ემსახურება კონფისკაცია, როგორც სასჯელის ზომა. აქედან გამომდინარე ყველა დროის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როცა ამ სასჯელს ადგენდა, ცნობილია, რომ სასჯელის ეს სახე მთელი სიმკაცრით გამოიყენება იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აღიარებული და დაცულია კერძო საკუთრება.

ჩვენში 90-იანი წლების დამდეგიდან საგრძნობლად გაფართოვდა კონფისკაციის გამოყენება. კერძოდ, იგი გათვალისწინებული იქნა როგორც ცალკეული დანაშაულის შემადგენლობის იმ სახეებით, რომელიც ადრე არ ითვალისწინებდა მას. ისე ახალი მუხლების მიხედვით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით დანაშაულის 12 შემადგენლობისათვის დაწესდა ალტერნატიული წესით ქონების კონფისკაცია, 4 შემადგენლობაზე სავალდებულო წესით, ხოლო 6 შემადგენლობაზე, ალტერნატიული წესით დადგენილი კონფისკაცია გახდა სავალდებულო. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ქონების კონფისკაციას, როგორც დამატებით სასჯელს ითვალისწინებს 40 მუხლში 70 შემადგენლობაზე. მათ შორის სახელმწიფო დანაშაულებზე ისევ 10 მუხლით არის ეს სასჯელი დადგენილი, სოციალისტური საკუთრების გატაცებისათვის 15

შემადგენლობაზე (7 მუხლი) დაწესდა დამატებითი სასჯელის ეს სახე. მათ შორის 7 შემთხვევაში ალტერნატიულად და 8 შემთხვევაში სავალდებულო წესით. განსაკუთრებით გაიზარდა კონფისკაციის გამოყენება პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. თუ ადრე ამ სფეროს ერთადერთი დანაშაულისათვის (ყაჩაღობის კვალიფიციური სახე) გათვალისწინებული იყო ქონების კონფისკაცია, ამჟამად 4 სახის დანაშაულის 9 შემადგენლობა ითვალისწინებს დამატებითი სასჯელის ამ სახეს (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა), მათ შორის 4 შემთხვევაში სავალდებულო წესით. ასევე გაფართოვდა კონფისკაციის გამოყენების სფერო სამეურნეო დანაშაულისათვის. ამ სახის დანაშაულთა 7 მუხლის 12 შემადგენლობა ითვალისწინებს ქონების კონფისკაციას. დამატებითი სასჯელის ეს სახე დაწესდა, აგრეთვე, თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, აზარტული თამაშისათვის და ზოგიერთი სხვა დანაშაულებრივი ქმედებისათვის. ასევე იქნა სასჯელის ეს სახე გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის ახალი 250¹ (კარატეს უკანონო სწავლება), 251³ (რადიოაქტიური მასალების გატაცება), 252⁵ (ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარების ბუნაგის მოწყობა) მუხლებით.

უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი სასჯელი — ქონების კონფისკაცია ძირითადად ამართლებს თავის დანიშნულებას და ეფექტიანადაც გამოიყენება ის. მაგრამ არც ისაა სადაო, რომ დანაშაულთა მთელ რიგ შემადგენლობაზე მას ფორმალური ხასიათი აქვს და პრაქტიკულად არც გამოიყენება.

თუ ქ. თბილისის სახალხო სასამართლოებში ქონების კონფისკაციის შეფარდების უკანასკნელი წლების პრაქტიკას გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ გაუმართლებელია ხელაღებით როგორც კონფისკაციის ამოღება დამატებითი სასჯელთა სახეებიდან, ისე ამ სასჯელის გამოყენების წახალისება. როგორც ყველა სხვა საკითხის გადაწყვეტისას, აქაც ზიანის მომტანი ყოველნაირი სისხლისათვის მოუფიქრებლად მხარის დაჭერა. მიუხედავად იმისა, გვწამს თუ არა ეს სიახლე.

ცხადია, ყოველგვარი სასამართლო პრაქტიკის გამართლება არ შეიძლება. ალბათ, ბევრ შემთხვევაში ქონების კონფისკაცია არ იქნა გამოყენებული იქ, სადაც ეს საჭირო იყო, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ბევრჯერ იქაც იყენებენ სასამართლოები ამ ზომას. სადაც არაფრით არ არის გამართლებული. მაგრამ რაკი სანქცია ითვალისწინებს, თავს აღარ იწუხებენ იმის დასაბუთებით, თუ რატომ არ უნდა გამოიყენონ იგი.

როცა სამართლებრივ ლიტერატურაში დადგა საკითხი ქონებრივი სასჯელების უფრო გაბედულად გამოყენების შესახებ, ეს უწინარეს ყოვლისა, ეხებოდა ჯარიმების ფართოდ დანერგვას და არამც და არამც ქონების კონფისკაციის შეფარდების გაუმართლებელ გაზრდას. სასჯელი თავის მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ამ გაგებით სსკ ბევრი მუხლიდან კონფისკაცია ამოღებულ უნდა იქნეს. სახელდობრ, მიმაჩნია, რომ ქონების კონფისკაცია არ უნდა იყოს შეტანილი კოდექსის 91, 92, 93 და 94-ე მუხლების მეორე ნაწილებში, 150, 151, 153-ე მუხლების, მეორე ნაწილებში, 164-ე მუხლის პირველ ნაწილში, 165-ე მუხლის პირველ ნაწილში, 167-ე მუხლის პირველ ნაწილში, 173-ე მუხლის მესამე ნაწილში, 233-ე მუხლის პირველ ნაწილში (მოქალაქეთა პიროვ-

ნების და უფლებების ხელყოფა რელიგიური წესების შესრულების სახით).
250) შეხლას მეორე ნაწილში (კარატე, უკრაინა, სწავლება).

აღნიშნულ დანაშაულთა ჩასაბრუნებლად არის ასეთი: რომ აუცილებელი იყოს
ქონების კონფისკაციის შეფარდება კონფისკაციას. ისევე როგორც ყოველ-
გვარი სხვა სასჯელი, თვითმზანი არ უნდა იყოს, მაკ უნდა გააძარტლოს სა-
უიო დანიშნულება. რა აუცილებელია. მაგალითად, კონფისკაციის გამოყენ-
ება იმ დანაშაულის მიმართ, რომელმაც მცირე ღირებულების ქონება მოიპა-
რა, თუნდაც განმეორებით ანდა ეკონომიური მდგომარეობის გამო რაიმე
სივით იყიდა, გაყიდა და უმნიშვნელო ოდენობით შოგება მიიღო.

ამავე დროს კი, არის ზოგიერთი ასეთი დანაშაული, რომლის ჩამდენი პი-
რის მიმართ საჭირო და გაძარტლებული იქნება კონფისკაციის გამოყენება.
მაგალითად: განზრახ მკვლელობა ანგზრებით, ანდა იგივე ქონებრივი მდგო-
მარეობის გამოყენებით ამ მკვლელობის გაადვილება თუ დაფარვა. ასევე
იგივეს მოქალაქეთა მიმართ ყაჩაღობის მარტივ სახეზე. გაუგებარია, რომ
ქურდობისა და ძარცვის შედარებით მარტივი სახეები, ასევე სოციალისტური
საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყაჩაღობის მარტივი სახე ითვალისწი-
ლებს ქონების კონფისკაციას, ხოლო მოქალაქეთა მიმართ საკუთრების წინააღ-
მდეგ მიმართული ყაჩაღობის მარტივ სახე კი არა. ასევე, ჩვენი აზრით, გა-
ნობალების კვალიფიციურ შემთხვევებზე უნდა დადგინდეს ქონების კონფის-
კაცია. მით უმეტეს, რომ როგორც მსჯელობისა და ცნობილია, ბოლო ხანს
ძარტოდ გავრცელდა ე. წ. რეკეტების შემთხვევები. ანდა ავიღოთ, მევახშე-
ობა. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მევახშეობით პირი
დრტდალ გამორჩენას ღებულობს უკრაინაში, მაგალითად, ქ. თბილისის ისნის
რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით, მსჯელობისა და გ. ტუმასიანს, რო-
მელიც სისტემატურად ეწეოდა მევახშეობას. ბრძენის ჩარევისას 29 ათას მა-
ნეთზე მეტი ფული აღმოჩნდა. ამის გამო ბრძენის შეფარტებულის სსკ 156-ე
მუხლი (მევახშეობა) დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაციას არ ითვა-
ლისწიხებს. სასამართლომ კერძო განჩინება გამოიტანა და რაიონის პროკუ-
რორს გადაუტანა. რათა აღძრულიყო სასამართლო შეძენილი ქო-
ნების ბედის გადაწყვეტის შესახებ. სასჯელი რისიკონაწინებით მომას, თუ რამდე-
ნად სწორია პროცესუალურად კერძო განჩინების შედგენა იმ საკითხზე, ვი-
სეთ თუ რა დიდ სირთულესთან შეხარისხებულად პროცესუალურად ამ-
გზით იუთმტაციების ბედის გადაწყვეტა. ამიტომ ქონებრივად მიმაჩნია.
რომ ეს მუხლი დამატებით სასჯელად ითვალისწინებულ ქონების კონფისკა-
ციას.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით უნდა დამატებით მოსაზრებას
რომ საქართველოს სსკ 104-ე, 152-ე მუხლის პირველი ნაწილით, 154-ე
და 157-ე მუხლებით დამატებითი სასჯელის სახით, გათვალისწინებულ იქნეს
ქონების კონფისკაცია.

ამდენიმე სიტყვით ქონების კონფისკაციის გამოყენების იმ წესზე, რო-
მელიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს სსკ
154-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებულია მსჯელობის როგორც მთლი-
ანი ქონების, ისე მისი ნაწილის კონფისკაცია. კონფისკაცია შეიძლება
უკმაპრტული და ნაწილობრივად დასკონის ანალოგიურად აღის მოწესრიგ-
ებულო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ამასთან, კოდექსი იქვე უთითებს,
რომ ქონების ნაწილის კონფისკაციის დროს სასამართლომ უნდა აღნიშნოს

თუ ქონების რომელი ნაწილის კონფისკაცია ხდება, ან ჩამოთვალოს საკონფისკაციო საგნები. ეს წესი პრაქტიკამ უარყო. მართლაც, რა საჭიროა სასამართლომ განაჩენში ჩამოთვალოს რომელ საგნებს გაუყეთოს კონფისკაცია და რომელს არა. თუ გვაქვს დამატებითი სასჯელის სახე ქონების კონფისკაცია, სასამართლო გადაწყვეტს შეფარდოს თუ არა ეს სასჯელი და საკითხი, თუ რომელი საგანი შეიძლება კონფისკაციაქმნილი იქნეს და რომელი არა, ეს ცალკე არის მოწესრიგებული კოდექსის დანართით და უნდა გადაწყდეს განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს. უფრო მართებული იქნება ვილაპარაკოთ იმ ქონების ნუსხის გაფართოებაზე, რომელზეც საერთოდ არ შეიძლება კონფისკაციის მიქცევა.

კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონი კონფისკაციას ძირითადად ითვისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომასთან და თავისუფლების აღკვეთასთან ერთად. იგი დაიშვება აგრეთვე ისეთ ძირითად სასჯელთან ერთად, როგორცაა გადასახლება და გამასწორებელი მუშაობა. საქართველოს სსკ სამ შემთხვევაში ითვისწინებს გადასახლებასთან ერთად ქონების კონფისკაციას, გამასწორებელ მუშაობასთან ერთად კი კანონი არ გამორიცხავს მის გამოყენებას იმ შემთხვევაშიც, როცა თავისუფლების აღკვეთა იცვლება შრომაში სავალდებულო ჩაბმით, საქართველოს სსკ 25¹ მუხლის შესაბამისად. ეს აზრი გამომდინარეობს კოდექსის 25 მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან, რომელიც დასაშვებად თვლის კონფისკაციის გამოყენებას.

ასევე არ არის გამორიცხული ქონების კონფისკაციის გამოყენება განაჩენის აღსრულების გადადების დროს საქართველოს სსკ 47¹ მუხლის შესაბამისად, ოღონდ, სასამართლომ განაჩენში ზუსტად უნდა მიუთითოს თუ რომელი სასჯელის აღსრულების გადადება ხდება, მხოლოდ ძირითადის, თუ როგორც ძირითადის, ისე დამატებითისაც. იმ შემთხვევაში, როცა მსჯავრდებულს ენიშნება თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ქონების კონფისკაციაც და მხოლოდ ძირითადი სასჯელის აღსრულება გადაიდება, ქონების კონფისკაციის ნაწილში განაჩენი ჩვეულებრივ აღსრულდება.

შედარებით სხვაგვარად უნდა გადაწყდეს ქონების კონფისკაციის გამოყენების საკითხი მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სსკ 45-ე მუხლის გამოყენების დროს. სასამართლოს ამ დროს შეუძლია გამოიყენოს კონფისკაცია როგორც თავისუფლების აღკვეთის ვადის შემცირებისას, ისე გამასწორებელი მუშაობის შეფარდებისას, ვინაიდან კანონი არ კრძალავს გამასწორებელ მუშაობასთან ერთად ქონების კონფისკაციის შეფარდებას. რაც შეეხება ძირითად სასჯელად ჯარიმის შეფარდებისას ქონების კონფისკაციის გამოყენება არ უნდა მივიჩნიოთ შესაძლებლად, რამდენადაც კანონში არ არის მითითებული ამის შესახებ. ეს ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან როგორც ჯარიმა, ისე კონფისკაცია, ორივე ქონებრივი სასჯელია და ერთი და იგივე დამნაშავეს მიმართ ორი ქონებრივი სასჯელის გამოყენება სხვა რომ არა, იურიდიულად გაუმართლებელია.

ამავე მოსაზრებით არასწორად მიმაჩნია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1987 წლის 24 დეკემბრის № 13 დადგენილების მეორე პუნქტში მოცემული განმარტება, რომ საჩქიის მინიმუმით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის — ჯარიმის შეფარდების დროს, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი სასჯელიც — ქონების კონფისკაცია.

ასევე არ ითვალისწინებს კანონი ქონების კონფისკაციის გამოყენებას ისეთ ძირითად სასჯელებთან ერთად, როგორცაა გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, თანამდებობიდან დათხოვნა და საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ამასთან დაკავშირებით, არასწორად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, რომ ქონების კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს ისეთ ძირითად სასჯელებთან ერთად, როგორცაა გარკვეული საქმიანობის აკრძალვა, გასახლება, პირობითი მსჯავრდება, თუ ვამბობთ, რომ ქონების კონფისკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გადასახლებასთან ერთად, ანდა გარკვეული საქმიანობის აკრძალვასთან ერთად, კონფისკაცია სისხლის სამართლის კოდექსებით არ არის გათვალისწინებული. ე. ი. არ უნდა იქნეს გამოყენებული.

სხვადასხვაგვარად წყდება კონფისკაციის გამოყენების საკითხი მსჯავრდებულის სასჯელისაგან განთავისუფლების დროს, იმის მიხედვით, თუ რა საფუძველით ხდება მისი განთავისუფლება. თუ პირი სასჯელისაგან თავისუფლდება პირობითი მსჯავრის გამოყენებით, მის მიმართ კონფისკაციის შეფარდება აღარ დაიშვება. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 38-ე მუხლში და საქართველოს სსკ 46-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ პირობითი მსჯავრის დადების დროს არ დაიშვება ქონების კონფისკაციის შეფარდება. ამასთან, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კანონის ასეთი იმპერატიული მოთხოვნა არ მიგვაჩინია სწორად. პირობით მსჯავრს თავისი საფუძველი აქვს. იგი გამოიყენება მაშინ, როცა დამნაშავეს პიროვნების და საქმის გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის მისი თავისუფლების აღკვეთის ადგილზე გაზავნა, მაგრამ ბევრ კონკრეტულ შემთხვევაში სრულებით არ არის აუცილებელი, რომ იგივე პირის მიმართ არც დამატებითი სასჯელი იქნეს გამოყენებული. თუ განაჩენის აღსრულების გადადების დროს შეიძლება კონფისკაციის შეფარდება, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს მისი გამოყენება პირობითი მსჯავრდების დროს. ეს უბრალოდ, ულოგიკობაცაა. ამიტომ საფუძველების 38-ე და კოდექსის 46-ე მუხლებიდან ეს მითითება ამოღებული უნდა იქნეს.

როცა პირი სასჯელისაგან თავისუფლდება ზანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, იგი თავისუფლდება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის, მათ შორის, ქონების კონფისკაციისგანაც.

ერთგვარ თავისებურებასთან გვაქვს საქმე ამნისტიის საფუძველზე პირის სასჯელისაგან განთავისუფლების დროს, როცა განაჩენის დადგენის მომენტში დამნაშავედ ცნობილ პირს ეხება ამნისტია და მთლიანად თავისუფლდება იგი სასჯელისაგან. ცხადია, ის ქონების კონფისკაციისგანაც უნდა განთავისუფლდეს. ასევე თავისუფლდება ის ქონების კონფისკაციის შეფარდებისაგან, როცა სასჯელის მოხდის პერიოდში გამოცემული ამნისტიის აქტი ათავისუფლებს მას მთლიანად სასჯელისაგან და განაჩენი სისრულეში არ არის მოყვანილი ქონების კონფისკაციის ნაწილში (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის № 7 დადგენილების მე-13 პუნქტი). მაგრამ თუ ამნისტია პირდაპირ უთითებს, რომ მსჯავრდებული არ თავისუფლდება დამატებითი სასჯელისაგან, ცხადია, იგი არც კონფისკაციისაგან განთავისუფლდება. ასევე მთლიანად არ ათავისუფლებს მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელისაგან, მხოლოდ უმცირებს მას ამ სასჯელს, დამატებით სას-

ჯელს — ქონების კონფისკაციას ამნისტია არ ეხება თუ ეს პირდაპირ არ მითითებული ამნისტიის აქტში.

ქონების კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტის სხვაგვარი წესია დადგენილი სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის დროს. საქართველოს სსკ 54-ე მუხლის მე-6 ნაწილი მიუთითებს, რომ სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისას მსაჯურდებულო შეიძლება განთავისუფლდეს აგრეთვე ისეთი დამატებითი სასჯელისაგან, როგორცაა გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავებისა ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. აქ არაფერია ნათქვამი ქონების კონფისკაციის შესახებ, ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვადამდე პირობით განთავისუფლების დროს ქონების კონფისკაციისაგან განთავისუფლება არ ზღვება.

ყველა შემთხვევაში, სასამართლო, რომელიც წყვეტს სასჯელის შეფარდების საკითხს, არ შეიძლება ფორმალურად მოეკიდოს კონფისკაციის გამოყენებას, უნდა გაითვალისწინოს როგორც დანაშაულის ხასიათი, კანონის სანქცია, ისე დამნაშავის პიროვნება. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის № 7 დადგენილებაში „ქონების კონფისკაციის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომელშიც ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი იგივე პლენუმის 1963 წლის 14 მარტის № 1, 1968 წლის 24 ივნისის № 7 და 1980 წლის 28 აგვისტოს № 7 დადგენილებებით, პირდაპირ არის მითითებული (პ. 3), რომ სასამართლო ვალდებულია დასაბუთოს განაჩენში კონფისკაციის გამოყენებლობა და როცა ეს სასჯელი სავალდებულოა, მაგრამ სასამართლო მას არ უფარდებს, უნდა მიუთითოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 43-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობა. პლენუმმა ისიც თქვა, რომ თუნდაც დამნაშავედ ცნობილ პირს განაჩენის დადგენის დროს არ გააჩნდეს საკონფისკაციო ქონება, ეს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს კონფისკაციისაგან მის განთავისუფლებას. ანალოგიური განმარტებები აქვს მოკემული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს ცალკეული კატეგორიის საქმეების განხილვის პრაქტიკის განზოგადების დროს. ამ დებულებას ზოგიერთი ავტორი სიეჭვოდ მიიჩნევს და გვთავაზობს, რომ კონფისკაცია უნდა დაინიშნოს მაშინ, როცა ფაქტობრივად შეიძლება ის აღსრულდეს. ეს მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, რამდენადაც პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა განაჩენის დადგენის დროს სახეზე არ იყო დამნაშავის საკონფისკაციო ქონება, მაგრამ შემდეგ იქნა იგი აღმოჩენილი და კონფისკაციაქმნილი. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში უმჯობესია სასამართლომ შეუფარდოს დამატებითი სასჯელის ეს სახე (თუ სხვა დამაბრკოლებელი გარემოება არ არის) და შემდეგ აღსრულების დროს კვლავ გაირკვეს აქვს თუ არა მსაჯურდებულს საკონფისკაციო ქონება, ვიდრე ის, რომ არ შეუფარდოს. შემდეგ აღმოჩნდეს ასეთი ქონება და გადაუწყვეტელი დარჩეს მისი ბედი.

სასამართლომ უნდა დასაბუთოს კონფისკაციის გამოყენება ან არ გამოყენება არა მარტო მაშინ, როცა ეს სასჯელი სავალდებულოა, არამედ მაშინაც, როცა იგი ალტერნატიული წესით არის გათვალისწინებული სანქციით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 29 აგვისტოს № 6 დადგენილება „სასამართლოების მიერ დამატებითი სასჯელების და-

ნიშვნის პრაქტიკის შესახებ“ მე-4 პუნქტში უთითებს, რომ როცა სისხლის სამართლის კანონის სანქცია ითვალისწინებს დამატებითი სასჯელის გამოყენების ან არ გამოყენების შესაძლებლობას, სასამართლოები ვალდებული არიან განიხილონ საკითხი მისი დანიშვნის შესახებ და მიუთითონ განაჩენში მიღებული გადაწყვეტილების მოტივებზე.

რამდენადაც ქონების კონფისკაცია არის დამატებითი სასჯელი და ენიშნება მხოლოდ დამნაშავედ ცნობილ პირს, ის ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ამ პირის კუთვნილ ქონებაზე, ე. ი. იმ ქონებაზე, რომელიც მას პირად საკუთრებაში ან საერთო წილად საკუთრებაში გააჩნია ქონების კონფისკაციის გამოყენების პრაქტიკაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოდასახელებული დადგენილების მე-7 პუნქტის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლოებმა მხოლოდ დამნაშავეს პირად საკუთრებაში მყოფ ქონებას უნდა გაუყეთონ კონფისკაცია, ე. ი. არ შეიძლება იმ ქონების კონფისკაცია, რომელიც სხვის სახელზე არის აღრიცხული. მაგრამ, ამავე დადგენილების მე-9 პუნქტის II ნაწილის შესაბამისად, თუ განაჩენით დადგინდება, რომ ქონება ფორმალურად არის სხვის სახელზე აღრიცხული ფიქტიური გარიგებით, კონფისკაციის თავიდან ასაცილებლად და ექვს არ იწვევს, რომ ის დანაშაულით მიღებული შემოსავლით არის შეძენილი, ასეთი გარიგება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და არ უნდა დაკმაყოფილდეს ასეთი ქონების აღწერის სიიდან ამორიცხვის შესახებ აღძრული სარჩელები, ასეთი რამ იშვიათად კეთდება სასამართლო პრაქტიკაში, რადგან სასამართლოები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ხშირად არ ამახვილებენ ყურადღებას დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების შესახებ, არ უთითებენ განაჩენში, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით არის შეძენილი და კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ მსჯავრდებულს უფარდებენ ქონების კონფისკაციას, ეს კი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სამოქალაქო წესით აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის სარჩელის გადაწყვეტისას ბათილად ჩაითვალოს ქონების სხვის სახელზე გაფორმების გარიგება და კონფისკაციაქმნილი იქნეს ეს ქონება, ამიტომ ანგარებითი დანაშაულის საქმეთა განხილვისას, საჭიროა სასამართლოებმა სპეციალურად იმსჯელონ დაუდასტურებული ძვირადღირებული ქონების შეძენის წყაროზე და განაჩენში მიუთითონ არის თუ არა იგი შეძენილი დანაშაულებრივი გზით.

როცა პირს მსჯავრი ედება რამდენიმე დანაშაულში და სსკ თითოეული მუხლის სანქცია ითვალისწინებს დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაციას, სანამ ერთობლივად განესაზღვრებოდეს მას სასჯელის საბოლოო ზომა, ცალცალკე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელში უნდა იქნეს მითითებული ქონების კონფისკაციის დანიშვნის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სასამართლომ არ შეუფარდა ეს სასჯელი რომელიმე იმ მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია იგი, არც საბოლოო ზომის განსაზღვრისას შეიძლება მისი შეფარდება, ეს აზრი გამომდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოდასახელებული დადგენილების მე-8 პუნქტიდან, რომლის მიხედვით დანაშაულთა ერთობლიობის დროს სავალდებულოა ჯერ ცალ-ცალკე იქნეს შეფარდებული დამატებითი სასჯელი (როცა ეს გათვალისწინებულია სანქციით) და შემდეგ კი საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ კანონმდებლობას დამატებითი სასჯელის სახით ქონების

კონფისკაციის დანიშვნის დროს, მაგრამ, ამასთან ერთად, საკმაოდ ხშირად უშვებენ სერიოზულ შეცდომებს. ყველაზე ხშირად სასამართლოები არღვევენ ზემოთ დასახელებული პლენუმის დადგენილების მე-4 მუხლის მოთხოვნას, არ ასაბუთებენ ალტერნატიული სანქციის დროს ამ სასჯელის დანიშვნას თუ არ დანიშნას. ეს იწვევს შემდგომში ამ სასჯელის ამორიცხვას განაჩენის საკასაციო თუ საზედამხედველო წესით გადასინჯვის დროს. ქ. თბილისის ვაკის რაიონის სახალხო სასამართლომ ო. ვ. ორთოიძეს საქართველოს სსკ 150 მუხლის III ნაწილით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციის გარეშე ისე, რომ არ დაასაბუთა განაჩენით მიღებული გადაწყვეტილება. კიდევ მეტი, სასამართლოები არ უფარდებენ კონფისკაციას ისეთ შემთხვევებშიც, როცა მისი დანიშვნა სავალდებულოა კანონის სანქციით, ამავე დროს არც ასაბუთებენ მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს გარემოება, დასახელებული პლენუმის დადგენილების მე-11 პუნქტის შესაბამისად, განაჩენის გაუქმების საფუძველიც შეიძლება გახდეს. ნაძალადევის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. ყ. ბეგლარიშვილს საქართველოს სსკ 93-ე მუხლის III ნაწილითა და 153-ე მუხლის მეორე ნაწილით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, დამატებითი სასჯელი — ქონების კონფისკაცია კი არ გამოიყენა და არც განაჩენში მიუთითა საქართველოს სსკ 45-ე მუხლზე, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

ამასთან ერთად, არის შემთხვევები, როცა ქონების კონფისკაციას უფარდებენ იქ, სადაც კანონით არ შეიძლება მისი შეფარდება. ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლომ მ. ო. მაცაბერიძეს საქართველოს სსკ 173-ე მუხლის მესამე ნაწილით შეუფარდა ძირითად სასჯელად 700 მანეთი ჯარიმა და დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაცია. აღნიშნული მუხლის სანქცია ქონების კონფისკაციის შეფარდებას ითვალისწინებს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთასთან ან გამასწორებელ მუშაობასთან ერთად, ხოლო ჯარიმასთან ერთად არც ალტერნატიულად და არც სავალდებულო წესით ქონების კონფისკაცია გათვალისწინებული არ არის. ამიტომ სასამართლოს დამატებითი სასჯელის ეს სახე არ უნდა გამოეყენებინა. საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1987 წლის 24 აპრილის დადგენილებით განაჩენიდან ამორიცხა ქონების კონფისკაციის შეფარდება.

ზოგჯერ სასამართლოები კონფისკაციას უფარდებენ პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს, რასაც პირდაპირ კრძალავს კანონი. ქ. თბილისის შთაწმინდის რაიონის სახალხო სასამართლომ 1987 წლის 16 მარტის განაჩენით ა. ს. ყაჯრიშვილს საქართველოს სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით შეფარდებული 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ამავე კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე პირობითი მსჯავრით შეუცვალა. ქონების კონფისკაცია კი დაუტოვა. საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა აღნიშნული დამატებითი სასჯელი ამორიცხა განაჩენიდან, როგორც არასწორად შეფარდებული, ანალოგიური შეცდომა დაუშვა იგივე სასამართლომ გ. მ. კერკესლიშვილის პრალდების საქმეზე.

ასეთია ძირითადად, კონფისკაციის, როგორც დამატებითი სასჯელის გამოყენების კანონით დადგენილი წესი და პირობები

ღონა ზალიაშვილი

ჯანმეორებითი ექსპერტიზა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები

ჩვენი მიზანია სპეციალური ლიტერატურისა და მოკავშირე ჩესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობის შესწავლისა და ანალიზის შედეგად ჩამოვაყალიბოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ის ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების საკითხებს.

განმეორებითი ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მხოლოდ გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შესაბამისი საპროცესო ნორმების დაცვის საფუძველზე უკვე ჩატარებული ექსპერტის დასკვნის კრიტიკული და ყოველმხრივი შეფასების შედეგად. გამოძიებლის დასაბუთებული დადგენილების (სასამართლოს განჩინების) გამოტანის საფუძველზე, დადგენილებაში (განჩინებაში) დაწვრილებით უნდა დასაბუთდეს, თუ რატომ არ ეთანხმება გამოძიებელი (სასამართლო) უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას. განმეორებითი ექსპერტიზა ინიშნება იგივე საკითხების გადაწყვეტის მიზნით და იმავე მასალების შესწავლის შედეგად. რაც გამოყენებულ იყო პირველადი ექსპერტიზის ჩატარების დროს, განმეორებით ექსპერტიზას ატარებს სხვა ექსპერტი ან სხვა ექსპერტები საქმეზე ქეშმარიტების დადგენის მიზნით. განმეორებითი ექსპერტიზის ცნების ასეთი გაგება მიღებულია პროცესუალურ ლიტერატურაში.

განმეორებითი ექსპერტიზა უნდა განვასხვაოთ დამატებითი ექსპერტიზისაგან, რომელიც ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი ექსპერტის დასკვნა სათანადოდ ნათელი ან სრული არ არის (იხ. საქართველოს სსს კოდექსის 70-ე მუხლი). ამავე მუხლის ძალით განმეორებითი ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როდესაც უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებელია, ან მისი სისწორე იწვევს ეჭვს, მაშასადამე, კანონის ძალით განმეორებითი და დამატებითი ექსპერტიზა ინიშნება სხვადასხვა საფუძველით.

განმეორებითი ექსპერტიზა ყოველთვის ტარდება სხვა ექსპერტის ან სხვა ექსპერტების მიერ, მაშინ, როდესაც დამატებითი ექსპერტიზა, როგორც წესი, ტარდება იმ ექსპერტის მიერ, ვინც ჩატარა პირველადი ექსპერტიზა. პრაქტიკაში და კანონმდებლობაში ხშირად გაიგივებულია ცნებები: „ახალი ექსპერტიზა“ და „განმეორებითი ექსპერტიზა“, მაგალითად, ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 251-ე და 162-ე მუხლები განმეო-

რებითი ექსპერტიზის დანიშნავს უწოდებენ „ახალი ექსპერტიზის“ დანიშნავს სასამართლო ფსიქიატრიის სახელმძღვანელოებში განმეორებითი ექსპერტიზის გარდა ამ ცნების გამოსახატავად იხმარება ტერმინი „ახალი ექსპერტიზა“.¹

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ახალი ექსპერტიზა“ არ ასახავს განმეორებითი ექსპერტიზის თავისებურებას, ახალი ექსპერტიზა უფრო შეესაბამება პირველადი ექსპერტიზის ცნებას. „ახალი ექსპერტიზის“ ტერმინის გამოყენება ხაზს არ უსვამს ექსპერტიზის განმეორებით ჩატარების ნიშანს. განმეორებითი ექსპერტიზის ცნებისათვის კი დამახასიათებელია განმეორებითი ნიშანი (მეორედ, მესამედ, მეოთხედ და ა. შ.). სასურველი და სწორია, როდესაც კანონმდებელი ერთ ცნებას — განმეორებით ექსპერტიზას — გამოხატავს ერთი ტერმინით.

საზღვარგარეთის ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, საფრანგეთში, განმეორებითი ექსპერტიზა გამოიხატება ტერმინით „კონტრექსპერტიზა“ (იხ. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლი). მიგვაჩნია, რომ ტერმინი „კონტრექსპერტიზა“ ბუნდოვანია და უფრო ნაკლებად ასახავს განმეორებითი ექსპერტიზის არსს.

პროცესუალურ ლიტერატურაში განმეორებითი ექსპერტიზის გარდა იხმარება ტერმინები „საკონტროლო ექსპერტიზა“, „შემოწმებითი ექსპერტიზა“². ამ ტერმინების შემოღება გამოწვეული იყო იმით, რომ განმეორებითი ექსპერტიზა, ზოგ შემთხვევაში, ინიშნება იმ მიზნით, რომ შემოწმდეს პირველადი ექსპერტის დასკვნის სისწორე.

ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსი არ იკნობს საკონტროლო და შემოწმებით ექსპერტიზას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამ სახის ექსპერტიზას არ გააჩნია მისთვის დამახასიათებელი რაიმე ნიშანი და მათ არსს მთლიანად მოიცავს განმეორებითი ექსპერტიზის ცნება. სწორედ ამიტომ ამ სახის ექსპერტიზის არსებობის საკითხი სამართლიანად იყო დაგმოილი პროცესუალურ ლიტერატურაში.

პირველადი ექსპერტიზის დასკვნის შეფასების დროს არსებითი საკითხია, თუ რა უნდა გახდეს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშნვის საფუძველი. უნდა აღინიშნოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსები სხვადასხვა საფუძველს ითვალისწინებენ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშნვისათვის.

საქართველოს სსსკ 70-ე მუხლის შესაბამისად განმეორებითი ექსპერტიზის დანიშნვის ორი საფუძველი არსებობს: ექსპერტის დასკვნის დაუსაბუთებლობა ან ექსპერტის დასკვნის სისწორეში ეჭვის შეტანა.

საჭიროა, რომ განმეორებითი ექსპერტიზის ორივე საფუძველი იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან. პრაქტიკაში ადკილი არ უნდა ქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ექსპერტის დასკვნის ერთიდაიგივე ნაკლოვანებანი გაინიშლება ერთდროულად, როგორც დასკვნის დაუსაბუთებულობა და ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს დასკვნის სისწორეში.

ექსპერტის დასკვნის დაუსაბუთებულობა, როგორც განმეორებითი ექსპერტიზის დანიშნვის საფუძველი დაკავშირებული უნდა იყოს ექსპერტის დას-

¹ См. «Судебная психиатрия», М., 1986, с. 16.

² См. Смольяшинов В. М., Тагиев К. И., Черваков Е. Ф., Судебная медицина, М., 1961, с. 36; «Судебная психиатрия» М., 1971, с. 49; «Судебная психиатрия» М., 1975, с. 313—314.

კენის დასაბუთებასთან. დაუსაბუთებლად უნდა იყოს მიჩნეული ექსპერტის დასკვნა მაგალითად, როდესაც მეცნიერული საფუძვლები არ არის დამუშავებული ცალკეული გამოკვლევისათვის, როდესაც მეცნიერულად შემოწმებული არ არის გამოკვლევის მეთოდოლოგია, როდესაც ზედაპირული და ცალმხრივი გამოკვლევის შედეგად არ არის დადგენილი ყველა საიდენტიფიკაციო ნიშანი ან ექსპერტმა ცალმხრივად და ზერელედ შეაფასა გამოკვლევის შედეგად დადგენილი ნიშნები და ფაქტები. ყველა ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა იქნება დაუსაბუთებელი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა.

ექსპერტის დასკვნის სისწორეში ეჭვის შეტანა, როგორც განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ჩვენი აზრით, გულისხმობს იმას, რომ ექსპერტს გამოსაკვლევად გადაეცა არასაკმარისი და უზარისხო გამოკვლევის ობიექტები და ნიმუშები ან ექსპერტის დასკვნა არ იყო შედგენილი და გაფორმებული სრულად, ყოველმხრივად და გასაგებად, ყოველივე ამას შეუძლია ეჭვი დაბადოს ექსპერტის დასკვნის სისწორეში, რის გამოც შეიძლება დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა.

უზბეკეთის სსრ სსსკ 66-ე მუხლი ითვალისწინებს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის მხოლოდ ერთ საფუძველს: ექსპერტის დასკვნის დაუსაბუთებლობას. უკრაინის სსრ სსსკ 75-ე მუხლი ითვალისწინებს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის სამ საფუძველს. მათ შორის, ექსპერტის დაკვნისა და საქმეზე მოპოვებულ სხვა მასალათა შორის წინააღმდეგობას. ესტონეთის სსსკ 251-ე მუხლი განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის ერთ-ერთ საფუძველად ასახელებს გამოკვლევის პროცესში ექსპერტების აზრთა სხვადასხვაობას. ასეთივე საფუძველს ითვალისწინებს აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ სსსკ 311-ე მუხლი, სომხეთის სსრ სსსკ 280-ე მუხლი და თურქმენეთის სსრ სსსკ 303-ე მუხლი.

უნდა აღინიშნოს, რომ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის აღნიშნული საფუძველი აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობით ეხება მხოლოდ სასამართლოს მიერ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნას და არა გამოძიების პროცესში განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას. ცხადია, რომ გამოძიებისა და სასამართლოსათვის განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის სხვადასხვა საფუძველი აგებულია გაუგებრობაზე, საპროცესო კოდექსის ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს, რათა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი იყოს ერთიდაიგივე როგორც გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

ექსპერტის დასკვნის შეფასების დროს როგორც იზოლირებულად, ისე საქმის სხვა მასალათა ერთობლიობაში შეიძლება დადგინდეს წინააღმდეგობა: ექსპერტებს შორის კომისიური გამოკვლევის დროს; ორ დასკვნას შორის; ექსპერტის დასკვნასა და ცალკეულ მტკიცებულებას შორის; ექსპერტის დასკვნასა და საქმეზე მოპოვებულ ყველა მტკიცებულებას შორის.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა; სასურველი იქნებოდა, რომ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველად ყველა, მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული იყოს წინააღმდეგობის ფაქტი ექსპერტის დასკვნისა და საქმეზე მოპოვებულ სხვა მტკიცებულებათა შორის და კომისიური გამოკვლევის დროს ექსპერტების აზრთა სხვადასხვაობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის ნაოღნიშნულ საფუძველს ითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 16 მარტის № 1 დადგენილება (პუნქტი 13).

მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის ისეთ საფუძველს, როგორცაა ექსპერტიზის ჩატარების დროს საპროცესო კანონის არსებითი ხასიათის დარღვევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ექსპერტიზის ჩატარების დროს დარღვეული იყო კანონის არსებითი მოთხოვნა ან ექსპერტის დასკვნა მიღებული იყო კანონსაწინააღმდეგო გზით, იგი არ შეიძლება განიხილოს, როგორც მტკიცების წყარო, და არ დაიშვება სისხლის სამართლის პროცესში.

პროცესუალურ ლიტერატურაში უკვე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ კანონის არსებითი ხასიათის დარღვევა ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით განხილული იყოს, როგორც განმეორებითი ექსპერტიზის დამოუკიდებელი საფუძველი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1971 წლის 16 მარტის № 1 დადგენილებაში „სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო ექსპერტიზის შესახებ“ პირდაპირ მიუთითა, რომ განმეორებითი ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს მაშინ, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს დაშვებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი ხასიათის დარღვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ყოველგვარი დარღვევა არ შეიძლება განხილული იყოს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველად. კანონის რიგი დარღვევებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოსწორდეს საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებათა ჩატარების მეშვეობით. კანონის არსებითი დარღვევა უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ამ საკითხის გადაწყვეტის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს საქმის კონკრეტული გარემოება. კანონის დარღვევის გამოსწორების შესაძლებლობა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის გარეშე, ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) და პროცესის სხვა შესაბამისი მონაწილის უფლებების დარღვევისა და შეზღუდვის ხარისხი და ის, თუ ყოველივე აღნიშნული რამდენად ახდენს გავლენას ექსპერტის დასკვნის დასაბუთებულობაზე, სისრულესა და ობიექტურობაზე. კანონის არსებითი ხასიათის დარღვევას უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ისეთი შემთხვევები, როდესაც: ექსპერტიზა ჩატარდა გამოძიებლის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების გარეშე; როდესაც დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არ გაეცნო ბრალდებულს (განსასჯელს) და ამით შეიზღუდა მისი უფლებები; როდესაც ექსპერტს არ განემარტა უფლებები და ვალდებულებები; როდესაც ექსპერტი არის არაკომპეტენტური, არაობიექტური ან მას არ გააჩნია სათანადო მომზადება მის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და საჭიროა, რომ საპროცესო კოდექსში პირდაპირ მიეთითოს, რათა საპროცესო კანონის არსებითი ხასიათის დარღვევა ექსპერტიზის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებით გახდეს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის ერთ-ერთი დამოუკიდებელი საფუძველი. ამის შესახებ სწორად არის მითითებული სსრ კავშირის აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტი-

ტუტის მიერ მომზადებულ რსფსრ-ის საპროცესო კოდექსის პროექტში (მუხ-
ლი 257).³

განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების ობიექტურობის მიზნით გამოკვ-
ლევა უნდა დაევალოს სხვა ექსპერტს ან სხვა ექსპერტებს. რის შესახებაც
მითითებულია მოქმედ საპროცესო კოდექსში (იხ. საქართველოს სსსკ
70-ე მუხლი). ასეთი წესი დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკათა საპროცესო
კოდექსების უმრავლესობით.

ამავე დროს მოლდოვასა და ყირგიზეთის საპროცესო კოდექსები ით-
ვალისწინებენ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებაში იმ ექსპერტის მონა-
წილეობას, რომელმაც უკვე ჩაატარა პირველადი ექსპერტიზა (იხ. 65-ე
მუხლი).

კანონის ასეთი მითითება არ შეესაბამება ექსპერტის ობიექტურობის
პრინციპს. ექსპერტი, რომელმაც უკვე ჩაატარა გამოკვლევა და მისცა დასკ-
ვნა, უკვე არის საქმის შედეგებით დაინტერესებული პირი და ყოველთვის
ეცდება დაიცვას მის მიერვე მიცემული დასკვნა. ამიტომ მისი ობიექტურობა
უნდა იყოს ექვის ქვეშ დაყენებული და მას უფლება არ უნდა ჰქონდეს ჩა-
ატაროს განმეორებითი ექსპერტიზა.

რსფსრ-ის საპროცესო კოდექსის პროექტი (მუხლი 257) მიუთითებს,
რომ ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა პირველადი ექსპერტიზა, არ შეიძლება
დანიშნული იყოს ექსპერტად განმეორებითი გამოკვლევის დროს. მაგრამ მას
შეუძლია დაესწროს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას და ახსნა-გან-
მარტება მისცეს. ჩვენი შეხედულებით აღნიშნული წესის დადგენას არ შეუძ-
ლია ხელი შეუწყოს განმეორებითი ექსპერტიზის სრულყოფილ ჩატარებას. თუ
განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების პროცესში საჭიროა პირველადი ექს-
პერტიზის შინაარსის გაცნობა, ამის საშუალება ექსპერტებს ყოველთვის
აქვთ, რადგან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების ყველა შემთხვევაში
ექსპერტებს უნდა გადაეცეთ პირველადი ექსპერტის დასკვნა და ყველა სხვა
მასალა, რაც დაკავშირებულია ექსპერტიზის საგანთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართვე-
ლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტში განმეორე-
ბითი ექსპერტიზის ჩატარებას უნდა დაეთმოს ცალკე მუხლი (მოქმედი საპ-
როცესო კოდექსის 70-ე მუხლი შეიცავს რამდენიმე სხვადასხვა ნორმას), რო-
მელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „განმეორებითი ექსპერტიზა შე-
იძლება დაინიშნოს პირველადი ექსპერტიზის დასკვნის კრიტიკული შეფასების
საფუძველზე, გამომძიებლის მოტივირებული დადგენილებით ან სასამართლოს
განჩინებით, როდესაც ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია, მისი სისწორე
იწვევს ეჭვს, ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება საქმის მასალებს ან ექს-
პერტა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ანდა როდესაც ექსპერტიზის
დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებით დაშვებული იყო საპროცესო
კანონის არსებითი ხასიათის დარღვევა. განმეორებითი ექსპერტიზა ინიშნება
იგივე საკითხების გადასაწყვეტად და იმ მასალების საფუძველზე, რომელიც
წარმოადგენდა პირველადი ექსპერტიზის გამოკვლევის საგანს. განმეორებითი
ექსპერტიზის ჩატარება ევალება სხვა ექსპერტს ან სხვა ექსპერტებს“.

³ См. «Уголовно-процессуальное законодательство Союза ССР и РСФСР
(Теоретическая модель)». М., 1989 (1990), с. 156.

რამდენი ხელისუფლება გეჭირდება?

დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციონირების პრინციპია ხელისუფლების დაყოფა, სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფის ოდნავ დამელოც ცნობილია მისი, გრეკიანო საფუძვლზე შარლ ლუი მონტესკიეს პრაქტიკის სახელით, აღიარებულია ყველა განვითარებული ქვეყნის კონსტიტუციებით. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ერთსულოვნება როდია შარლ მონტესკიეს იდეოლოგიის მიმართ. მაგალითად სსრ კავშირი, ლიბია, ირანი, ზაირი და სხვა ქვეყნები უარყოფენ ამ პრინციპს — ერთიან და განუყოფელ ხელისუფლებას ახორციელებდნენ. ამ იდეის უარყოფის მეორე სახეობას წარმოადგენს ამერიკისა და აფრიკის შოვიეტური ქვეყნის პრაქტიკა. მაგალითად, სანდონატორა ნიკარაგუას კონსტიტუციით ოთხი ხელისუფლებაა გამოცხადებული: მფობზეა "საარჩევნო" ხელისუფლება, რეკორდსმენად აღბაფი აფრიკის კონსტიტუცია უნდა გამოცხადდეს. სადაც უკვე რეალურად ხელისუფლებაა დასახელებული: პოლიტიკური, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. საკონტროლო და დამფარმებელი.

დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების განუყოფელი ნაწილია მისი სისტემის სიკეთილშობილი, კერძოდ, სასამართლო დამფარმებელი უწყებების დამფარმების მისი გალითზე.

1. გამომდინარე სახელმწიფოს დაყოფის კონსტიტუციური ვარიანტიდან (საკანონმდებელი, აღმასრულებელი და სასამართლო) მიუღებელია დღეს საქართველოში არსებული სამართლებრივი სტრუქტურა, ფუნქციები და დამფარმებლობა.

ისმის მრავალი მიზეზი, რომელიც სასამართლო დამფარმების მისი პროკურატურა ხელისუფლებას უკავშირებს, უნდა აღიარებოდეს.

ჩემის აზრით, სასამართლო დამფარმების მიუღებელია ხელისუფლება" სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კარგით და ამიტომ იგი ვერ შეეგუება დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლების დაყოფის თეორიას. (მხედველობაში გვაქვს საქართველოს მისი სამართლებრივი სტრუქტურა).

სასამართლო ხელისუფლება, რომელიც დამფარმებულია საქართველოში, არის სასამართლო ხელისუფლება, ამიტომ მისი დაყოფა არაა შესაძლებელი. ამიტომ, სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც დამფარმებულია საქართველოში, უნდა აღიარებოდეს, რომ ის არის ხელისუფლების დაყოფის ნაწილი. ამიტომ, სასამართლო ხელისუფლებას უნდა აღიარებოდეს, რომ ის არის ხელისუფლების დაყოფის ნაწილი.

საქმეში არც საკანონმდებლო ხელისუფლება ჩამორჩება. ამას კი იგი აღწევს მოსამართლეების დანიშვნის ახალი წესის და კანონმდებლობაზე ყოველგვარი კონსტიტუციური ზედამხედველობის არარსებობის მეშვეობით. ამრიგად, მართლმსაჯულება გარდაიქმნება აღმასრულებელ ინსტრუმენტად მთავრობისა და პარლამენტის ხელში და თუ გავიხსენებთ, რომ პროკურატურა აბორციელებს ე. წ. ზედამხედველობას სასამართლოების პროცესუალურ საქმიანობაზე, მაშინ ნათელი ხდება მისი დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაციების ნამდვილი ფასი.

განა მისაღებია იუსტიციის სამინისტროს დღევანდელი სტატუსი, როდესაც მას ევალება ხელმძღვანელობა და წარმართვა ისეთი დარგებისა (ნოტარიატი, სამართლებრივი მუშაობა სახალხო მეურნეობაში და ა. შ.), რომელთა მარეგულირებელი კანონმდებლობა იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირებს არ ცნობს საერთოდ და არც ანიჭებს არავითარ პროცესუალურ სტატუსს. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონში არ არსებობს ცნება იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს თანამდებობის პირებისა და ამგვარად, აღნიშნული პირების მოქმედება ეფუძნება მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებს. ამავე დროს ცნობილია, რომ ზემდგომ პროკურორს, მაგალითად, პროცესუალური კანონი ცნობს და კიდევაც აძლევს გარკვეულ კანონიერ უფლებებს შესაბამისი დარგის წარმართვაში, მათ შორის კონკრეტულ საქმეებზეც.

2. ვფიქრობთ, გამოსავალი უნდა ვეძიოთ ზემოთხსენებული მონტესკიეს იდეის თანმიმდევრულად გატარებაში.

საჭიროა პროკურატურას, როგორც თავისი არსით აღმასრულებელ ხელისუფლებას, მიეჩინოს კანონიერი ადგილი და იგი დაექვემდებაროს საქართველოს მთავრობას, ხოლო ორგანიზაციულად პროკურატურა უნდა შეუერთდეს იუსტიციის სამინისტროს და ამრიგად, გაუქმდეს როგორც დამოუკიდებელი ორგანო და ახალ იუსტიციის სამინისტროს მიეცეს საზოგადო ინტერესის დაცვის ფუნქცია. ამისათვის, იგი უნდა აღიჭურვოს შესაბამისი უფლებამოსილებით და ძალებით, აწარმოოს დანაშაულთა გამოვლენა, გამოძიება და შეიტანოს სარჩელი რესპუბლიკის სახელით სასამართლოში.

პროკურატურა, როგორც კანონიერების ზედამხედველი ორგანო, შეინარჩუნებდა თავის ერთიანობას და შევიდოდა იუსტიციის სამინისტროში ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით, ხოლო მისი საგამოძიებო ქვედანაყოფები სხვა უწყებების საგამოძიებო ქვედანაყოფებთან ერთად გაერთიანდებოდნენ იუსტიციის სამინისტროს ცალკე ქვედანაყოფში — საგამოძიებო სამმართველოში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ვინაიდან პროკურატურაც და მისი საგამოძიებო აპარატიც თავისი არსით და ისტორიულად აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი შტოა, ამიტომ იგი უნდა შედიოდეს მთავრობის შემადგენლობაში. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლი, რომელშიც მთავრობის საერთო უფლებები და მოვალეობებია ჩამოთვლილი, მის გამგებლობაშია „თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონისა“. ე. ი. დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კანონის შესრულებაზე ზედამხედველობა („თვალ-ყურის დევნა“) მთავრობის, ე. ი. აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ამ კონსტიტუციით პროკურატურის, როგორც ცალკე,

დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობა არ იყო გათვალისწინებული. ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი ამერიკის შვედთებულ შტატებში, სადაც პროკურორისა და იუსტიციის მინისტრის პოსტი გაერთიანებულია და ის ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროს. ე. ი. აღმასრულებელი ხელისუფლების დარგია.

რა თქმა უნდა, ახალ იუსტიციის სამინისტროს (ან დეპარტამენტს) ექნება უფრო ფართო უფლებები, ვიდრე დანაშაულის გამოვლენა, გამოძიება და სასამართლოში საზოგადო ინტერესის დაცვის მიზნით სარჩელის შეტანა და მისი მხარის დაჭერა. ხოლო ასეთი ახალი უწყების (სამინისტროსი თუ დეპარტამენტის) ხელმძღვანელი — მინისტრი თავის თანამდებობაში გააერთიანებდა რესპუბლიკის პროკურორის ფუნქციებსაც¹.

3. ყოველად მიუღებელია არსებული მდგომარეობა, როდესაც იუსტიციის სამინისტროს აკისრია სასამართლოების ე. წ. ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. თუ აქ ლაპარაკია მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, მაშინ რატომ იუსტიციის სამინისტრო და არა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კომიტეტი ან რაღაცა ამდაგვარი, სასამართლოს კადრების საკითხია აქ მთავარი, ვფიქრობთ, რომ მთავრობა არ უნდა ერეოდეს სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში. ეს ხელისუფლება უნდა ყალიბდებოდეს დემოკრატიული წესით — არჩევნების ჩატარებით, შესაბამისი კანონის საფუძველზე, ხოლო რაც შეეხება მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას — რესპუბლიკის ბიუჯეტში უნდა იყოს შემოღებული მუხლი — „მართლმსაჯულება“ და პარლამენტმა გასცეს საჭირო თანხები (ისევე როგორც გვაქვს „თავდაცვა“, „ჯანდაცვა“ და ა. შ.).

აქ საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ფუნქციების ასეთ განაწილებას წინ უნდა უსწრებდეს სისხლის სამართლის და პროცესუალური კანონმდებლობის გადახედვა, კერძოდ, საჭიროა შემოღებულ იქნეს დანაშაულისა და დელიქტის (გადაცდომის) კნებები და ამის მიხედვით გაიმიჯნოს მომავალი იუსტიციის სამინისტროს სრულიად საქართველოს საგამოძიებო სამმართველო და მასზე დაქვემდებარებული კრიმინალური პოლიციის ფუნქციები, ხოლო აღმინისტრაციული გადაცდომების გასარჩევად იარსებებს მუნიციპალური პოლიცია, მოძრიგებელი მოსამართლე და ა. შ.

¹ დღესაც პროკურატურის თანამდებობის პირების დასახელებაში მინიშნებულია მათი წარმოშობა — იუსტიციის მრჩეველი და ა. შ.



დიდი მამულიშვილი

იაკობ გომბაზაშვილი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ქართული სკოლის ინტერესებს და გაბედულად ებრძოდა მის მტრებს. მთელი თავისი სიცოცხლე ქართველი ხალხის განთავისუფლებისა და მშობლიური ენის ღირსების აღდგენის საქმეს შესწირა.

ქართული ენის მასინდელმა უუფლებობამ აოქმევინა იაკობს: „ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა. რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია. იწვიოთადა ხნაროჲს და ეანგს აკმევიანებს. ამიტომ, ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული ქართული ენა, სუბიექტურად, ჩვენს პირში არის ღატაკი და დღენაკლულს არსებას მოგაგონებთ“.

იაკობი იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამიტომ იყო, რომ მტერიც ბევრი ჰქავდა: რევაციონერი და კონსერვატორი ჩინოვნიკები, კავკასიის სასწავლო ოლქის „მწერუნელები“ იანოვსკი და ზავალსკი, საქართველოს ექსპრესო ევსევი, დავალებსკი სამრევლო სკოლების მეთვალყურე დეკანოზი ვოსტორგოვი, სემინარიის რექტორი ვალენტინი, სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი, თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი ზახაროვი, სინოდის რევიზორი კერსკი და შრავალი მათი წერილფება მონხელე გასაქანს არ ამღევდნენ. უველა ეს ცარიზმის უურმოკრიდი ძალა დაუცხრომლად იბრძოდა ქართული კულტურის განვითარების წინააღმდეგ. პირველ რიგში, მათი ბრძოლა მიმართული იყო საქართველოს სახალხო სკოლებისა და ჩვენი მშობლიური ენის წინააღმდეგ გულმოსულმა იაკობმა „ტაშკენტელ პედაგოგებად“ მონათლა ისინი ცნობილი რუსი მწერლის ხალტიკოვ-შჩედრინის „ბატონ ტაშკენტელთა“ მსგავსად. უვიცნი და ბეპარნი საქართველოს „განათლებას“ კისრულობდნენ მაშინ, როცა გაიმკვერული მოქმედებით ფეხებზე თელავდნენ ქართველების ეროვნულ ღირსებას. ისინი მებრძოლი ხულის პედაგოგს სწამებდნენ მთავრობის მო-

ლაღატობას. მატერიალისტური იდეების ქადაგებას. ფარულ საზოგადოებაში მუშაობას და სხვა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას.

შემთხვევითი არ უოფილა, რომ ერთ დღეს სემინარიაში ი. გომბაზაშვილის გაკვეთილზე მოულოდნელად შეიკრნენ სემინარიის რექტორი ვალენტინი და ევზარქოსი ევსევი. მათი მიზანი ერთი იყო. იკნებ მთავრობის საწინააღმდეგო რაიმე აღმოეჩინათ შეგირდებთან მის საუბარში და შემდეგ შური ეძიათ. შოულოდნელ სტუმრებს იმედი არ გაუშართლდათ, გაკვეთილი მაღალ იდეურ დონეზე და პედაგოგიური ოსტატობით ჩატარდა. რექტორი იძულებული იყო ევზარქოსისათვის გულახდილად ეთქვა გომბაზაშვილის შესახებ: „ეს რომ მატერიალისტი არ იყოს, ღირსია დიდი თანამდებობისა“.

ი. გომბაზაშვილი თავის პედაგოგიურ-შემოქმედებით შრომაში არ უშინდებოდა მთავრობის ბნელ მოხელეებს და არცთუ იშვიათად ილია ჭავჭავაძეს იშველიებდა. მოხერხებულად იყენებდა მის ცოდნასა და ავტორიტეტს მოძულე ჩინოვნიკებისაგან თავის დანაცავად. ბრძენკაცი ილიაც დიდად აფასებდა გომბაზაშვილის შრომას და უოველთვის შუად იყო დახმარებოდა მას.

რევაციული ძალები ქაშუშობის გზას დაადგნენ, გზავნიდნენ პროვოკაციულ წერილებს მეფისნაცვალთან, სინოდსა და სხვა ორგანოებში, რომელშიც იაკობი გამოჰყავდათ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ პედაგოგად და შეურიგებელ ათეისტად.

პროვოკატორები იაკობს „პოლიტიკურ ორგულობასა და სეპარატიზმს“ სწამებდნენ. ისინი ამასაც არ დასჯერდნენ და გამოჩახეს შურისძიების ახალი გზა. მას მოპარეს სასწავლებლის შემოსავალ-გასავლის წიგნი და იაკობს თანხების გაფლანგვა დააბრალეს. რევიზორი დაბეჭითებით მოითხოვდა, რომ იაკობი დაუყოვნებლივ მოესხნათ სამსახურიდან. რაც განახორციელეს კიდევ.

ისედაც ჩანგატებილ იაკობზე დიდად იმოქმედა რევიზიის უსამართლო გადაწყვეტილებამ. ინერვიულა და ერთი თვე იწვა თბილისში. მი-

3 „სახელმწიფო და საბაოთისო“ № 11



ბილის სახელობის საავადმყოფოში. აქ იგი ილია ქაჭავაძემ ინახულა. გაამხნევა და გაჩანსადება უსურვა.

საავადმყოფოდან გამოეწერა თუ არა ბნელმა ძაღვებმა ახლა სახელმწიფო ბინა ჩამოართვეს და კატეგორიულად მოსთხოვეს სასწრაფოდ გაეტანა თავისი ბარგი, საგონებელში ჩავარდნილი იაკობი ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ცხვედაძემ თავის ბინაზე გადაიყვანა და ანუგეშა კიდევ.

ამის შემდეგ იაკობი ჯერ აბასთუმანში. შემდეგ სოხუმში შეურნალობდა. შემოდგომა კი მშობლიურ სოფელ ვარიანში გაატარა. მალე იგი კვლავ ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა საზოგადოებრივ-პედაგოგიურ და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას.

საუურადდებო ფაქტია, რომ იაკობმა მტკიცედ გადაწყვიტა, სახელმწიფო სამსახურს აღარ გაკარებოდა და პროტესტის ნიშნად ცეცხლს მასცა აკადემიიდან მიღებული მოწმობა, სემინარიის დამთავრების ატესტატი, სამსახურში მუშაობის საბუთები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რის გარეშეც ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებაში მისი მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა.

1878 წელს იაკობი ნ. ცხვედაძესთან ერთად შეუდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნების ორგანიზაციულ მუშაობას. მაგრამ აქაც შავრახმელი და კონსერვატორი მოხელეების წინააღმდეგობას წააწყდა და დახმარებისათვის ილიას მიმართა, რომელმაც გულთან მიიტანა დეაწლ-მოსილი პედაგოგის თხოვნა.

1878 წელს აღნიშნული საზოგადოების წესდება წარუდგინეს კავკასიაში მეფისნაცვალს. მაგრამ თავიდანვე ექვს ინვევდა მისი მიღება-დამტკიცება. ამ საქმის გადაწყვეტაში ჩაერია დიდი ილიას ქვისლი, მეფისნაცვლის მოლიბერალო თანაშემწე დიმიტრი სტაროსელსკი და მისი მცდელობით წესდება დამტკიცდა. ეს საზოგადოება 1879 წლიდან შეუდგა მუშაობას და მან ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალა.

ამ გამარჯვებით წახალისებული იაკობი ახალი შემოქმედებითი ენერჯით აღივსო. წერდა საბრძოლო ხასიათის წიგნებსა და საეურნალო-საგაზეთო სტატიებს საქართველოს მიწა-წყლის

მოვლისა და გაფრთხილების, ქართული ენის წმინდის დაცვის აუცილებლობის შესახებ, აღნიშვნებდა თანამემამულეებში კატრიოტულ სულისკვეთებას, გაბედულად მოუწოდებდა ხალხს პოლიტიკური თავისუფლებისაკენ.

მისი შრომების უოველი სიტუვა გაქლენთილია ბავშვებისადმი უსაზღვრო სიყვარულით. მათი ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნითა და კეთილშობილური ჰუმანიზმით.

საქართველოს სიყვარულით გულანთებულ პედაგოგს ნათელი მომავლის დამკვიდრებისათვის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა ინტელიგენციისა და მასების მკიდრო კავშირი, რომელსაც უთუოდ განამტკიცებდა და გააძლიერებდა ხალხური ენის, საშობლო ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის გულმოდგინე შესწავლა. მას დიდ ილიასთან ერთად სამოქმედო ხატად ენა, მამული და სარწმუნოება მიაჩნდა და თავისი შრომებით, განსაკუთრებით კი სასწავლო სახელმძვანელოებით „დედა-ენითა“ და „ბუნების კარით“. მხარში ედგა ერის სასიკაძულო შვილს და მასთან თანადგომით საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა.

1878 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედა-ენის“ გამოცემით ბრწყინვალე ფურცელი ამდროშალა სახალხო განათლების ისტორიაში. ამ ფასდაუდებელი შრომის შესახებ იაკობი სამართლიანად ამბობდა: „დედა-ენა“ არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა. ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრალისა, ნაგრძნობისა და ნაშოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“.

იაკობი უოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ამ საშვილიშვილო საქმის დავირგვინებაში ილია ქაჭავაძის დიდ დახმარებას და უსაზღვროდ მაღლიერი იყო მისი.

მებრძოლი სულის პედაგოგი თანამემამულეებს დღენიადგ მოუწოდებდა არ შეზინებოდნენ სიძნელეებს, დაუცხრომლად ებრძოლათ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის.

შალვა მარკოზაშვილი

ევროპის სოციალური ქარტია

1961 წლის 18 ოქტომბერი

მოცემულ ქარტიაზე ხელმოწერი ევროპის საბჭოს წევრი მთავრობები
თვლიან, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მიადნოს მისი წევრების დარაზმულრბას მათ-
თვის საერთო იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელებისათვის, ხელი შეუწყოს
მათ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვისა და შემდგომი უზრუნველყოფის გზით.

თვლიან, რომ რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილ ევროპის კონვენციაში
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და პარიზში, 1952
წლის 20 მარტს ხელმოწერილ კონვენციაზე დართულ ოქმში ევროპის საბჭოს წევრები
შეთანხმდნენ, უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეებისათვის ამ დოკუმენტებში მითითებული სა-
მოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

მიიჩნევიან, რომ სოციალური უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს
რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნული კუთვნი-
ლების თუ სოციალური წარმომავლობის ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.

იღებენ მტკიცე გადაწყვეტილებას, ერთობლივად შეიმუშავონ ღონისძიებანი რო-
გორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის სოციალური ყოფა-ცხოვრების უზრუნველყოფისათ-
ვის და ცხოვრების ღონის ასამაღლებლად შესაბამისი დაწესებულებების და ქოქმელებების
დახმარებით.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები უველა შესაბამისი საშუალებით განხორციელებულ
როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში მიზნად ისახევენ ისეთი პირობები შექ-
მნან, რომლებიც ხელს შეუწყობენ შემდეგი უფლებების და პრინციპების განხორციელებას:

1. უოველ ადამიანს უფლება აქვს გამოკვებოს თავისი თავი შრომით, რომელსაც ირჩევს
საკუთარი ნებით;
2. უოველ მშრომელს უფლება აქვს ჰქონდეს სამართლიანი სამუშაო პირობები;
3. უოველ მშრომელს უფლება აქვს ჰქონდეს სამუშაო პირობები, რომლებიც ქასუხოზენ
უსაფრთხოების და ჰიგიენის მოქონილებებს;
4. უოველ მშრომელს უფლება აქვს მიიღოს სამართლიანი გასამრქელო, რომელიც საჭიროა
მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური ღონის შენარჩუნებისათვის;
5. უოველ მშრომელს და მეწარმეს უფლება აქვს თავისი ეკონომიკური და სოციალური
ინტერესების დასაცავად თავისუფლად გაერთიანდეს ეროვნულ ან საერთაშორისო ორგა-
ნიზაციებში;
6. უოველ მუშას ან მეწარმეს უფლება აქვს დადოს კოლექტიური ხელშეკრულება;
7. ბავშვებსა და მოზარდებს უფლება აქვთ განსაკუთრებულად იუვენ დაცული იმ ფიზი-
კური და მორალური ზარალისგან, რომელიც მათ ემუქრება;

8. ორსულობის პერიოდში მომუშავე ქალებს და სხვა მომუშავე ქალებს. გარემოების გათვალისწინებით. უფლება აქვთ მოითხოვონ. მათი შრომა სპეციალურად იყოს დაცული;
9. უკველ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი მომსახურება პროფესიონალურ-ტექნიკური ორიენტაციის სფეროში. რომელიც დაეხმარება აირჩიოს მისი ინტერესების და პირადი უნარის შესაბამისი პროფესია;
10. უკველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს შესაბამისი პირობები პროფესიონალურ ტექნიკური მომზადებისათვის;
11. უკველ ადამიანს აქვს უფლება გამოიყენოს ნებისმიერი ზომები, რომელთა მეშვეობით მიაღწევს განმრთვლობის შესაძლო უმაღლეს დონეს;
12. უკველ მშრომელს და მის კმაყოფაზე მყოფ პირს აქვს სოციალური დაზღვევის უფლება;
13. უკველ ადამიანს. რომელიც არ ფლობს შესაბამის სახსრებს. უფლება აქვს ისარგებლოს სოციალური და სამედიცინო დახმარებით;
14. უკველ ადამიანს უფლება აქვს ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომსახურებით;
15. არაშრომისუნარიან პირებს აქვთ პროფესიული მომზადების მიღების. შრომითი მოწყობის და განსაზღვრულ ადგილზე დასახლების უფლება მიუხედავად მათი შრომისუნარიანობის წარმომშობი მიზეზისა და ხასიათისა;
16. ოჯახს. რომელიც საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენს. უფლება აქვს დაცულ იქნეს სოციალურად. სამართლებრივად და ეკონომიკურად მისი უკველმზრივი განვითარების მიზნით;
17. დედებს და ბავშვებს. დამოუკიდებლად მათი ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახური კავშირებისაგან. უფლება აქვთ იქონიონ შესაბამისი სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფა;
18. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი მხარის მოქალაქეს უფლება აქვს მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი მეორე მხარის ტერიტორიაზე აწარმოოს შემოსავლის მოჭდანი მოღვაწეობა ამ ტერიტორიის მოქალაქეებთან თანაბარ უფლებრივ საფუძვლებზე შეზღუდვებით. რომლებიც გამოწვეულია საფუძვლიანი ეკონომიკური ან სოციალური მიზეზებით;
19. მოლაპარაკებაში მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქე მუშა-მიგრანტებს. აგრეთვე მათ ოჯახებს. უფლება აქვთ დაცულ იყვნენ და მიიღონ დახმარება მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი სხვა მხარის ტერიტორიაზე.

ნ ა წ ი ლ ი II

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები. როგორც ეს III ნაწილშია გათვალისწინებული. ვალდებულიან იღებენ ჩათვალონ თავი დაკავშირებულად ვალდებულებებით. რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ მუხლებსა და პუნქტებში.

მუხლი I. შრომითი უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიან იღებენ:

1. აღიარონ ერთ-ერთ ძირითად მიზნად და ვალდებულებად რაც შეიძლება მაღალი და სტაბილური დასაქმების დონის მიღწევა და შენარჩუნება. რათა უზრუნველყოფილი იქნეს სრული დასაქმება;
 2. ეფექტურად დაიცვან მშრომელის უფლება. გამოიმუშაოს საარსებო სახსრები მის მიერ თავისუფლად არჩეული შრომითი საქმიანობის მეშვეობით;
 3. უკველ მშრომელს შესთავაზონ ან უკველი მშრომელისათვის შემოიღონ უფასო მომსახურება დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით;
 4. ორგანიზებულ იქნეს ან გაუაროვდეს შესაბამისი პროფესიონალური ორიენტაცია. სწავლება და ხელაბალი შრომითი მომზადება.
- მუხლი 2. სამართლიანი შრომითი პირობებით სარგებლობის უფლება. სამართლიანი შრომითი პირობებით სარგებლობის უფლების ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიან იღებენ:
1. უზრუნველყონ შრომითი დღის და შრომითი კვირის მისაღები ხანგრძლივობა და თან

დათანობით შეაქციონ სამუშაო კვირა იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა შრომის დროის განაწილება

2. დაწესდეს ოფიციალური ანაზღაურებადი დღესასწაულები:
ა. უზრუნველყოფილი იქნეს ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულების ორგანიზება ორი კვირის ხანგრძლივობით;

4. დადგინდეს წესის მიხედვით გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი ანაზღაურებადი დასვენების დღეები ან შეშვებული სამუშაო დღეები მუშებისათვის, რომელნიც დასაქმებული არიან სახიფათო ან ქანძრულსა და სხვა სახის საფრთხისათვის მავნე წარმოებაში;

5. უზრუნველყონ ყოველკვირეული დასვენება, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა დაემატებინათ შუახაზის ქვეყანაში ან რეგიონში ტრადიციის ან ადამის თანხმად დასვენების დღედ მიჩნეულ დღეს.

მუხლი 3. უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესატყვისი საშუალო პირობებით სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

- 1. მიიღონ შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენის წესები;
- 2. უზრუნველყონ ამგვარი წესების დაცვა კონტროლის მეშვეობით;
- 3. აუცილებლობის მიხედვით კონსულტაციები მიეცეს მეწარმეთა და მუშათა ორგანიზაციებს იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიმართულია საფრთხელო წარმოებაში უსაფრთხოების და ჰიგიენის პირობების გაუმჯობესებისაკენ.

მუხლი 4. სამართლიანი ანაზღაურების უფლების ეფექტური განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

- 1. აღიარონ მშრომელთა უფლება მიიღონ ანაზღაურება, რომელიც მათ და მათ ოჯახებს დამატყოფილებელი არსებობის საშუალებას მისცემს;
- 2. ზოგიერთი შემთხვევის გარდა აღიარონ მუშათა უფლება დამატებითი ანაზღაურების მიღებისა ზედგანაკეთური სამუშაოსათვის;
- 3. აღიარებულ იქნეს მამაკაცთა და ქაღათა უფლება — თანხარი შრომისათვის მიიღონ თანხარი ანაზღაურება;
- 4. აღიარებულ იქნეს ყველა მშრომლის უფლება შეტყობინების მისაღებ პერიოდში დაქირავებული შრომის შეწყვეტის შესახებ;

5. ნება დართონ ანაზღაურებიდან გამოკვეთიან იმ პირობების დაცვით და იმ მოცულობით, რომელთაც ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა ან დებულებანი, ან რომლებიც დამტკიცებულია კოლექტიურ შეთანხმებებში ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებებში. ამ უფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია თავისუფლად დადებული კოლექტიური ხელშეკრულებების დახმარებით, რომლებიც შედგენილია ანაზღაურების რეგულირების მექანიზმის კანონის საფუძველზე ან სხვა საშუალებებით, რომელნიც პასუხობენ ეროვნულ პირობებს.

მუხლი 5. ბაერტიანების უფლება, თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად, მუშათა და მეწარმეთა ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების თავისუფლად შექმნის და მათში შესვლის უზრუნველყოფისა და წახალისებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები კისრულობენ უზრუნველყოფას, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არ შედიოდეს ამ თავისუფლების შეზღუდვები წარმები, რამდენად ეხება ამ მუხლში მითითებული გარანტიები პოლიციას, განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან დებულებებით. ასევე ეროვნული კანონები ან დებულებებით განისაზღვრება, რამდენად ეხება ეს გარანტიები შეიარაღებულ ძალებს და მათში გაერთიანებულ პირებს.

მუხლი 6. კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლების უზრუნველყოფისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

- 1. ხელი შეუწყონ მუშათა და მეწარმეთა შორის ერთობლივი კონსულტაციების ჩატარებას;
- 2. ხელი შეუწყონ, როდესაც ეს აუცილებელი და მიზანშეწონილია, შეიქმნას მექანიზმი მეწარმეთა ან მეწარმეთა ორგანიზაციების მუშათა ორგანიზაციებთან ნებაყოფლობითი მოლაპარაკებისათვის კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე დასაქმების პირობების რეგულირების მიზნით;

3. ხელი შეუწყონ, რათა შეიქმნას და გამოუყენებულ იქნეს შერიგების და ნებაყოფლობითი არბიტრაჟის შესაბამისი მექანიზმი შრომითი დავის გადასაწყვეტად;

და აღიარებენ:

1. მუშათა და მეწარმეთა უფლებას — კოლექტიურად იმოქმედონ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებში გაფიცვის უფლების ჩათვლით, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ადრე დადებული კოლექტიური შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებანი.

მუხლი 7. ბავშვთა და მოზარდთა დაცვის უფლებებზე, ბავშვთა და მოზარდთა დაცვის უფლების უზრუნველყოფის მიზნით მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1. უზრუნველყონ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი შეადგენდეს 14 წელს იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვები დასაქმებული არიან კანონით გათვალისწინებულ მსუბუქ სამუშაოებზე, რომლებიც ზიანს არ აუყენებს მათ განმრთელობას, ფსიქიურ მდგომარეობას ან განათლებას;

2. მოითხოვონ განმრთელობისათვის სახიფათო და მავნე ზოგიერთ სპეციალობაზე სამუშაოდ მისაღები მინიმალური ასაკის გაზრდა;

3. მიაღწიონ, რომ სასკოლო ასაკის პირნი არ გამოიყენონ იმ სახის სამუშაოებზე, რომლებიც არ ამღვევთ მათ განათლების დასრულების საშუალებას;

4. მიაღწიონ 14 წლამდე ასაკის პირთა სამუშაო საათების შემცირებას მათი განვითარების და კერძოდ, მათი პროფესიონალური მომზადების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

5. აღიარონ ახალგაზრდა მუშების და შეგირდების მიერ სამართლიანი ანაზღაურების ან სხვა შესაბამისი დამატებების მიღების უფლება;

6. მიაღწიონ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღის განმავლობაში მოზარდების მიერ პროფესიონალურ მომზადებაზე დაბარებული დრო მეწარმის თანხმობით ჩაითვალოს სამუშაო დღის ნაწილად;

7. მიაღწიონ, რომ 16 წლამდე ასაკის მომუშავეებს ჰქონდეთ უფლება მიიღონ ყოველწლიური ფასიანი შვებულება არანაკლებ სამი კვირის ხანგრძლივობით;

8. მიაღწიონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირნი არ გამოიყენონ ღამის სამუშაოებზე იმ სახის სამუშაოთა გამოკლებით, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონებით ან დებულებებით;

9. მიაღწიონ, რომ ეროვნული კანონებით ან დებულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე დასაქმებულმა 18 წლამდე ასაკის პირებმა გაიარონ რეგულარული სამედიცინო შემოწმება;

10. უზრუნველყონ სპეციალური დაცვა ფიზიკური და მორალური ზარალისაგან, რომლის მსხვერპლიც შეიძლება გახდეს ბავშვი და მოზარდი, კერძოდ კი საშიშროებისაგან, რომელიც პარდაპირ ან არაპარდაპირ არის დაკავშირებული მათ სამუშაოსთან.

მუხლი 8. მომუშავე ძალთა დაცვის უფლებებზე, მომუშავე ქალთა დაცვის უფლების უზრუნველყოფისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1. ქალებს, რომლებსაც ეკუთვნის შვებულება მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ არანაკლებ 12 კვირის განმავლობაში მისცენ ფასიანი შვებულება, საკმარისი დახმარება სოციალური უზრუნველყოფისათვის ან დახმარება საზოგადოებრივი ფონდებიდან;

2. ჩათვალონ უკანონოდ, თუ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მეწარმე აცნობებს ქალს მისი მშობიარობასთან დაკავშირებულ შვებულებაში ყოფნის დროს ან აცნობებს ამგვარ გადაწყვეტილებას მაშინ, როდესაც მისი არყოფნის დროს იწურება შეტყობინების ვადა;

3. უზრუნველყონ, რომ მეტოქე დედებს ჰქონდეთ ბავშვების გამოკვებისათვის საკმარისი თავისუფალი დრო;

4. ა) რეგულირება გაუწიონ მრეწველობაში ღამის ცვლაში ქალების სამუშაოდ მიღებას;

ბ) აკრძალონ ქალების სამუშაო ძალად გამოყენება მიწისქვეშა სამთამადნო სამუშაოებზე და შესაბამისად იმ სახის სამუშაოებზე, რომელთა შესრულება შეუფერებელია მათთვის საშიშროების, განმრთელობისათვის საშიშრო მოქმედების ან სიმძიმის გამო.

მუხლი 9. პროფესიონალური ორიენტაციის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ აუცილებლობის თანახმად უზრუნველყონ ან წახალისონ მომსახურება, რომელიც დაეხმარება ყველა პირს, მათ შორის ინვალიდებს, გადაწყვიტოს პროფესიის არჩევასთან და მის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები, მათი ინდივიდუალური თავისებურებების და მოცემული პროფესიის ათვისებისადმი მათი დამოკიდებულების გათვალისწინებით.



ნებით: ეს მომსახურება უფასო უნდა იყოს როგორც არასრულწლოვანთათვის, მოსწავლეთა ჩათვლით, ისე — მოზრდილთათვის.

მუხლი 10. პროფესიონალური ბანკთა უფლებები. პროფესიონალური განათლების უფლების უზრუნველყოფისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. უზრუნველყონ ან წახალისონ აუცილებლობის შესაბამისად ყველა პირის, მათ შორის ინვალიდების, ტექნიკური ან პროფესიონალური განათლება მეწარმეთა და მუშათა ორგანიზაციებთან კონსულტაციის მეშვეობით, და გამომდინარე ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან, საშუალება მისცენ მათ მიიღონ უმაღლესი ტექნიკური და საუნივერსიტეტო განათლება;

2. უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მომზადების სისტემის შექმნას და სხვადასხვა სპეციალობით ვაჟებისა და გოგონების მომზადების სხვა სისტემატური ღონისძიებების გატარებას;

3. უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ, რომ აუცილებლობის შესაბამისად შეიქმნას:

a) სათანადო და ადვილად მისაღწევი სასწავლო ბაზა მოზრდილი მუშებისათვის;

b) სპეციალური ცენტრები მოზრდილი მუშების ხელახალი მომზადებისათვის, რაც განპირობებულია ტექნიკური პროგრესით ან ახალი ტენდენციების შემოღებით დასაქმების სფეროში;

4. ხელი შეუწყონ ისეთი შესაბამისი ღონისძიებების შეღავათების სრულად გამოყენებას, როგორცაა:

a) უკველგვარი დანარცხების და გადასახადების შემცირება ან აღკვეთა;

b) შესაბამის შემთხვევებში ფინანსური დახმარების გაწევა;

c) სამუშაოს მიძეების თხვანით მუშაობის პერიოდში მუშის მომზადებაზე დახარჯული დროის ჩათვლა სამუშაო დღის ნაწილად;

d) შესაბამისი კონტროლის დროს მეწარმეთა და მუშათა ორგანიზაციებთან კონსულტაციის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნეს შეგირდთა ეფექტურად მომზადება და ახალგაზრდა მუშათათვის სხვა სასწავლო ღონისძიებების განხორციელება, ასევე ახალგაზრდა მუშათა ინტერესების დაცვა პოლიანობაში.

მუხლი 11. ჯანმრთელობის დაცვის უფლებები. ჯანმრთელობის დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ უშუალოდ სახელმწიფოებთან ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც მიმართულია:

1. მაქსიმალურად მისაღწევ დონეზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისაკენ;

2. ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის და ჯანმრთელობის საკითხში პირადი პასუხისმგებლობის წახალისების მიზნით კონსულტაციური დახმარების და სასწავლო ბაზის უზრუნველყოფისაკენ;

3. მაქსიმალურად შესაძლო დონეზე ეპიდემიოლოგიური, ენდემური და სხვა დაავადებების აღკვეთისაკენ.

მუხლი 12. სოციალური უზრუნველყოფის უფლებები. სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. შექმნან ან განაგრძონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გამოყენება;

2. დამაკმაყოფილებელ დონეზე შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, ყოველ შემთხვევაში, იმ დონეზე მაინც, რომელიც აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური ნორმების შესახებ საერთაშორისო კონვენციის (№ 102) რატიფიცირებისათვის;

3. თანდათანობით უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა;

4. მიიღონ ღონისძიებანი შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებით ან სხვა საშუალებებით, და ამ შეთანხმებებში ჩამოთვლილი პირობების დაცვით უზრუნველყონ:

a) ერთნაირი რეჟიმი თავისი მოქალაქეების და მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარის მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის უფლებების საკითხში, ამაში შედის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში არსებული კანონმდებლობის თანახმად მიღებული შეღავათების შენარჩუნება მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს შორის ტერიტორიებზე იმ პირობების მიერ გაადადგენიებისას, რომელნიც სარგებლობენ სოციალური უზრუნველყოფით;

b) მიცემა, შენარჩუნება ან აღდგენა სოციალური უზრუნველყოფის უფლებებისა იმგვარ

საშუალებებით, როგორცაა მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარის კანონმდებლობის ნახმად დაზღვევის პერიოდებისა და დამთავრებული სამუშაო სტაჟის შეჯამება;

მუხლი 13. სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიყფებას იღებენ:

1. უზრუნველყონ, რომ ყოველმა პირმა, რომელსაც არა აქვს საყმარისი სახსრები და არ შეუძლია თავისი ძალებით ან სხვა საშუალებებით მოიპოვოს ამგვარი სახსრები, ყერძოდ — სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში არსებული შეღავათების ხარჯზე. — მიიღოს აუცილებელი დახმარება, ხოლო ავადმყოფობის შემთხვევაში მისი მდგომარეობის შესაბამისი მოვლა გაეწიოს.

2. უზრუნველყონ, რომ ამგვარი დახმარების მიმღები პირების პოლიტიკური და სოციალური უფლებები არ შეიზღუდოს;

3. მიადწიონ, რომ ყოველმა ადამიანმა შეძლოს შესაბამისი სახელმწიფო ან ყერძო სამსახურების მეშვეობით მიიღოს ისეთი კონსულტაცია ან პირადი დახმარება, რომელიც საჭიროა პირადი ან ოჯახური გასაჭირის აღყვეთის, თავიდან აყილებს ან შემსუბუქებისათვის.

4. მათ ტერიტორიაზე მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარეთა მოქალაქეებისადმი განხორციელდეს ამ მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებში მითითებული დებულებანი თავის მოქალაქეებთან თანაბარ პირობებში კანონიერად, თანახმად 1993 წლის 11 დეკემბერს პარიზში დადებული ევროპის კონვენციისა სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ.

მუხლი 14. სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების მონაწილე მხარეები ვალდებულიყფებას იღებენ: სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებით ხარგებლობის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიყფებას იღებენ:

1. განავითარონ ან შემოიღონ მომსახურების ამგვარი ფორმები, რომლებიც სოციალური მოღვაწეობის მეთოდების მეშვეობით ხელს შეუწყობენ ცალყეული პირების და ჯგუფების ყიოილდღეობას და განვითარებას, მათ შეგუებას არსებულ სოციალურ გარემოსთან;

2. წაახლისონ ცალყეულ პირთა ნებაყოფლობითი ან სხვა ორგანიზაციების მოხაწილეობა ამგვარი მომსახურების შექმნასა და გაწევაში.

მუხლი 15. ფიზიკურად და გონებრივად არაზრომისუნარიანი პირების უფლება პროფესიონალური მომზადების მიღების, ზრომისუნარიანობის აღდგენისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნების უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიყფებას იღებენ:

1. მიიღონ შესაბამისი ზომები სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს ან ყერძო სპეციალიზებული დაწესებულებების ორგანიზების თაობაზე;

2. მიიღონ შესაბამისი ზომები ზრომისუნარდაკარგული ადამიანების ზრომითი მოწყობისთვის — სპეციალიზებული ზრომითი მოწყობის სამსახურების შესაქმნელად, სპეციალური სამუშაო პირობების მქონე დაწესებულებების დასაარსებლად, მიიღონ ზომები და წაახლისონ სამუშაოთა მიმცემები, რომ ინვალიდებს მიეცეთ სამუშაო.

მუხლი 16. ოჯახის სოციალური, სამართლმბრძვი და ეკონომიკური დაცვის უფლება. საზოგადოების ძირითადი უქრედის, ოჯახის სრული განვითარების უზრუნველყოფისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიყფებას იღებენ ითანამშრომლონ ოჯახური ცხოვრების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური დაცვის საქმეში ისეთი საშუალებებით, როგორცაა სოციალური და ოჯახური დახმარება, საგადასახადო შეღავათები, ოჯახის უზრუნველყოფა ბინით, დახმარება ახლადშეუღღებულთათვის და სხვა შესაბამისი საშუალებებით.

მუხლი 17. დედათა და ბავშვთა სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლება. დედათა და ბავშვთა სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები მიიღებენ ყველა შესაბამის და აუცილებელ ზომებს ამ მიმართულებით, შესაბამისი ინსტიტუტების ან სამსახურების შექმნის და შენახვის ჩათვლით.

მუხლი 18. მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარეთა თერიტორიაზე შენახვის მონაწილე მიიღოს მოვლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარეთა ყერძო

ტორაზე შემოსავლის მომტანი მოღვაწეობის უფლების ექვეტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიებას იღებენ:

1. გამოიყენონ სათანადო დებულებანი, იხელმძღვანელონ სტუმართმოსუვარების სულისკვეთებით;

2. გააადვილონ არსებული ფორმალბანი და შეამცრონ ან აკვეთონ საგერბო და სხვა გადასახადები, რომელთაც იხდიან უცხოელი მუშები ან მათი დამკირავებლები;

3. მოახდინონ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად იმ დებულებათა ლიბერალიზაცია, რომლებიც აწესრიგებენ უცხოელი მუშების დამკირავებას და აღიარონ;

4. თავისი მოქალაქეების უფლება გამგზავრონ ქვენიდან, რათა შემოსავლის მომტან მოღვაწეობას მიჰყონ ხელი მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 14. მუშა-იმიგრანტების და მათი ოჯახების დაცვისა და დახმარების უფლების უზრუნველყოფისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულიებას იღებენ მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი სხვა მხარის ტერიტორიაზე:

1. ნება დართონ ან უზრუნველყონ, რომ შესაბამისი და უფასო ზომები იქნეს მიღებული ამგვარი მუშებისათვის დახმარების გასაწევად, განსაკუთრებით — სწორი ინფორმაციის მისაღებად და რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ეროვნული კანონები და დებულებანი, მიიღონ შესაბამისი ზომები ემიგრაციასა და იმიგრაციასთან დაკავშირებული დაბნეულობის შემოშლის პროსაგანდის აღსაკვეთად;

2. მიიღონ მათი იურისდიქციის ფარგლებში შესაბამისი ზომები, რათა შემსუბუქდეს ამგვარი მუშების და მათი ოჯახების გამგზავრება, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, მიღება; უზრუნველყონ შესაბამისი დახმარების გაწევა ადგილიდან ადგილზე გადასვლის დროს განმრთელობის დაცვის და სამედიცინო მომსახურების სფეროში, შეუქმნან კარგი ჰიგიენური პირობები;

3. წახალისონ, როდესაც ეს აუცილებელია, თანამშრომლობა ემიგრაციის და იმიგრაციის ქვეყნების სახელმწიფო და კერძო სოციალურ სამსახურებს შორის;

4. მუშა-იმიგრანტებს თავიანთი ტერიტორიების ფარგლებში კანონიერ საფუძველზე შეუქმნან იმდენად ხელსაურელი რეჟიმი, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა კანონები ან იმდენად ადმინისტრაციული ხელისუფლების მხრივ კონტროლი. მუშა-იმიგრანტთა რეჟიმი უნდა იყოს არანაკლებ ხელსაურელი, ვიდრე რეჟიმი, რომელიც შექმნილია მოცემული საბელმწიფოს მოქალაქეთათვის შემდეგი საკითხების მოსაგვარებლად:

ა) დამკირავება და შრომისა და დამკირავების სხვა პირობები;

ბ) პროფესიული კავშირების წევრობა და კოლექტიური ხელშეკრულების უპირატესობებით სარგებლობა;

გ) ბინით უზრუნველყოფა.

5. უზრუნველყონ, რათა მუშა-იმიგრანტებს მათი ტერიტორიების ფარგლებში კანონიერ საფუძველზე ჰქონდეთ ისეთივე ხელსაურელი რეჟიმი, როგორც განკუთვნილია მოცემული ქვეყნის მოქალაქეთათვის უმუშევრობისაგან დაზღვევის ფონდში შესატანების გადახდის, ნომუშავეთა მიერ გადასახადებისა და შესატანების გადახდის მოსაგვარებლად.

6. მაქსიმალურად შეუწყონ ხელი იმ უცხოელი მუშების ოჯახების გაერთიანებას, რომელთაც ნებადართული აქვთ დასახლდნენ მოცემულ ტერიტორიაზე;

7. უზრუნველყონ მუშა-იმიგრანტებისათვის თავიანთი ტერიტორიების ფარგლებში კანონიერ საფუძველზე შეიქმნას არანაკლებ ხელსაურელი რეჟიმი ამ მუხლში მითითებული საკითხების სასამართლოს წესით განხილვისათვის, ვიდრე არსებობს მოცემული ქვეყნის მოქალაქეთათვის.

8. მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მუშა-იმიგრანტებს მისცენ ვარანტია, რომ ისინი არ გასახლდებიან ქვენიდან გარდა შემთხვევებისა, როდესაც საფრთხეს უქმნიან ეროვნულ უშიშროებას, ან ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ ინტერესებს ან შორალს;

9. კანონის ფარგლებში ნება დართონ მუშა-იმიგრანტებს გაგზავნონ შემოსავლის და დანაწარების მათ მიერვე განსაზღვრული ნაწილის გზავნილები;

10. ამ მუხლში მითითებული დაცვა და დახმარება შესაბამისი საშუალებით შესაძლებლობის ფარგლებში გაეწიოს იმ მიგრანტებს, რომლებიც დამკირავებით არ მუშაობენ.



მუხლი 20. ვალდებულებაში. 1. მოლაპარაკებაში მონაწილე უოველი მხარე ვალდებულია იღებდეს:

a) ამ ქარტიის I ნაწილი მიიჩნიოს იმ მიზანთა დეკლარაციად, რომელთა განხორციელება ასევე შეეცდება უკვე აღსრულებული საშუალებით, როგორც ეს მითითებულია I ნაწილის შესავალ დებულებაში;

b) თავისთვის აუცილებელი ძალის მქონედ სცნოს ამ ქარტიის II ნაწილის სულ ცოტა ხუთი მუხლიდან: 1, 5, 8, 12, 13, 16 და 19 პუნქტები;

c) გარდა წინა ქვეპუნქტში მითითებული მუხლებისა, აუცილებელი ძალის მქონედ ითვლება მის მიერ შერჩეული ამ ქარტიის II ნაწილის მუხლები და დანომრილი პუნქტები, იმდენი, რამდენსაც თავად აირჩევს მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფო, მაგრამ იმ პირობით, რომ მისთვის აუცილებელი ძალის მქონე მუხლების რიცხვი არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები, ხოლო პუნქტებისა — 45-ზე ნაკლები;

2. ამ ქარტიის I პუნქტის b და c ქვეპუნქტების შესაბამისად არჩეული მუხლების ან პუნქტების შესახებ ეცნობება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოს მიერ სარატიფიკაციო დოკუმენტის შესანახად ან დასამტკიცებლად ჩაბარების დროს;

3. მოლაპარაკებაში მონაწილე უოველ მხარეს მოგვიანებით შეუძლია შეატყობინოს გენერალურ მდივანს, რომ თავისთვის აუცილებელი ძალის მქონედ მიიჩნია ქარტიის II ნაწილის ნებისმიერი მუხლი ან ნებისმიერი პუნქტი, რომელიც მას ჯერ არ უღიარებია ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად, ამგვარი მოგვიანებით მიღებული ვალდებულებანი სარატიფიკაციო ან დასამტკიცებელი დოკუმენტის შემადგენელ ნაწილად ითვლება და ძალაში შედის შეტყობინებიდან 30-ე დღეს.

4. გენერალური მდივანი ქარტიის ამ ნაწილის თანახმად მიღებული უოველი შეტყობინების შესახებ აცნობებს ქარტიაზე ხელისმომწერ უკველა მთავრობას და შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

5. მოლაპარაკებაში მონაწილე უოველი მხარე ეროვნული პირობების შესაბამისად ქმნის შრომის ინსპექციის სისტემას.

ნაწილი IV

მუხლი 21. მოხსენებანი მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს წელიწადში ორჯერ უგზავნიან მოხსენებას, რომლის ფორმას განსაზღვრავს მინისტრთა კომიტეტი. მოხსენება შეეხება ქარტიის II ნაწილის იმ დებულებათა გამოყენებას, რომელიც მიღებულია სახელმწიფოთა მიერ.

მუხლი 22. მოხსენებანი იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც არ იქნა მიღებული. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვარკვეული დროის გასვლის შემდეგ მინისტრთა კომიტეტის თხოვნით გენერალურ მდივანს უგზავნიან მოხსენებებს ქარტიის II ნაწილის იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც არ იქნა მათ მიერ მიღებული ქარტიის რატიფიცირების, დამტკიცების ან შემდგომი შეტყობინების დროს, მინისტრთა კომიტეტი პერიოდულად ადგენს, რომელი დებულების შესახებ უნდა მომზადდეს მოხსენება და როგორი ფორმით უნდა იყოს იგი წარმოდგენილი.

მუხლი 23. პირების ბაზუაჰანა. 1. მოლაპარაკებაში მონაწილე უოველი სახელმწიფო 21-ე და 22-ე მუხლებში მითითებული მოხსენებების პირებს უგზავნის იმ ეროვნულ ორგანიზაციებს, რომლებიც შეწარმნა და პროფკავშირთა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები არიან და რომელთა წარმომადგენლები 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიწვეულნი არიან სამთავრობო სოციალური კომიტეტის ქვეკომიტეტის სხდომებზე დასასწრებად.

2. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები მხარეთა თხოვნის საფუძველზე გენერალურ მდივანს აცნობებენ მოხსენებათა შესახებ ან მოხსენებათა გარშემო ეროვნული ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ უოველგვარ მოსაზრებას.

მუხლი 24. მოხსენებათა განხილვა. 21-ე და 22-ე მუხლების თანახმად, გენერალური

მდივანისადმი წარდგენილი მოხსენებების განხილვას ახდენს ექსპერტთა კომიტეტი. მასვე წარედგინება განსახილველად 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი მოხსენებანი.

მუხლი 25. ექსპერტთა კომიტეტი. 1. ექსპერტთა კომიტეტი შედგება 7 წევრისაგან, რომელთაც ნიშნავს მინისტრთა კომიტეტი მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან. ისინი უნდა გამოირჩეოდნენ კეთილსინდისიერებით და საერთაშორისო სოციალური საკითხების სფეროში მაღალი კომპეტენტურობით.

2. კომიტეტის წევრი ინიშნება ექვსი წლის ვადით. შეიძლება მათი არჩევა ახალი ვადით. მაგრამ თავდაპირველად არჩეული წევრებიდან ორეს უფლებამოსილება იწურება ითბი წლის გასვლის შემდეგ.

3. მინისტრთა კომიტეტი წევრთა თავდაპირველი დანიშვნისთანავე კენჭისყრით არჩევს იმ წევრთა ვინაობას, რომელთა უფლებამოსილებაც იწურება თავდაპირველი პერიოდის ოთხი წლის გასვლის შემდეგ.

4. ექსპერტთა კომიტეტის წევრი, დანიშნული ნაცვლად წევრისა, რომლის უფლებამოსილების ვადა არ გასულა, თანამდებობაზე რჩება მისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 26. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას სთავაზობენ დანიშნოს წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებებით ექსპერტთა კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად.

მუხლი 27. სამთავროვო სოციალური კომიტეტის ქვეკომიტეტი.

1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა მოხსენებებს და ექსპერტთა კომიტეტის დასკვნებს განიხილავს ევროპის საბჭოს სამთავრობო სოციალური კომიტეტის ქვეკომიტეტი.

2. ქვეკომიტეტში შედის მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარის თითო წარმომადგენელი. იგი იწვევს მრევლეთა არა უმეტეს ორი საერთაშორისო ორგანიზაციის და პაროფკავშირთა არა უმეტეს ორი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს სხდომებზე დასასწრებად სათათბირო ხმის უფლებებით. ამას გარდა, მას შეუძლია კონსულტაციები გამართოს ისეთი არა უმეტეს ორი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, რომელთაც ევროპის საბჭოსთან აქვთ კონსულტაციური სტატუსი საკითხებში, რომლებშიც უპირველეს ყოვლისა, კომპეტენტურნი არიან მოცემული ორგანიზაციები. ამგვარი საკითხი მაგალითად, ოჯახის სოციალური უზრუნველყოფა და ეკონომიკური და სოციალური დაცვა.

3. ქვეკომიტეტი მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს მოხსენებას, რომელიც შეიცავს მის დასკვნებს და დაურთავს ექსპერტთა კომიტეტის მოხსენებას.

მუხლი 28. კონსულტაციური ასამბლეა. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი კონსულტაციურ ასამბლეას უგზავნის ექსპერტთა კომიტეტის დასკვნებს. კონსულტაციური ასამბლეა თავის მოსაზრებას ამ დასკვნების შესახებ გააცნობს მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 29. მინისტრთა კომიტეტი. კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წევრთა ხმების 218-ის უმრავლესობით მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ქვეკომიტეტის მოხსენების საფუძველზე და კონსულტაციურ ასამბლეასთან კონსულტაციის შემდეგ მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ მხარეს მისცეს აუცილებელი რეკომენდაციები.

ნაწილი 1

მუხლი 30. ვალდებულებებისაგან გადახვევა ომის ან საბანკეპო მდგომარეობის პერიოდში. 1. ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც ერის არსებობას ემუქრება, მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიიღოს ზომები ამ ქარტიით ნაკისრი ვალდებულებებისაგან გადახვევის შესახებ მოცულობით, რომელიც შეეფარდება შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობას მხოლოდ იმ პირობით, რომ ამგვარი ზომები არ შეეწინააღმდეგება სხვა ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

2. ამ უფლებების გამოყენებელი მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი მხარე მისაღებ ვადებში აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიღებული ზომების და მათი მიღების მიზეზების შესახებ. ამგვარადვე აცნობებს გენერალურ მდივანს, როდესაც მიღებული ზომები შეწყვეტენ მოქმედებას და ქარტიის დებულებათა შესრულება მთელი მოცულობით განახლდება.

8. თავის მხრივ გენერალური მდივანი აცნობებს მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარეებს და შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ მდივანს ყველა შეტყობინების შესახებ, რომელიც მიიღო ამ მუხლის II პუნქტის შესაბამისად.

მუხლი #1. შეზღუდვები. 1. პირველ ნაწილში შემაჯავლი უფლებანი და პრინციპები, როდესაც ისინი ეფექტურად მოქმედებენ და II ნაწილში გათვალისწინებული მათი პრაქტიკული განხორციელება არ წარმოადგენენ ამ ნაწილებში მიუთითებელი შეზღუდვების ობიექტს, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით და სავალდებულოა დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებების და თავისუფლებების, ან სახელმწიფო ინტერესების, ეროვნული უშიშროების, მოქალაქეთა განმრთობის და მორალის დასაცავად.

2. ქართლში მიითითებული შეზღუდვები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ მიზნების განსახორციელებლად, რომელთათვისაც ისინი გათვალისწინებულია.

მუხლი #2. ქარტიის დამოკიდებულება საშინაო სამართალთან და საერთაშორისო შემთანხმებებთან. მოცემული ქარტიის დებულებანი არ ეწინააღმდეგება საშინაო სამართალს ან სხვა ნებისმიერ ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, კონვენციებს ან შეთანხმებებს, რომლებიც უკვე მოქმედებენ ან შეიძლება შევიდნენ ძალაში და რომელთა თანახმად, დაცვაში მყოფ პირებს ეძლევათ უფრო ხელსაყრელი რეჟიმი.

მუხლი #3. დებულებათა განხორციელება კოლექტიური შემთანხმებების გზით. 1. სახელმწიფო-წევრებში, სადაც ამ ქარტიის II ნაწილის მე-2 მუხლის 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტების დებულებანი, მე-7 მუხლის 4, 6 და 7 პუნქტების და მე-10 მუხლის 1, 2, 3 და 4 პუნქტების დებულებანი ერთის მხრივ—მეწარმეთა ან მეწარმეთა ორგანიზაციების და მეორეს მხრივ — მუშათა ორგანიზაციებს შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენს, ან ჩვეულებრივ სხვაგვარად ხორციელდება, ვიდრე ეს განონმდებლობითაა გათვალისწინებული, შესაძლებელია მიცემულ იქნეს ვალდებულებანი ამ პუნქტების თანახმად და ისინი ქმედითად ითვლება, თუ ამგვარი შეთანხმების საფუძველზე ან სხვა საშუალებით დებულებანი განხორციელდება მუშათა უმეტესი ნაწილის მიმართ.

2. სახელმწიფო-წევრებში, სადაც ეს დებულებანი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, ვალდებულება ამგვარად შეიძლება მიეცეს და იგი ქმედითად ითვლება, თუ ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე მუშათა უმეტესი ნაწილის მიმართ.

მუხლი #4. ტერიტორიული გამოსვენება. 1. მოცემული ქარტია გამოიყენება მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარის მეტროპოლის ტერიტორიაზე. ქარტიაზე ხელმოწერა ყოველ მთავრობას თავის სარატიფიკაციო სიგელის ან დამტკიცების ხელმოწერის ან შეტყობინების შესაბამისად გადაცემის დროს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გააკეთოს განცხადება იმ ტერიტორიის მიითითებით, რომელიც ჩათვლება მეტროპოლის ტერიტორიად.

2. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ ქარტიის რატიფიკირების ან დამტკიცების დროს ან ნებისმიერ სხვა დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობოს, რომ მთელი ქარტიის ან მისი ცალკეული ნაწილების მოქმედება ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელიც არ შედის მეტროპოლიაში, ან ტერიტორიებზე, რომლებიც მიითითებული იქნება დეკლარაციაში და რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც კასუსს აგებს, და რომელთა საერთაშორისო პასუხისმგებლობას იღებს მოცემული სახელმწიფო. განცხადებაში მიითითებული უნდა იყოს ქარტიის II ნაწილის მუხლები და პუნქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ მოცემულ ტერიტორიაზე.

3. ქარტიის მოქმედება განცხადებაში მიითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე იწყება ოცდამეათე დღეს გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შინაარსის განცხადების მიღების თარიღიდან.

4. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შემდგომ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებულ განცხადებაში მიუთითოს, რომ ამ მუხლის II პუნქტის თანახმად, მიითითებულ ტერიტორიებზე სავალდებულო შესრულების ძალის მქონედ მიიჩნევა ნებისმიერ მუხლს ან პუნქტს, რომელიც ადრე მოცემული ტერიტორიის ან ტერიტორიების მიმართ არ მიუღია. შემდგომ აღებული ამგვარი ვალდებულებანი ითვლება შესაბამისი ტერიტორიისადმი თავდაპირველად გაკეთებული განცხადების შემადგენელ ნაწილად და მოქმედებაში შედის შეტყობინებიდან 30-ე დღეს.

5. გენერალური მდივანი ქარტიაზე ხელმოწერა სხვა მთავრობებს და შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს აცნობებს ნებისმიერი შეტყობინების შესახებ, რომელსაც იგი მიიღებს მოცემული მუხლის შესაბამისად.



მუხლი #5. ხელმოწერა, რატიფიცირება და ძალაში შესვლა. 1. მოცემული ქარტია ხელმოსაწერად ღია ევროპის საბჭოს წევრთათვის, ხდება მისი რატიფიცირება ან დამტკიცება. ხარატიფიკაციო სიგელები ან დამტკიცების შეტყობინებანი შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. მოცემული ქარტია ძალაში შედის მეხუთე ხარატიფიკაციო სიგელის ან დამტკიცების შეტყობინების შესანახად გადაცემის 30-ე დღეს.

3. ქარტიაზე ხელმოწერი ნებისმიერი მოაერობისათვის, რომელმაც მოგვიანებით მოახდინა მისი რატიფიცირება, ქარტია ძალაში შედის მისი ხარატიფიკაციო სიგელის ან დამტკიცების შეტყობინების შესანახად გადაცემის 30-ე დღეს.

4. გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრებს და შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს აცნობებს ქარტიის ძალაში შესვლის, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების შესახებ, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება ან დამტკიცება, და ნებისმიერი ხარატიფიკაციო სიგელის ან დამტკიცების შეტყობინების მოგვიანებით შესანახად გადაცემის შესახებ.

მუხლი #6. შესწორებაანი. ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრს შეუძლია შესწორებანი მოცემული ქარტიისადმი შესთავაზოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში. გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს სხვა წევრებს ამგვარად შეთავაზებულ შესწორებებს აცნობს, მათ განიხილავს მინისტრთა კომიტეტი და კონსულტატიური ასამბლეა გამოიტანს დასკვნას. მინისტრთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის 30-ე დღეს მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები აცნობებენ გენერალურ მდივანს მათი მიღების შესახებ, გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს უველა წევრს და შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს აცნობებს ამგვარ შესწორებათა ძალაში შესვლის შესახებ.

მუხლი #7. დენონსაცია. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ მხარეს შეუძლია მოახდინოს მოცემული ქარტიის დენონსაცია მისი ძალაში შესვლიდან 5 წლის გავლის შემდეგ ან ყოველი შემდგომი ორწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ. ყოველ ამგვარ შემთხვევაში წინასწარ ექვსი თვით ადრე უნდა აცნობონ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც შესაბამისად, აცნობებს სხვა მხარეებს და შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს. დენონსაცია არ შეეხება ქარტიის მონაწილე სხვა მხარეებს იმ პირობით, თუ მათი რიცხვი ნებისმიერ დროს არ არის 5-ზე ნაკლები.

2. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინა პუნქტის დებულების თანახმად მოახდინოს ქარტიის 11 ნაწილის ნებისმიერი მუხლის ან პუნქტის დენონსაცია იმ პირობით, რომ მისთვის სავალდებულო მუხლების და პუნქტების რიცხვი არასოდეს არ იქნება პირველ შემთხვევაში — 10-ზე ნაკლები, მეორე შემთხვევაში — 4-ზე ნაკლები, და ამ მუხლებისა და პუნქტების რიცხვში იქნება მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის მიერ არჩეული მუხლები მე-20 მუხლის 1 პუნქტის ხ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მუხლებიდან.

3. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ მხარეს შეუძლია მთლიანად ამ ქარტის ან ქარტიის 11 ნაწილის ნებისმიერი მუხლის ან პუნქტის დენონსაცია ამ მუხლის 1 პუნქტის თანახმად ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ. სადაც აღნიშნული ქარტია მოქმედებს 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გაკეთებული განცხადებით.

მუხლი #8. დამატება. ქარტიის დამატება მისი შემადგენელი ნაწილია.

სოციალური ქარტიის დამატება სოციალური ქარტიის მოქმედების სფეროს დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ.

1. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტისათვის ზიანის მიუყენებლად, პირებად, რომლებზედაც ვრცელდება 1-17 მუხლები ითვლებიან უცხოელებიც. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოლაპარაკებაში მონაწილე მეორე მხარის მოქალაქენი არიან, რომლებიც შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე ცხოვრობენ ან მუდმივად მუშაობენ. ეს მუხლები გავებულ უნდა იქნეს მე-18 და მე-19 მუხლების დებულებათა უქმე. ამგვარმა გავებამ ზიანი არ უნდა მიუყენოს ანალოგიური პირობების გამოყენებას ნებისმიერი მხარის წარმომადგენელი პირებისათვის;

2. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე 1951 წლის 28.5.11 ენვევაში ხელმოწერილი „ლტოლვილთა შესახებ კონვენციის“ თანახმად ლტოლვილებს, რომელნიც მათ ტერიტორიაზე კანონიერად იმყოფებიან, აძლევენ მაქსიმალურად ხელსაყრელ რეჟიმს, ყოველ შემთხვევაში, არანაკლებ ხელსაყრელს იმასთან შედარებით, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული



ნაწილი I

პუნქტი 18.

ნაწილი II

მუხლი 18, პუნქტი 1. არსებობს გაგება, რომ ეს დებულებანი არ ეხება მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის ტერიტორიაზე შევსლის საკითხს და ზარალს არ აყენებს 1953 წლის 18 დეკემბერს პარიზში ხელმოწერილ ევროპის კონვენციას ბინადრობის შესახებ.

ნაწილი III

მუხლი 1, პუნქტი 2. მოცემული დებულება არ კრძალავს და არ რთავს ნებას დაშვებული იქნეს კავშირის უსაფრთხოების შესახებ ნებისმიერი შენიშვნა ან კრაქტიკა.

მუხლი 4, პუნქტი 4. ეს დებულება არ კრძალავს ხეროზული სამართალდარღვევისათვის დაუყოვნებლივ დათხოვნას.

მუხლი 4, პუნქტი 5. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეს შეუძლია აიღოს ამ პუნქტში მითითებული ვალდებულება, თუ მუშათა უმეტეობისათვის ხელფასიდან დარიცხვები (შესყენები) არ დაიშვება კანონით, ან კოლექტიური შეთანხმებით, ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით. ეს არ ეხება პირებს, რომლებზედაც არ ვრცელდება მითითებული დებულება.

მუხლი 8, პუნქტი 4. მოლაპარაკებაში მონაწილე უკველ მხარეს შეუძლია იმ საქმეში, რაც მას ეხება დაარეგულიროს კანონიერი გაფიცვის შესახებ კანონის განხორციელება იმ პირობით, რომ ნებისმიერი შემდგომი შეზღუდვის სამართლებრიობა, რომელიც შეიძლება ამ უფლებებისადმი იქნას გამოყენებული, შეიძლება დამოწმდეს ში-ე მუხლის დებულებათა თანახმად.

მუხლი 7, პუნქტი 8. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეს შეუძლია თავის თავზე აიღოს ვალდებულება, მითითებული ამ მუხლში, თუ იგი იმოქმედებს ამ ვალდებულების თანახმად, კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომ უმეტესობა 18 წელს არმღიწეული პირებისა არ იმუშავებენ დამის საათებში.

მუხლი 12, პუნქტი 4. სიტყვები „და ამ შეთანხმებებში ჩამოთვლილი პირობების დაცვით“, რომლებიც გამოყენებულია ამ პუნქტის შესავალ ნაწილში, გულისხმობენ კერძოდ, რომ დახმარებისადმი, რომელიც გაიცემა სადაზღვევო თანხისაგან დამოუკიდებლად, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეს შეუძლია სხვა ქვეყნის მოქალაქისადმი ამგვარი დახმარების გაცემამდე მოითხოვოს ბინადრობის დაწესებულებული პერიოდის გასვლა.

მუხლი 12, პუნქტი 4. ბოლოებებს, რომელნიც ზრ არიან სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ ევროპის კონვენციის მონაწილენი შეუძლიათ სოციალური კარტიის რატიფიცირება ამ პუნქტის შესაბამისად იმ პირობით, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარეთა მოქალაქეებს მისცემენ რეჟიმს, რომელიც შესაბამეა ამ კონვენციის დებულებებს.

მუხლი 19, პუნქტი 6. ამ დებულებაში ტერმინი „უცხოელი მუშის ოჯახი“ გულისხმობს სულ მცირე, მის ცოლს და მის კმაყოფაზე მყოფ 2 წლის ასაკამდე ბავშვს.

ნაწილი IV

ქართია შეიცავს საერთაშორისო ხასიათის სამართლებრივ ვალდებულებებს, რომელთა შესრულება მხოლოდ მოწმდება ქარტიის IV ნაწილის თანახმად.

მუხლი 20. კუნძები 1. „დანაშრელი კუნტები“ შეიძლება გულისხმობდეს მუხლებსაც, რომელნიც მხოლოდ ერთ კუნტს შეიცავენ.

ნაწილი 1

მუხლი 30. გამოქვა „ომის ან სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის პერიოდი“ გულისხმობს ომის მუქარასაც.

არაოფიციალური თარგმანი ინგლისურიდან. მიიღო ევროპის საბჭომ ტურინ-ში. ძალაში შევიდა 1965 წლის 26 თებერვალს. 1989 წლის 1 იანვრისათვის 15 მონაწილეა.

თარგმანი შეასრულა მკა სუმბათაშვილმა.

ჩვენი სამეურნეო-სამართლებრივი ლექსიკონი

იჯარა

— არაბული წარმოშობის სიტყვაა და მისი ქართული ეტიმოლოგიური მნიშვნელობა გულისხმობს ძირითადად უძრავი ქონების ქირავნობას. ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში იჯარის სინონიმად არაიშვიათად გამოიყენება ტერმინი არენდა (პოლონური — arrenda), რომელსაც იგივე შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია.

იჯარა თავისი სამართლებრივი ბუნებით მოწოდებულია მოაწესრიგოს ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები გამქირავებლის (მეიჯარეს) და დამქირავებლის (მოიჯარეს) შორის. იჯარა წარმოადგენს ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსების, საწარმოების, (გაერთიანებების) და სხვა ქონებრივი კომპლექსების, აგრეთვე სხვა იმ ქონების ვადიან მისაგებლიან მფლობელობასა და გამოყენებას, რომელიც მოიჯარეს სჭირდება სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობის დამოუკიდებელი განხორციელებისათვის. ე. ი. ეს არის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა, რომლის მიხედვით ერთი მხარე გამქირავებელი (მეიჯარე) საჯლათურის მიღების (ანუ საიჯარო ქირის) პირობით კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მეორე მხარეს დამქირავებელს (მოიჯარეს) რაიმე უძრავი ქონება დროებითი სარგებლობისათვის.

საიჯარო ურთიერთობებს აწესრიგებს ძირითადად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობის საფუძველები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველები (53 — 55-ე მუხ.). აგრეთვე სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც ქონების ცალკეული სახეების ქირავნობას აწესრიგებენ. სოფლის მეურნეობის სფეროში შემუშავებულია და მიღებულია სათანადო რეკომენდაციები, სანიმუშო ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც იდება იჯარის კონკრეტული ხელშეკრულება მხარეთა შორის. მიწის გადაცემა იჯარით წარმოებს სათანადო აქტის საფუძველზე. მომავალში ეს ურთიერთობები ნაწილობრივ მოწესრიგდება სსრ კავშირის კანონით მიწის შესახებ.

იჯარის მსგავსი, მომიჯნავე ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს ნარდობა, სანარდო ხელშეკრულებით ერთი მხარე — მენარდე, კისრულობს ვალდებულებას, თავისი რისკით შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო მეორე

მხარის შემკვეთის დავალებით მისი ან თავისი მასალით, ხოლო შემკვეთი კისრულაობს ვალდებულებას მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი საზღაური. იჯარა და ნარდობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი ობიექტით. იჯარის ობიექტია ძირითადად უძრავი ქონება, რომლის გაქირავებაც ხდება. ნარდობის ობიექტია შესასრულებელი სამუშაო. ანუ ადგილი აქვს სამუშაო ძალის გაქირავებას.

პრაქტიკაში, იჯარის ხელშეკრულების სუბიექტთა წრის მიხედვით ასხვავებენ იჯარის კოლექტიურ, ბრიგადულ, საოჯახო და ინდივიდუალურ სახეებს. ხოლო ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით — საიჯარო ნარდობას, საიჯარო ნარდობა, როგორც შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმა: ძირითადად გამოიყენება შიდასამეურნეო ურთიერთობებში სახელმწიფო, კოლექტიურ და საზოგადოებრივ საწარმოებში. საიჯარო ნარდობის დროს მოიჯარე (კოლექტივი, ოჯახი, ბრიგადა და ა. შ.) იღებს მეიჯარისაგან (საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და ა. შ.) წარმოების ყველა იმ საშუალებებს, რაც აუცილებელია პროდუქციის საწარმოებლად. ფლობს და სარგებლობს რა წარმოების საშუალებებით, მოიჯარე აწარმოებს პროდუქციას, რომელსაც მიჰყიდის მეიჯარეს შიდასამეურნეო საანგარიშსწორებო ფასებით. მიღებული მოგებიდან ხდება ფაქტიური ხარჯების დაფარვა, ხოლო სხვაობა (დარჩენილი თანხა) მთლიანად გადაეცემა მოიჯარეს შრომის საზღაურის სახით.

მოიჯარე სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით დაქირავებული წარმოების საშუალებების მიმართ. ის თვითონ ადგენს შრომის, დასვენების, წარმოების ტექნოლოგიის რეჟიმს, ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შრომისა და წარმოების დისციპლინა. მოიჯარე თავისი შეხედულებისამებრ იყენებს შრომის ანაზღაურების სისტემას, მუშაკთა შრომის ხელფასის განაწილების წესს.

ბარიელ ჯანაბაძე

ინფორმაცია

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ამასწინათ ჩატარდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მსმენელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX-XX საუკუნეებში“.

კონფერენცია შეხავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური კურსების დირექტორმა მ. კომპანიძემ.

მოსმინეს ოთხი მოხსენება — „ანტიცარიტული აჯანყება-შეთქმულება XIX საუკუნის პირველ მესამედი“ (მომხსენებელი გ. მორჩილაძე), „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე“ (მომხსენებელი მ. ცაავა), „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში“ (მომხსენებელი მ. ჯინადაური) და „ეროვნული მოძრაობა საქართველოში გიგინიანი ებაძეების და საშუალებანი“ (მომხსენებელი ზ. სხირტლაძე).

მომხსენებთა განხილვაში მონაწილეობდნენ კურსების მსმენელები ი. გოგბაძე, ვ. შვილი, ა. ნოდია, ე. გოდელაშვილი, ც. საძაბლი-შვილი.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკური კურსების სახელმწიფო მეთოდური საბჭოს წევრმა, პროფესორმა ა. ბენდანიშვილმა მან ხაზი გაუსვა აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარების აქტუალობას და მაღალი შეფასება მისცა მომხსენებელთა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებს.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ შემუშავა რეკომენდაციები და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

«სახელმციო და სამართალი» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

**Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.**

**Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул Костава, 14.**

65/18

შპს-ს ბიზნესი

ბიზნესი 76185

